

მაია ინასარიძე  
ნინო შარაშენიძე  
გიორგი გახელაძე

## ენისა და საგნის ინტეგრირებული სტავლება დაცყობით სპოლაში

პროექტი “ბილინგური განათლების გზით ეთნიკური  
უმცირესობების საგანმანათლებლო უფლებების დაცვა”  
დაფინანსებულია ევროპავშირის მიერ



The Project “Ethnic Minority Educational Rights Protection  
Through Bilingual Education” is funded by European Union

პროექტი ხორციელდება სამო-  
ქალაქო ინტეგრაციისა და ეროვ-  
ნგბათაშორისი ურთიერთობების  
ცენტრის მიერ



The project is implemented by the  
Centre for Civil Integration and Inter-  
Ethnic Relations (CCTR)

თბილისი  
2010 წელი

წიგნი გამოცემულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. სახ-  
ელმძღვანელოში წამოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის სამოქალაქო ინტე-  
გრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრს და შესაძლოა  
არ ემთხვეოდეს ევროკავშირის თვალსაზრისს.

This publication has been produced with the assistance of the European Union.  
The contents of this publication are the sole responsibility of Center for Civil Inte-  
gration and inter-Ethnic Relations (CCIIR) and can in no way be taken to reflect  
the views of the European Union.

#### **რედაქტორები:**

შალვა ტაბატაძე  
გახა გაბუნია

# შინაარსი

შინასიტყვაობა . . . . .	4
შესაბამი . . . . .	5
თავი 1 . . . . .	8
1. ახალი მიღებობის სწავლებაში . . . . .	8
2. სწავლების მეთოდები დაწყებით საფეხურზე . . . . .	14
3. მოტივაცია და მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები . . . . .	15
4. ტექსტებზე მუშაობა . . . . .	22
5. თვალსაჩინოების მასალის გამოყენება ბილინგვური განათლების პროცესში . . . . .	27
6. გრაფიკული ორგანიზატორები . . . . .	36
7. შეფასება . . . . .	44
8. ბილინგვური სწავლების პროცესის შეფასება . . . . .	56
თავი 2 . . . . .	59
1. თემატური დაგეგმვა ბილინგვურ სწავლებაში, I-II კლასები . . . . .	59
2. თემატური დაგეგმვა ბილინგვურ სწავლებაში, III-IV კლასები . . . . .	93
3. თემატური დაგეგმვა ბილინგვურ სწავლებაში, V-VI კლასები . . . . .	109
თავი 3 . . . . .	136
1. რეკომენდაციები ბილინგვური გაკვეთილების დაგეგმვასთან დაკავშირებით . . . . .	136
2. გაკვეთილების სცენარები . . . . .	140
ა. ბუნება . . . . .	140
ბ. მათემატიკა . . . . .	150
გ. ხელოვნება . . . . .	159
დ. ისტორია . . . . .	166
დანართი (რეკომენდებული ვუძნილები ვრაზები სხვადასხვა საბის მასრავლებლებისთვის) . . . . .	182

## ტინასიტებაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო (მეთოდიკური გზამკვლევი) დამუშავდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტის „ბილინგური განათლების გზით ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო უფლებების დაცვა“ (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ).

სახელმძღვანელოში განხილულია ბილინგური სწავლების ძირითადი პრინციპები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით საფეხურზე, მეთოდოლოგიური მითითებები და როგორც საგანთაშორისი ოქმატური დაგეგმვის (ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება), ისე კონკრეტული გაკვეთილების უაღრესად პრაქტიკული სანიმუშო მაგალითები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებიდან. საგაკვეთილო სცენარებისა და ოქმატურ დაგეგმვაში, სახელმძღვანელოს ავტორთა გარდა, აქტიურად იყვნენ ჩართულები ის პედაგოგები, რომლებიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადიან ტრენინგებს (მზევინარ მუავანაძე, ნათელა მელიქიძე, შორენა თეთვაძე, მაკა კაჭკაჭიშვილი, ელიზავეტა ფიდანიანი, მარინა ზალალიანი, ელენე დათუნაშვილი, გიორგი ჭაუჭიძე, მარინა სიმონიშვილი, ლალი დალაქიშვილი, მადონა ყაფლანიშვილი, ეკა ორუჯევა, ლია თუშური, დავით ჩოჩიშვილი, ნონა არევაძე, ნინო წიკლაური, ლეილა მუსტაფაევა). სახელმძღვანელოს სტრუქტურის შემუშავებასა და პრინციპების განსაზღვრაში დახმარება გაგვიწიეს საერთაშორისო კონსულტანტებმა: დაცე დალბინამ და ვინეტა ვაიგადებ (LVAVA, ლატვია).

## შესავალი

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში შეიქმნა ახალი ეროვნული სასწავლო გამამა და პროგრამები ყველა საგანში, რომლებიც სასკოლო განათლების უმთავრესი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება – ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, ისეთი თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004).

გლობალიზაციის პირობებში სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა, ასწავლოს მოზარდს, როგორ შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა და, ამასთან, როგორ შეძლოს თანაარსებობა განსხვავებული რელიგიის, კულტურის ადამიანებთან. ამის საჭიროებას თავად მოსწავლეები გრძნობენ. მეათე კლასელების მიერ შექმნილ ზოგადი განათლების მიზნების მათეულ ვარიანტში ვკითხულობთ:

„საქართველოში სკოლის დამთავრების შემდეგ ადამიანს უნდა შეძლოს:

- გაიგოს, რა არის მთავარი და მნიშვნელოვანი თავის ქვეყანაში და რა იქნება სასარგებლო ამ ქვეყნისთვის. იზრუნოს აქტიურად ქვეყნის განვითარებაზე და პატივი სცეს მას...
- იყოს შემწენარებელი; პატივს სცემდეს სხვას, მის უფლებებს, რელიგიას, ცხოვრების წესს; იცოდეს, როგორ გამოიყენოს საკუთარი უფლებები და როგორ არ შეზღუდოს სხვისი.“

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სრული ინტეგრაციის გარეშე. სრული ინტეგრაცია კი გულისხმობს სახელმწიფო ენის არა მხოლოდ ზედაპირულ, არამედ აკადემიურ ფლობას. ენის ზედაპირული ცოდნა გულისხმობს მარტივ სოციალურ სიტუაციებში (მაღაზია, ქუჩა) კომუნიკაციის დამყარებას და ამ დონეზე ენის

შესასწავლად 5-7 წელიც საქმარისია, ხოლო ენის აკადემიურად ფლობა ნიშნავს უნარს, ენა გამოიყენო აკადემიურ გარემოში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სხვადასხვა საგნის ათვისებისას. ენის აკადემიური ცოდნის მისაღწევად კი 9-10 წელია საჭირო. სახელმწიფო ენის აკადემიური ფლობის მიღწევის ყველაზე ეფექტური გზა ბილინგვური განათლებაა.

2010 წლის 20 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა მულტილინგვური განათლების პროგრამის დებულება. მულტილინგვური განათლების პროგრამა მიზნად ისახავს: (ა) ეროვნული უმცირესობებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას; (ბ) მოსწავლეებში ბილინგვიზმის, ანუ ორი ენის, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე მშობლიურ ენის ფლობის უნარის განვითარებას; (გ) მოსწავლეებისთვის თანასწორი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნას; (დ) მოსწავლეებში ბიკულტურიზმის განვითარებას, ანუ უნარისა, თავი იგრძნონ საზოგადოების სრულყოფილ წევრად როგორც საკუთარ ეთნიკურ ჯგუფში, აგრეთვე დომინანტი ჯგუფის გარემოცვაში; (ე). სხვადასხვა კულტურის ფუნდამენტური ღირებულებებისადმი ზიარებას; (ვ). კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას განსხვავებული ლინგვისტური და კულტურული ჯგუფების მიმართ. ამასთანავე, დებულების შესაბამისად, მულტილინგვური განათლების პროგრამების ამოცანებია: (ა). მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების ეფექტური გარემოს შექმნა და ქართულ ენაში ეროვნული სასწავლო გეგმებით განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება; (ბ) მოსწავლეებისთვის მშობლიური ენის სწავლების ეფექტური გარემოს შექმნა და მშობლიურ ენაში ეროვნული სასწავლო გეგმებით განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება; (გ) მოსწავლეებისთვის სწავლების ეფექტური გარემოს შექმნა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებსა თუ საგნობრივ ჯგუფებში განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება; (დ) მოსწავლეებში მულტიკულტურულ საზოგადოებაში კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება; (ე) ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მულტილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურად განსახორციელებლად და დებულებაში ასახული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია მულტილინგვური განათლების პროგრამაში ჩართული მასწავლებლების მეთოდური დახმარება. წინამდებარე წიგნი ბილინგვური განათლების მასწავლებლებისათვისაა განკუთვნილი. მისი მიზანია, მეთოდური დახმარება გაუწიოს დაწყებითი სკოლის პედაგოგებს ბილინგვურ კლასებში სასწავლო მასალის თემატურ დაგეგმვაში, გაკვეთილების დაგეგმვასა და შეფასებაში.

გზამკვლევის პირველ თავში მიმოხილულია ის საკითხები, რომლებიც მასწავლებელმა სასწავლო მასალის დაგეგმვისა და სწავლების პროცესში უნდა გაითვალისწინოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები; განხილულია ახალი მიღგომები სწავლებაში; მოცემულია სწავლების ეფექტური მეთოდები დაწყებით საფეხურზე; განხილულია ტექსტებზე მუშაობის პრინციპები, თვალსაჩინოების მასალის გამოყენება, გრაფიკული ორგანიზატორების მნიშვნელობა და როლი ბილინგვური განათლების პროცესში; აგრეთვე საზოგადოდ შეფასებისა და კონკრეტულად - ბილინგვური სწავლების პროცესის შეფასების მიზნები, ტიპები, სახეები და მეთოდები.

მეორე თავში მასწავლებლები გაეცნობიან თემატური დაგეგმვის კომპონენტებს და კონკრეტულად ყოველი კლასისათვის – ქართული ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების სქემებს.

მესამე თავში გავეცნობით გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს. ჩვენ მასწავლებლებს შევთავაზებთ ბილინგვური გაკვეთილის სცენარებს დაწყებით სკოლაში,

გზამკვლევს მოსდევს დანართი, რომელშიც წარმოდგენილია ფუნქციონალური ფრაზები – ის ფრაზები, რომლებიც ყველა საგნის პედაგოგს გამოადგება ბილინგვური გაკვეთილის ჩატარებისას.

# თავი I

## 1. ახალი მიზანმიერი სტატუსი

თანამედროვე პედაგოგიკა სწავლების ცენტრში მოსწავლეს აექცებს. პიროვნებასა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მკვიდრდება დღევანდელ სკოლაში, ემყარება იმ პრინციპებს, რომლებიც სწავლების საერთო, უნივერსალურ პრინციპებადაა აღიარებული, სახელდობრ, ის ითვალისწინებს:

- აქცენტის გაკეთებას სასწავლო მასალის არა რაოდენობრივ, არამედ – სტრუქტურულ და თვისობრივ ასპექტებზე;
- სწავლების ორიენტაციას აღსაზრდელთა ინტელექტუალურ და ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებზე;
- სწავლების ინდივიდუალიზაციას; მოსწავლის – როგორც ინდივიდის – უნარ-შესაძლებლობათა მაქსიმალურ გათვალისწინებას;
- სწავლების პროცესის უპირატეს თრიენტაციას წარმოდგენასა და გააზრებაზე და არა – აღქმასა და დამასხვრებაზე;
- სწავლების პროცესის ორიენტაციას მოსწავლის პიროვნებაზე;
- სწავლების პროცესის აგებას მასწავლებლისა და მოსწავლის, აგრეთვე – მოსწავლეთა ინტერაქტიური მიმართებების საფუძველზე;
- შედეგებზე ორიენტირებულ სწავლებას;
- ენის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტისა და ფორმის ინტეგრირებულ სწავლებას.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ტრადიციულთან შედარებით ახალი მიდგომების უპირატესობა ბილინგვურ განათლებაში, გთავაზობთ ცხრილს:

**ინოვაციური ბილინგვური განათლებისა და ტრადიციული განათლების  
შედარების სტემა**

<b>ინოვაციური ბილინგვური</b>	<b>ტრადიციული</b>
თითოეულ ბაგშვის უნდა მიუდგე, როგორც პიროვნებას, ინდივიდს.	ყოველი ბაგშვი, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეა, რომელზედაც ვრცელდება საერთო მოთხოვნები.
სწავლებისა და სწავლის პროცესში უნდა უზრუნველვყოთ ინდივიდუალური მიღება თითოეული ბაგშვისადმი იმის გათვალისწინებით, რომ მათი მეორე ენის ცოდნის დონე განსხვავებულია და ხელი შევუწყოთ სასწავლო მასალის ადგევაზურ აღქმას.	ბაგშვების ორგანიზება უნდა მოხდეს ერთ კლასად, რომელშიც თითოეული ვალდებულია აითვისოს სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მასალა ისე, რომ არ დაპარგოს დრო ლექსიკურ პრობლემებზე.
ბაგშვებს უნდა ჰქონდეთ მოქმედების თავისუფლება, იმის საშუალება, აირჩიონ მათთვის მოსახერხებელი პირობები მეცადინეობისათვის, მათ შორის – კონსულტაცია თანატოლებთან, რომლებიც კარგად ფლობენ სახელმწიფო ენას.	აუცილებელია, უზრუნველვყოთ მკაცრი კონტროლი მოსწავლეთა ქცევაზე, რათა მივაღწიოთ კონკრეტული გაკვეთილის მიზნებსა და ამოცანებს.
ბაგშვებს უნდა მივცეთ უფლება, თავისუფლად ამოირჩიოს ენა / ენები, რომელზედაც განიხილავენ სასწავლო მასალას, რათა ისწავლონ სიამოვნებით (მოტივაცია – სასიამოვნო სასწავლო გარემო).	უნდა ვუბიძგოთ ბაგშვებს პასუხების დროს, რათა დისკუსიისას გამოიყენონ სახელმწიფო ენა (მოტივაცია – ახალი სტანდარტები და მოთხოვნები).
მეცადინეობების ფორმა უნდა იყოს თავისუფალი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფანტაზიის განვითარებასა და ინტერესის აღმვრას.	მეცადინეობების ფორმა უნდა იყოს მაქსიმალურად რეგლამენტირებული, მოთხოვნების შესაბამისი.
რეპომენდებულია ინტეგრირებული მეცადინეობების ჩატარება, რომლებ-	მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ რაც შეიძლება ბევრი ინფორმაცია,

ზედაც აქცენტი კეთდება არა წვრილმან დეტალებზე, არამედ მნიშვნელოვან საგანთაშორის კავშირებზე, რაც ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შემოქმედებით საქმიანობას.	რომელიც შემდგომში მათ მისცემს საკონტროლო და ტესტური, რეპროდუქციული ხასიათის დავალებების შესრულების საშუალებას.
აქცენტი კეთდება ხარისხზე და არა საშინაო დავალებების დიდ რაოდენობაზე.	მოსწავლეთა ორიენტირება ყველა დავალების შესრულებისაკენ, დავალების შესრულებაზე კონტროლი და რეგულარული შეფასება ნიშნით.
სახელმწიფო ენის უკეთ შესწავლის მიზნით მოსწავლეთათვის მსუბუქი და სახალისო ტექსტების შეთავაზება.	რეკომენდებულია კლასიკოსთა ნაწარმოებების კითხვა, რადგან სწორედ ეს ტექსტები უზრუნველყოფს ლიტერატურული ენის სრულფასოვნად ფლობას.
კონცეტრირება მოსწავლეთა შემეცნებითი პოტენციალის განვითარებაზე.	კონცეტრირება მაქსიმალურ ოფიციალურ შეფასებაზე.
სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, მათთვის ჯგუფებში მუშაობის საშუალების მიცემა.	მოსწავლეთა დახმარება პერსონალური პასუხისმგებლობის განვითარებასა და დამოუკიდებელ საქმიანობაში.
მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარის განვითარება	ორიენტირება სწორ და არასწორ პასუხებზე.
მულტიკულტურული საზოგადოების არსებული ტრადიციის აღიარება და განვითარება, კულტურათა ურთიერთ ხემოქმედების და მისი როლის ხაზგასმა.	მოსწავლეთა ზიარება სახელმწიფო კულტურასთან, მისი დომინანტური როლის აღიარება.
საჭიროების შემთხვევაში ყურადღების მიქცევა იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც აქვთ ენობრივი პრობლემები და პრობლემები, დაკავშირებული სასწავლო საგანთან.	დროის თანაბარი გადანაწილება ყველა მოსწავლეზე.
მასწავლებელი უნდა იყოს მოქნილი, არ	ეურადღება წესრიგზე და მასწავ-

მოახვიოს თავს მოსწავლეებს საკუთარი ნება, შეეძლოს საკუთარი საქმიანობის ადაპტირება კონკრეტულ სიტუაციასთან.	ლებლის მიერ მომზადებული გაკვეთილის სცენარის მკაცრად მიღევნება.
იუმორის გრძნობის შენარჩუნება და შეცდომების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.	მკაცრად თვალის მიღევნება იმაზე, რომ მოსწავლეები საუბრობდნენ გამართული სალიტერატურო ენით.
ორიენტაცია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.	ორიენტაცია საგანზე, ყველას მიმართ ერთნაირ მოთხოვნებზე.

სანამ ბილინგური სწავლების საკითხებს შემოგთავაზებთ, გავიაზროთ ზოგადად სწავლა/სწავლების პრინციპები დაწყებით სკოლაში.

**პრინციპი 1. მოსწავლე სწავლობს უკეთ, როცა ითვალისწინებენ მის ინდივიდუალურ თავისებურებებს.**

#### მისათვის მასწავლებელმა უნდა:

- შეარჩიოს სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც შეესატყვისება მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს;
- შესთავაზოს მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობები, სავარჯიშოები, დავალებები მათი ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით (ხასიათი, სწავლის სტილი, ინტელექტუალური უნარები, ძლიერი და სუსტი მხარეები).
- აღჭურვოს მოსწავლე სასწავლო სტრატეგიებით, რომლებიც მას სწავლას გაუადვილებს და უფრო დამოუკიდებელს გახდის.

**პრინციპი 2. მოსწავლე უკეთ ისწავლის, თუ მას მიეცემა პიროვნული პოტენციალის განვითარების საშუალება.**

#### მისათვის მასწავლებელმა უნდა:

- გამოუმუშავოს მოსწავლეებს დადებითი დამოკიდებულება საკუთარი თავის, სხვების, სწავლის, გარემომცველი სამყაროს, სახელმწიფო ენის მიმართ;

- ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს კონსტრუქციული დამოკიდებულება შეცდომის მიმართ და გააცნობიერებინოს მას, რომ შეცდომა სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია (შეცდომების გამოვლენა და გაანალიზება განაპირობებს წინსვლას);
- მკაფიოდ განუსაზღვროს მოსწავლეს, თუ რას ელიან მისგან;
- შექმნას ნდობის ატმოსფერო, სადაც იქნება თანამშრომლობა და არა კონკურენცია, შეჯიბრი.

**პრინციპი 3. მოსწავლე უკეთ სწავლობს ენას, როდესაც იგი მოტივირებულია.**

ამისათვის მასწავლებელმა უნდა:

- მისცეს მოსწავლეს საშუალება დააკვირდეს ასათვისებელ მასალას დამოუკიდებლად, გამოთქვას ვარაუდები, აღმოაჩინოს, მისვდეს, ამოიცნოს, შეადაროს, რასაც თანამედროვე პედაგოგიკა ცოდნის კონსტრუირებას, აგებას უწოდებს;
- სწავლების შინაარსი მიუსადაგოს მოსწავლეთა ინტერესებს;
- შექმნას ისეთი საკომუნიკაციო, რეალური სიტუაციები, რომლებიც მიმზიდველი იქნება მოსწავლეებისათვის;
- დაუსახოს მოსწავლეებს რეალისტური, დაძლევადი ამოცანები და მიზნები, რათა მოსწავლეებმა იგრძნონ წარმატების გემო;
- წახალისოს წარმატება, დააფასოს და შეაფასოს წინსვლა.

მნიშვნელოვანია იმ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაც, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმატებას სწავლებასა და სწავლაში.

**ამ ეტაპზე გასათვალისწინებელი ასაკობრივი თავისებურებებია:**

- გაფანტული უურადღება - მოსწავლეს უჭირს უურადღების მობილიზება, ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეებს, ერთი მხრივ, უნდა შესთავაზოს მიმზიდველი და სახალისო, მაგრამ ხანმოკლე აქტივობები, რომლებსაც დინამიურობისა და უურადღების შესანარჩუნებლად ერთმანეთს ჩაუნაცვლებს;

- ამ ასაკში მოსწავლეებს განსაკუთრებულად აქვთ განვითარებული მიბაძვის უნარი. ეს უნარი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული როლური და სიტუაციური თამაშების, გამომსახველობითი კითხვის დროს;
- მოზრდილებისაგან განსხვავებით, მოზარდებს არანაირ დისკომფორტს არ უქმნით უცნობი ლექსიკური მასალა. ისინი ხალისით იმეორებენ ყველაფერს, შინაარსის გაგების მიუხედავად. ამდენად, სათანადო აქტივობებს თუ შევთავაზებთ (ხმით მიბაძვა, მიმიკით, ჟესტიკულაციით განსახიერება და სხვა), ისინი სიამოვნებით დაიზეპირებენ სხვადასხვა ტიპის ტექსტებს (ლექსები, სკეტჩები, როლები, ენის გასატეხები, სიმღერები), რაც მესიერების განვითარებას შეუწყობს ხელს;
- მოზრდილებისაგან განსხვავებით, რომლებიც უხერხულობას გრძნობენ, მოზარდებს საოცრად ახალისებთ აქტივობებში სხეულის ჩართვა. ამიტომ აქტივობებში მაქსიმალურად უნდა ჩავრთოთ სხეული, როგორც გამომსახველობითი საშუალება;
- მოზარდი დღევანდელი დღით ცხოვრობს. მას შორეული მიზნები არ ამოძრავებს და არ სწავლობს იმის გამო, რომ ეს ცოდნა მომავალში გამოადგება. შესაბამისად, მას სურს იქვე ნახოს შედეგი. ამიტომ, სასურველია, მოსწავლეს ყოველ ჯერზე მკაფიოდ განვუსაზღვროთ არა ის, თუ რას ისწავლის, არამედ ის, თუ რას გააკეთებს (მაგ., არა - დღეს წავიკითხავთ მოთხოვობას მხიარულ ჯამბაზზე, არამედ - დღეს წავიკითხავთ მოთხოვობას მხიარულ ჯამბაზზე იმისათვის, რომ გავაფერადოთ ილუსტრაცია მოთხოვობაში მოცემული აღწერის მიხედვით).

## **2. სწავლების მეთოდები დაწყებით საფეხურზე**

დაწყებით სკოლაში უნდა დაინერგოს მოზარდის გონიერივ შესაძლებლობებთან მისადაგებული ისეთი აქტივობები, რომლებიც გაზრდის მის შინაგან მოტივაციას. მაღალი შინაგანი მოტივაცია კი, თავის მხრივ, მოსწავლეში გაზრდის ქმედითუნარიანობას და ხელს შეუწყობს წარმატებულ სწავლას.

ასეთი ხერხებია;

**1. გიზუალიზება ანუ სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებათა გამოყენება** (ნახატი, სურათი, რეალური საგანი, სქემა, პლაკატი და სხვა);

**2. ასოციაციური კავშირები** - ანალოგია, მეტაფორა, იგავური ენა (მოზარდი აკაგშირებს ახალ ინფორმაციას, ახალ ცნებას მანამდე არსებულ გამოცდილებასთან. რაც უფრო ნათელია ახალი ინფორმაციის კავშირი ნაცნობთან, მით უფრო მტკიცეა ახალ შეძენილი ცოდნა);

**3. უშუალო გამოცდილება** - მასალის მანიპულირება (დახატვა, გამოჭრა, დაწებება, ლოტოებით თამაში და სხვა), როლების გათამაშება, ინტერვიუს ჩამორთმევა, მიმიკით, ჟესტიკულაციით განსახიერება/გამოსახვა და სხვა. (მეთოდს, რომელიც ასეთი ტიპის აქტივობებს იყენებს, მულტისენსორული მეთოდი ეწოდება და იგი წარმატებით დაინერგა არაერთი ქვეყნის დაწყებით სკოლებში);

**4. წარმოსახვითი აქტივობები** – წარმოსახვის დიდი უპირატესობა ის არის, რომ იგი თავისუფალია გარეგანი სამყაროს საზღვრულობისაგან: წარმოსახვას შეუძლია ჩვენი გადაყვანა ნებისმიერ დროსა და სივრცეში. წარმოსახვის საშუალებით შეიძლება უშუალო, პირადი გამოცდილების გააქტიურება. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოსახვა უნიკალური გონიერივი რესურსია, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ადამიანის ჩამოყალიბებას. ამდენად, რაც უფრო მეტად შეუწყობს სწავლება ხელს მის განვითარებას, მით უკეთესია.

### **3. მოტივაცია და მოტივაციის ხელშემყობი უაზტორები**

მოსწავლეთა მოტივაციის გარეშე წარმატებული სწავლა შეუძლებელია. არსებობს მოტივაციის გარეგანი და შინაგანი ფაქტორები. ნიშანი, დასჯის შიში და ჯილდო მოტივაციის გარეგანი ფაქტორებია და მათით აღძრული მოტივაცია არსებობს მანამ, სანამ ეს ფაქტორები არსებობს. ამდენად, ის ხანმოკლეა.

შინაგან მოტივაციას განსაზღვრავს საგნის მიმართ ინტერესი, საკუთარი საჭიროების განცდა, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობა და სურვილი, მოიპოვო აღიარება სხვებისაგან.

მეორე ენის შესწავლის წარმატებისა თუ წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ენის შემსწავლელის მოტივაცია და ენის შესწავლისადმი დამოკიდებულებაა.

ადამიანის ქცევას იწვევს ერთი ან რამდენიმე მოტივი, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, ისე ქვეცნობიერი. მოტივების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევას, ქმნის მოტივაციას. მოტივაცია არის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი მეორე ენის შესწავლისას, რათა ენის შესწავლის გრძელი და ხშირად მომქანცევის პროცესი მდგრადი აღმოჩნდეს. ყველაზე გამორჩეული უნარების მქონე ადამიანებიც კი ვერაფერს მიაღწევენ ენის შესწავლის პროცესში, თუ მათ არ გააჩნიათ საკმარისი მოტივაცია. არც კარგი სასწავლო გეგმა და კარგი სწავლების პროცესია საკმარისი ენის შესწავლისას წარმატების მისაღწევად.

რა მოტივები არსებობს მეორე ენის შესასწავლად? ეს მოტივები გამომდინარეობს სოციალური, ეკონომიკური, პროფესიული, ინტეგრაციული თავდაჯერებულობის და თვითრეალიზაციის ფაქტორებიდან.

მეორე ენის დაუფლების მოტივაციის ფაქტორები ორ კატეგორიად შეიძლება დაყოს:

I კატეგორია: ინდივიდს სურს საკუთარი თავის სხვა ენობრივ ჯგუფთან ინტეგრირება.

ენის შემსწავლელებს ზოგჯერ სურთ საპუთარი თავის ინტეგრირება სხვა ენობრივ ჯგუფთან, რის გამოც სწავლობენ უმცირესობის ან უმრავლესობის ენას და საკუთარი იდენტობა, კულტურულ აქტოვობებში მონაწილეობა და მეგობრობა უკავშირდება სხვა ენობრივ ჯგუფს. ამ ტიპის მოტივაციას ინტეგრაციულ მოტივაციას უწოდებენ;

II კატეგორია. ენის შესწავლა პრაქტიკული თვალსაზრისით, სასარგებლო მიზნებიდან გამომდინარე.

მეორე მიდგომა პრაგმატულია და ენის გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს უკავშირდება, ინდივიდმა მეორე ენა შეიძლება შეისწავლოს სამსახურის ან შემოსავლის შოვნის, სამომავლო კარიერული ზრდის პერსპექტივის, გამოცდების ჩაბარების მიზნით. ამ მიდგომას ინსტრუმენტულ მოტივაციას უწოდებენ.

კვლევების უმრავლესობა თავდაპირეელად ამტკიცებდა, რომ ინტეგრაციული მოტივაცია არის უფრო ძლიერი. ამ მტკიცების მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ინტეგრაციულ მოტივაციას აქვს უფრო მდგრადი და გრძელვადიანი მიზნები. სამსახურის შოვნის, კარიერისტული ზრდის, გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ინსტრუმენტული მოტივაცია ქრება. ინტეგრაციული მოტივაცია უფრო მდგრადია, რადგან სხვა ენობრივ ჯგუფთან ინტეგრაციის პირობებში პიროვნული ურთიერთობები გრძელდება. თუმცა შემდგომმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ინსტრუმენტული მოტივაცია შეიძლება იყოს უფრო ძლიერი, ვიდრე ინტეგრაციული. ასე რომ, ორივე კატეგორია მნიშვნელოვანია ენის მიმართ მოტივაციის ასამაღლებლად.

ზოგადად მოტივაციას ქმნის:

- გატაცება, ინტერესი;
- მომენტალური შედეგი;
- საქმის ბოლომდე მიყვანის ბუნებრივი სურვილი;
- მნიშვნელოვანი პირადი მიზეზები (მაგალითად, ვიდაცისათვის თავის მოწონება...);
- ურთიერთობის სურვილი;
- რაღაც ახლის მოსინჯვის სურვილი;

- ცვლილებები;
- რაღაც ახალი და აქტუალური;
- შექმნა, აღიარება, ჯილდო;
- გასაგები და გათვალსაჩინოებული მასალა;
- საინტერესო შინაარსის სასწავლო მასალა;
- მეგობრული ატმოსფერო ჯგუფში;
- სიმპათიური მასწავლებელი;
- სწავლება, აღსავსე იუმორით.

მასწავლებლების წინაშე დგება შეკითხვები: როგორ მოვახდინო მოსწავლის მოტივირება? რა სტრატეგიები და მიდგომებია საჭირო მოსწავლის მოტივირებისთვის?

რამდენიმე რჩევა მასწავლებლებს მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად:

- მიეცი პირადი მაგალითი;
- შექმნი სასიამოვნო, განმტკირთავი ატმოსფერო კლასში, მოსწავლებს მოუქსენი დაძაბულობა;
- ენობრივი დავალებები წარუდგინე მოსწავლეებს ფრთხილად და გააზრებულად;
- გქონდეს მეგობრული დამოკიდებულება მოსწავლეებთან;
- გაზარდე მოსწავლეებში თავდაჯერება მეორე ენასთან მიმართებით;
- შეეცადე, ენის გაკვეთილები იყოს ცოცხალი და საინტერესო;
- ხელი შეუწყვე ენის შემსწავლელის ავტონომიურობას;
- გამოიყენე ინდივიდუალური მიდგომები ენის სწავლებისას;
- განუგითარე თითოეულ მოსწავლეს მიზანმიმართულება;
- გააცანი მოსწავლეებს შესასწავლი ენის კულტურა;
- სილაბუსში შეიტანეთ სოციოკულტურული კომპონენტიც (სატელევიზიო პროგრამის ყერება, სტუმრის მოწვევა, რომლისთვისაც შესასწავლი ენა მშობლიურია და ა.შ.);

- სისტემატურად განავითარებული მოსწავლის ინტერაქულტურული ცნობიერება, აქცენტი გააკეთებული მსგავსებებსა და არა განსხვავებებზე;
- ხელი შეუწყვეტ მოსწავლეთა და მეორე ენაზე მოსაუბრეთა კონტაქტს (მაგალითად, გაცვლითი პროგრამები, მიმოწერა, ექსკურსიები და მოგზაურობა);
- აამაღლებ მოსწავლის თავდაჯერება მეორე ენასთან მიმართებით (მაგალითად, დასახელი რეალიზებადი მოკლევადიანი მიზნები, გამოიყენე შექმნისა და წახალისების სტრატეგიები, გამოიყენე თავდაჯერებულობის ასამაღლებელი დავალებები, ხაზი გაუსვი და შეაჩვიე წარმატებებს);
- ასწავლებ მოსწავლეს კომუნიკაციის სტრატეგიები;
- ხელი შეუწყვეტ მოსწავლის მიერ საკუთარი ენობრივი კომპეტენციის პოზიტიურ აღქმას (ხაზი გაუსვი, რის გაკეთებაც შეუძლია მოსწავლეს და არ გაამახვილო ყურადღება იმაზე, რასაც ვერ აკეთებს; შექმენი ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებს არ ეშინოდეთ საკუთარი შეცდომებისა);
- შეეცადე შეამცირო მოსწავლეებში მეორე ენის დაუფლების შიში;
- აგრძნობინე მოსწავლეს კავშირი საკუთარ ძალისხმევასა და მიღებულ შედეგს შორის;
- ჩააბი მოსწავლეები მიღწევადი ამოცანების შემუშავებაში (საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავება და ა.შ.).
- შეადგინე სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებს;
- შეეცადე, მიმზიდველი იყოს გაკვეთილის შინაარსობრივი ნაწილი (გამოიყენე მულტიმედია-ტექნოლოგიები, აუდიო-ვიდეო მასალები, თვალსაჩინოება);
- აღძარი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა მოსწავლეებში და შეეცადე, არ დაკარგონ მოსწავლეებმა ეს ინტერესი სწავლების პროცესში (მოულოდნელი, ახალი და ინოვაციური მასალებისა და აქტივობების განხორციელება სწავლების პროცესში);

- დავალებებით გაზარდე ინტერესი და მოსწავლეთა ჩართულობა (სხვადასხვა და მოტივირებული სავარჯიშოების შედგენა, მოსწავლეთა ემოციების გათვალისწინებით დავალებების შედგენა, პერსონალური დავალებების შედგენა, წყვილებსა და ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების გამოყენება);
- შეარჩიე ისეთი დავალებები, რომელთა სირთულე შეესაბამება მოსწავლის შესაძლებლობებს;
- გაზარდე მოსწავლის მზაობა დავალებების შესასრულებლად (მოსწავლეთა რეალისტური მოლოდინები; შინაარსისა და პროცესის განმარტება მოსწავლეთათვის; მითითებების მიცემა მიმდინარე დავალებებზე, რათა მიაღწიონ წარმატებებს, წარმატებებისა და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე);
- შეეცადე, მოსწავლეები იყვნენ კმაყოფილები (დააცადე მოსწავლეებს, დაასრულონ დავალება, აღნიშნეთ მოსწავლეთა წარმატებები).
- შეეცადე, იყო გამბედავი, მგრძნობიარე მოსწავლეთა საჭიროებების მიმართ, სამართლიანი (პატიოსანი და საკუთარი თავის ობიექტურად შემფასებელი) და მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების მიმართ გახსნილი;
- შეეცადე იყო ფასილიტატორი (გზამკვლევი) და არა ავტორიტარული პერსონა კლასში;
- უზრუნველყავი მოსწავლეთა ავტონომიურობა სწავლების პროცესში მათთვის არჩევანის შესაძლებლობების შექმნით; მინიმუმადე დაიყვანე გარეშე ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს მოსწავლეთა სწავლის პროცესზე, პასუხისმგებლობა სწავლების პროცესში გადაანაწილე მოსწავლეებზეც, გამოიყენე წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის სტრატეგია;
- იყავი მისაბამი მაგალითი, მოსწავლეებს გაუზიარე საკუთარი მოსაზრებები და ხედვები, გადაეცი საკუთარი პოზიტიური შეხედულებები მეორე ენის ცოდნის მიმართ;

- მასწავლებლის გამოხმაურება უნდა ამაღლებდეს მოსწავლის მოტივაციას; შესაბამისად, ყურადღება მიაქციე კომენტარებს, რომლებიც უნდა იყოს უფრო ინფორმაციული და ზედმეტ ყურადღებას არ უნდა ამახვილებდეს შეცდომებზე;
- თავიდანვე უზრუნველყავი, რომ ყველამ გაითავისოს კლასში დაწესებული ქცევის ნორმები და წესები;
- უზრუნველყავი შეთანხმებული ქცევის წესების განხორციელება და არ დაუშვა შეთანხმებული წესების დარღვევა; დაამკვიდრე მოქცევის პროფესიული სტანდარტი;
- გაუმჯობესება და პროგრესი უნდა იყოს მნიშვნელოვანი შეფასების სტრატეგიაში; შეეცადე, არ მოახდინო მოსწავლეების ერთმანეთთან შედარება, მოსწავლეთა შეფასება უნდა იყოს კონფიდენციალური და არა საჯარო და ყველასთვის ცნობილი; არ უნდა იყოს მიღწევებში მათი ერთმანეთთან შეჯიბრი; შეეცადე, ენობრივი კომპეტენციები შეაფასო ინდივიდუალურ პროგრესზე დაყრდნობით;
- უზრუნველყავი ჯგუფის ერთიანობა და პოზიტიური დამოკიდებულება ჯგუფის წევრებს შორის, ამ მიზნის მისაღწევად ჩაატარე კლასგარეშე აქტივობები;
- გამოიყენე თანამშრომლობითი სწავლის მიღგომა, ხშირად მიეცი ჯგუფური სამუშაო, რომლის დროსაც შეფასდება მთლიანად ჯგუფი და არა ცალკე აღებული ინდივიდი.

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს, თუ როგორ შექმნა მასწავლებელმა მოტივაციური სიტუაცია ენის შესწავლისათვის:

რაზმიკს ქართული ენის სწავლაში სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ისე მოვიდა მეოთხე კლასში, რომ ქართულად წინადაღების თქმასაც ვერ ბედავდა. ქართული ენის მასწავლებელმა ამის შესახებ კოლეგებს შეხივლა. ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელმა იცოდა, რომ რაზმიკს განსაკუთრებით უყვარდა ცხოველები და კოლეგის ურჩია, ბიჭისთვის ქართულ ენაზე პატარა მოთხოვდები წაეკითხა მისთვის ცხოველების შესახებ. პედაგოგებმა ერთად შეარჩიეს იღუსტრიორებული წიგნები ცხოველებზე. მართლაც, რაზმიკი ჯერ სურათებმა დააინტერესება, შემდეგ

ცხოველების სახელები ამოკითხა ქართულად, მასწავლებლის დახმარებით საინტერესო ინფორმაციაც გაიგო. ცოტა ხანში თავად კითხულობდა პატარა მოთხოვებებს, მალე, მასწავლებლის წახალისების შემდეგ, თანაკლასელებსაც გააცნო თავისი ”უზყვი მეგობრები”, თანაც ქართულ ენაზე.

ლეილას ძალიან უჭირდა ქართული ენის სწავლა. მაინცდამაინც დიდ ინტერესსაც არ ამჟღავნებდა. სულ შეიცვალა ვითარება მას შემდეგ, რაც კლასში პროექტების კვირეული ჩატარდა. მოსწავლეებს უნდა მოემზადებინათ რადიოგადაცემა ქართულ ენაზე სკოლის რადიოქსელისათვის. ლეილას თურმე ყოველთვის პქონდა გამოსვლის სურვილი, მაგრამ ვერ ბედავდა. ეშინოდა, თანაკლასელებს არ დაუცინათ შეცდომების გამო. როცა მასწავლებელმა მას შესთავაზა, ქართული ხალხური ზღაპრების რადიოინსცენირება ამხანაგებთან ერთად, ლეილა გამოცოცხლდა. ჯერ ბევრი ივარჯიში კითხვაში, მერე ამხანაგებთან ერთად როდები დაინაწილა. სულ მალე ლეილას ქართული ენის კარგად შესწავლის მიმართ მოტივაცია ჩამოუყალიბდა.

## 4. ტექსტების მუშაობა

ბილინგვური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტექსტები მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვური კლასებისათვის რამდენიმე სპეციალური სახელმძღვანელო უკვე გამოუშვეს (სადაც ტექსტის 35% ქართულ ენაზეა, 65% კი – მშობლიურ ენებზე), ძირითად სასწავლო საშუალებად მაინც ერთენოვანი სახელმძღვანელოები გამოიყენება (რაც დაკავშირებულია როგორც ფინანსურ საკითხებთან, ისე არსებული ბლინგვური მოდელების სახესხვაობის არსებობასთან). ერთენოვანი სახელმძღვანელოების მოხმარება კი ბილინგვური კლასებისათვის გარკვეული მეთოდიკის გათვალისწინებას მოითხოვს, რაც ტექსტები მუშაობის პრინციპებს გულისხმობს.

ტექსტები მუშაობა რამდენიმე ეტაპად უნდა დაიყოს. პირველი ეტაპი გულისხმობს მასწავლებლის მუშაობას ტექსტებ. მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ტექსტს კლასისათვის. ამისათვის იგი ითვალისწინებს კლასის ენობრივ დონეს, წინასწარ აანალიზებს იმ პრობლემებს, რომლებიც კლასში შეიძლება გაჩნდეს ტექსტის დამუშავების პროცესში. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ტექსტის ენობრივი დამუშავება. ამისათვის მასწავლებელმა სასურველია გამოყოს რამდენიმე მიმართულება:

ტერმინები და ცნებები	ზოგადი ლექსიკა	ფრაზები	კონსტრუქციები	ფუნქციური ფრაზები

გაკვეთილის ენაც ყოველი ეტაპისათვის წინასწარ უნდა დაიგეგმოს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაიაზროს, თუ რომელი საკითხის შესახებ რომელ ენაზე ისაუბრებს ან როგორ მიაწოდებს დასამუშავებელ მასალას – თარგმანით, სქემით, ზეპირი განმარტებით თუ სხვა საშუალებით.


განვიხილოთ თითოეული მიმართულება:

## ტერმინები და ცნობები

როგორც აღინიშნა, მასწავლებელმა ტექსტი წინასწარ უნდა დაამუშაოს. ტექტის დამუშავებისას ცალკე უნდა გამოიყოს ის ტერმინები და ცნებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ახალი საკითხისათვის. მისი მიწოდება კლასისათვის შეიძლება სათანადო განმარტებებით მოსწავლის მშობლიურ ენაზეც, მაგრამ უმჯობესია ტერმინებისა და ცნებებისათვის გრაფიკული ორგანიზატორების, სქემების ან ცხრილების გამოყენება. ეს ეფექტური საშუალება მოსწავლეს დაეხმარება არა მარტო ტერმინებისა და ცნებების ათვისებაში, არამედ მასალის კარგად გაანალიზებასაც შეუწყობს ხელს, რადგან საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ან მომდევნო გაკვეთილზე ეს მასალა საშუალებას მისცემს მოსწავლეს იმსჯელოს განხილულ საკითხზე საყრდენი სიტყვების, გაანალიზებული ცნებებისა და ტერმინები გამოიყენებით. თუ არსებობს სპეციალური თვალსაჩინოება მოცემულ საკითხზე, სასურველია მასწავლებელმა მისი ტერმინები და ცნებები ასევე ცალკე დამუშავებინოს კლასს, რათა თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით მოსწავლემ ადვილად შეძლოს ტერმნების ათვისება და მათი მსჯელობაში გამოყენება.

## ზოგადი ლექსიკა

ცალკე უნდა იმუშაოს მასწავლებელმა იმ სიტყვებზე, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული საკითთან, მაგრამ წარმოადგენს ზოგად ლექსიკას, ანუ ისინი სხვა საკითხებზე ან საგნებში მსჯელობისასაც დასჭირდება მოსწავლეს. მათი ათვისება აამადლებს მოსწავლეთა ენობრივ კომპეტენციას. ამგვარი ლექსიკა სასურველია კლასს მიეწოდოს როგორც თარგმანით, ისე განმარტებითი ახსნით, სინონიმითა და ანტონიმით. ლექსიკის ათვისებისათვის ამგვარი სქემა შეიძლება გამოვიყენოთ.



ასევე, ცალკე დასამუშავებელია ფრაზები, ანუ ის შესიტყვებები, რომლებიც თემის ანალიზისას და მსჯელობისას გამოადგება მოსწავლეს. ისინი საყრდენი ფრაზების როლს შეასრულებენ, ამიტომ სასურველია ტექსტიდან ცალკე ამოვიდოთ ისინი და მივაწოდოთ მოსწავლეს სათანადო განმარტებით (აյ შესაძლებელია მისი მშობლიური ენაც დავიხმაროთ). უნდა გვახსოვდეს, რომ ტექსტის თარგმნა არაუფექტური გზაა, ამდენად რაც უფრო მეტად დამუშავდება ტექსტი ფრაზების თვალსაზრისით და გამოიყოფა ცალკეული ელემენტები საგანგეთოილო პროცესში, მით უფრო გაუადვილდებათ მათ შემდგომში როგორც კონკრეტულ, მოცემულ მასა-

ლაზე, ისე სხვა საკითხებზე მსჯელობა. ცალკეული ფრაზები საფუძვლიანად უნდა დამუშავდეს, რადგან ისინი იმ ენობრივ საშუალებათა რიცხვს განეკუთვნებიან, რომლებიც ზრდის მოსწავლის მიერ ენის აკადემიური ფლობის დონეს და ზოგადად ამაღლებს მის ენობრივ კომპეტენციას. სასურველია გარკვეული ფრაზების გამოყენებით შეიქმნას ახალი ტექსტი, როგორც წერილობით, ისე ზეპირად, დაისვას შეკითხვები და ასე შემდეგ.

## პონსტრუქციები

ცალკეა დასამუშავებელი ენობრივი კონსტრუქციები. მათში იგულისხმება ის გრამატიკული საკითხები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია გამართული მსჯელობისათვის. მშობლიური ენის მატარებლისათვის ეს სრულიად არასაჭირო სფერო, მაგრამ ენის შემსწავლელისათვის კი მეტად მნიშვნელოვანი, რადგან მან მომავალში შეძლოს არა მარტო საკითხის შესახებ აზრის გამოხატვა, არამედ შეძლოს გამართული, სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით აგებული მსჯელობა, სწორად გამოიყენოს სახელის ბრუნვის, ზმის, თანდებულის, რიცხვის ფორმები... ყოველივე ეს საკითხებზე მსჯელობისას უნდა მიეწოდოს ენის შემსწავლელს, რადგან ცალკეულ გრამატიკულ საკითხებზე მსჯელობა მისი გამოყენების პრაქტიკულ მხარეს არ გულისხმობს. ასეთი კონსტრუქციები ცალკე უნდა დამუშავდეს, რათა მოსწავლემ კარგად გააცნობიეროს რომელი ენობრივი ფორმა (ბრუნვა, რიცხვი, თანდებული, ზმის დრო, სხვა გრამატიკული კატეგორია) უნდა გამოიყენოს კონკრეტულ შემთხვევაში. ასეთი კონსტრუქციების მიწოდებისას, რა თქმა უნდა, გრამატიკულ საკითხებზე კი არ გამახვილდება ყურადღება, არამედ ენობრივ ფორმებზე, როგორც აზრის გამოხატვის საშუალებაზე. კონსტრუქციებში მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ეს კონკრეტული კონსტრუქცია მოითხოვს კონკრეტულ ბრუნვას, მოცემულ თანდებულს, შესაბამის რიცხვის ფორმას და ასე შემდეგ, თუმცა სრულიადაც არაა საჭირო გრამატიკული ტერმინის გამოყენება. ასეთი კონსტრუქციები ცალკე უნდა ამოიწეროს და მოსწავლეს უნდა განემარტოს, რომ სწორი და გამართული მსჯელობისათვის

საჭიროა მათი შეუცვლელად გამოყენება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დამახინჯდება ან შეიცვლება. მაგალითისათვის: **ამ გარემოებამ გამოიწვია, საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, ამ პრობლემის თაობაზე, ამ მოვლენებმა გამოიწვია სათანადო შედეგი...** ცალკე გამოტანილი ასეთი კონსტრუქციები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გამართული მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

## ზუნძციონალური ფრაზები

ასევე ცალკე უნდა დამუშავდეს და მოსწავლეებს მიეწოდოთ ის ფუნქციონალური ფრაზები, რომლებიც მასწავლებელს დასჭირდება საკითხის ახსნისას. მაგალითად: **ენახოთ ცხრილზე, დახახეთ ცხრილი, შეავსეთ ცხრილი, შეუსაბამეთ სწორი ფორმა, დააკავშირეთ, დააჯგუფეთ, მოახდინეთ კლასიფიკაცია, მიუწერეთ ქართული შესატყვისები, სქემის / ცხრილის მიხედვით იმსჯელეთ...** და ასე შემდეგ. მათი განმარტების გარეშე მოსწავლე ვერ შეძლებს დავალების სწორად შესრულებას. ამდენად, მასწავლებელმა წინასწარ უნდა გათვალის, როგორ წარიმართება ტექსტზე მუშაობა და მოსწავლეებს სპეციალურად, ახსნა-განმარტებით უნდა მიაწოდოს ის ფუნქციონალური ფრაზები, რომლებიც საგაკვეთოდო პროცესში დასჭირდებათ, რათა ამან შემდგომში არ გამოიწვიოს შეფერხება.

ბილინგვური სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია **ტექსტზე მუშაობა, რადგან სწორედ ტექსტია მოსწავლისათვის საგნობრივი ცოდნის მიმცემი და ამავე დროს იგი არის მისი ენობრივი კომპეტენციის ამაღლების უმთავრესი საშუალება, რადგან ენის აკადემიური ფლობის დონეს მხოლოდ ამ გზით ვაღწევთ.** სხვა შემთხვევაში ენა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებად დარჩება ენის შემსწავლელისათვის. ამდენად, თუ ტექსტზე მუშაობა სწორად არ წარიმართა მიზანი ვერც ერთ სფეროში ვერ შესრულდება და თავად ბილინგვური სწავლების ფორმაც საფრთხის ქვეშ დადგება. ეს კარგად უნდა ახსოვდეს მასწავლებელს.

## **5. თვალსაჩინოების მასალის გამოყენება პილიტიკური ბანათლების პროცესში**

იან ამოს კომენსკიმ თავის ნაშრომში „დიდი დიდაქტიკა“ დიდაქტიკის ერთ-ერთ უმთავრესად თვალსაჩინოების პრინციპი მიიჩნია: „ოქროს კანონიად უნდა იქცეს პირობა: მოსწავლეებს უნდა მეცეთ უფლება, შეიგრძნონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია შეიგრძნონ შეგრძნებების დონეზე: ხილვადი - მხედველობით, ხმა - სმენით, სუნი - ენოსფით, გემო - გემოთი, შესახები - შეხებით.“

რატომ არის ხილვადობა ასე მნიშვნელოვანი?

კომენსკის აზრით, რა ენასაც არ უნდა ვასწავლიდეთ – მშობლიურ ენასაც კი – უნდა ვაჩვენოთ ნივთები, რომელთა განმარტებაც სიტყვებია და უნდა ვასწავლოთ სიტყვებით გამოთქმა ყველაფრისა, რასაც ვხედავთ, რასაც ვეხებით, რასაც ვჭამთ, რათა მეტყველების პროცესი და აზრი ყოველთვის პარალელურად მიმდინარეობდეს და ორივე ვითარდებოდეს ერთად. არავის არ შეიძლება წავაკითხოთ ის, რაც მას არ ესმის, ან მოვთხოვოთ იმის განხილვა, რის გამოთქმაც მას სიტყვებით არ შეუძლია.

ვიზუალური საშუალებები დამხმარე სასწავლო საშუალებებია, რომელთაც აჩვენებენ, დემონსტრირებას უკეთებენ გაკვეთილზე, რათა უფრო გასაგები და ადგილად აღსაქმელი გახდეს სასწავლო მასალა, მიწოდებული ინფორმაცია, თეორიული აზრი და ასე შემდეგ. ვიზუალურ საშუალებებს, ჩვეულებრივ, სასწავლო პროცესის გარკვეული საფეხურის საჭიროებებისა და მოთხოვნების, ასევე მოსწავლეების ასაკიდან გამომდინარე თვისებების შესაბამისად ამზადებენ. მათ აჯგუფებენ ბუნებრივ, ხელოვნურ და სიმბოლურ ვიზუალურ მასალად.

ვიზუალური მასალა შეიძლება იყოს:

- ა) ბუნების ობიექტები (დემონსტრირებას დროს, ექსპურსიებზე და გასეირნების დროს),

- ბ) სპეციალურად შექმნილი საშუალებები (პლაკატები, სქემები, გამოსახულებები, ფოტო სურათები, ნახატები, გეომეტრიული ფიგურები, მულიაჟები, გრაფიკული ცხრილები, ტაბულები),
- გ) სიმბოლური საშუალებები (რუკები, გლობუსები),
- დ) მოდელები (აპარატები, ხელსაწყოები),
- ე) საექრანო საშუალებები (კინო ფილმები, დიაფილმები, დიაპოზიტივები და სხვა),
- ვ) აუდიოვიზუალური საშუალებები (ვიდეო ჩანაწერები, აუდიო ჩანაწერები).
- ტრადიციულად გამოიყენება ვიზუალური სწავლების მეთოდის ორი ჯგუფი:

- ილუსტრირების მეთოდი (სასწავლო მასალის ამსახველ საშუალებებთან დაკავშირებული - პლაკატების, რუკების, ნახაზების, სქემების, გამოსახულებების, ფოტოსურათების, გრაფიკების, დიაგრამების, ტაბულების - გამოყენებასთან);
- დემონსტრირების მეთოდი (რათა ნაჩვენები იყოს სიგრცითი სასწავლო საშუალებები);

ილუსტრირება პროცესია, რომლის მიზანია თეორიის გარკვეული კანონი ან მოვლენა უკეთ გასაგები გახადოს მაგალითის, ვიზუალური საშუალებების, სიტყვიერი განმარტებების, მოძრაობის და ასე შემდეგ დახმარებით.

დემონსტრირება შესაძლებელია ვიზუალური მასალის დამზადების დროს, სასწავლო ექსპერიმენტების დროს მათ შესახებ შეფასებების და განმარტებების გზით, ანუ მასწავლებლის, მოსწავლის ან სხვა პიროვნების მიერ ნათქვამის გამოყენებით. დემონსტრირება შესასწავლი ნივთის, ობიექტის, მოვლენის ცოცხლად დაკვირვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ამგვარად, შესაბამისი სასწავლო მასალის შინაარსის უკეთესად გააზრებას და ათვისებას უწყობს ხელს.

ვიზუალური სასწავლო მასალის გამოყენება რომ ეფექტური გახდეს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს და გავითვალისწინოთ რამდენიმე პირობა და მოთხოვნა:

- სასწავლო პროცესში ვიზუალური მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ვიზუალურ მხატვრული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს; ააქტიურებს ყურადღებას და შემეცნების უნარს; კონკრეტოზაციას უკეთებს სასწავლო ან გამოსაკვლევ თეორიულ საკითხებს; ნანახ მოვლენებს უკეთებს სისტემატიზებასა და კლასიფიცირებას; სწავლისადმი ინტერესს უკეთებს სტიმულირებას (შესაბამისად, პოზიტიური მოტივაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს); პროცესის და მოვლენების მოდელირების შესაძლებლობას იძლევა, რომელთა რეალურ დროში დაკვირვება შეუძლებელია; სასწავლო მასალის ათვისების დონის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა;
- არ შეიძლება ხილვადობა თვითმიზნად იქცეს. ვიზუალური მასალის ოპტიმალურად გამოყენება ნიშნავს ამის მიზანდასახულად კეთებას, სასწავლო გაკვეთილის მიზანთან და ძირითად დავალებასთან კავშირის გათვალისწინებით. ხილვადობის მეთოდი უნდა დაბალანსდეს სხვა მეთოდების გამოყენებით.
- ხილვადობა შეიძლება ახალი სასწავლო მასალის ახსნის დროს იყოს გამოყენებული, ასევე უკვე ნასწავლის განმტკიცებისთვის და შეფასების დროს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს რომ ვიზუალური მასალის გამოყენება გაკვეთილისთვის გამოყოფილი დროს საგრძნობლად დაზოგვაში გვეხმარება.
- ვიზუალური მასალის დამზადება შეუძლია მასწავლებელს (გამოყენების წინ ან გამოყენების დროს) და ასევე მოსწავლეებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფებში, წყვილებში მუშაობაში). დამზადებულ მასალაში მასწავლებელს თავისუფალი ადგილების დატოვება შეუძლია, რომელიც შემდგომ მოსწავლეს შეეძლება შეავსოს (მიახატოს, მიაწეროს რამე, ან რაიმეს სახელი დაარქვას).

- ვიზუალური მასალის გამოყენების დროს უნდა დარწმუნდეთ, რომ მას ყველა მოსწავლე კარგად ხედავს.
- მნიშვნელოვანია მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინება, მექსიერების დომინანტი სახეობები.

\* \* \*

დაწყებით სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაკვეთილის იმგვარად დაგეგმვას, რომ გეგმის თითოეული კომპონენტი შეესაბამებოდეს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს და ხელს უწყობდეს შინაგან მოტივაციას. ინტერესის აღდვრასა და შინაგანი მოტივაციის შექმნაში დიდი როლი ენიჭება რესურსებს, კერძოდ კი, თვალსაჩინოებას.

გაკვეთილის ან გაკვეთილების დაგეგმვის დროს ძალზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ რესურსები მიზანმიმართულად და ეფექტიანად. ამისათვის უნდა განვიხილოთ:

- **თემა**
- **სამიზნე ჯგუფი** - რომელი ასაკის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი სასწავლო მასალა;
- **სასწავლო მიზანი** - როგორ დაეხმარება რესურსი საგნისა და ენის შესწავლას;
- **მოსალოდნელი სასწავლო შედეგები** - რა შედეგებს მოელით მოსწავლეებისგან ამ რესურსების გამოყენებით.

რეკომენდებულია, რესურსის გამოყენებამდე გავეცნოთ მისი ეფექტიანობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს:

- რა არის რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას?
- რა არის რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით სწავლას?

- როგორი იქნება ამ რესურსის გამოყენების უკუგება, ანუ გააცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები, როგორ შეუწყო ხელი რესურსმა სწავლის პროცესს კლასში, რამდენად შეუწყო ხელი თანამშრომლობას, რა ისწავლეს ერთმანეთისგან და მასწავლებლისაგან მისი დახმარებით?
- შეუწყობს თუ არა ხელს ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას საგანში?
- შეუწყობს თუ არა ხელს ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას ენაში?

დაწყებით საფეხურზე ბილინგვური სწავლების დანერგვის ამ ეტაპზე, სპეციალურად ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე სახის თვალსაჩინოების მასალა, რომელთა მოკლე დახასიათებასა და გამოყენების ინსტრუქციებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

### **ა. თემატური პოსტერები**

თემატური პოსტერი არის დიდი ზომის პლაკატი, რომელზეც გამოსახულია საინტერესო, „ავთენტური“ კომპოზიცია. როგორც წესი, პოსტერი ფერადია და ადამიანებს, ნივთებს, მოქმედებებსა და მოვლენებს ასახავს. პოსტერი საკლასო ოთახში, თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება ისე, რომ ყველა მოსწავლე კარგად ხედავდეს. მასწავლებელსა და მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, აქტიურად ისაუბრონ პოსტერზე გამოსახული კომპოზიციისა და სიუჟეტის შესახებ. მასწავლებელი სვამს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის შეკითხვებს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მიზნობრივი ინსტრუქციების მიღევნებით, მოსწავლეები ერთმანეთს უსმენენ, ფიქრობენ, მეტყველებენ, წერენ, რაც სწრაფად ავითარებს ენობრივ უნარებს.

ქვემოთ მოყვანილია ერთ-ერთი თემატური პოსტერის ნიმუში:



## **ბ. სიტუაციური ნახატები (ისტორია სურათებში):**

ეს არის სასაცილო ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც ოთხ (იშვიათად – 5 ან 6) ნახატშია განვითილი. მათი გამოყენება მიზანშეწონილია ოთხაციან ჯგუფებში. ამ ნახატებით შესაძლებელია მოსწავლეთა დაჯგუფება შემთხვევითობის პრინციპით. კლასში შეგვაქვს კალათა / ყუთი, რომელშიც ყრია ნახატების იმდენი კომპლექტი (ისტორია), რამდენი ოთხაციანი ჯგუფიც შეიძლება ჩამოყალიბდეს. თითოეული მოსწავლე იღებს სურათს და რაიმე ნიშნის მიხედვით (ფონი / ნივთი, რომელიც მეორდება ყველა სურათში / პერიოდი და სხვა) ეძებს და პოულობს თავის ოთხეულს. მოსწავლეები ალაგებენ სურათებს თანამიმდევრობით და თხზავენ მცირეზომის ისტორიას. იმისათვის, რომ მოსწავლეებს საინტერესო დავალების მიმართ ენის ფლობის არასაკმარისმა დონემ ერთგვარი შიში არ ჩამოუყალიბოს, შეიძლება პირველ ეტაპზე გავუქარწყლოთ ეს შიში იმით, რომ თითოეულ კომპლექტს დაგურთოთ ბარათები ისტორიისათვის საჭირო ლექსიკური ერთეულებითა და ენობრივი კონსტრუქციებით. სავარაუდოდ, ჯგუფში იქნებიან ენის ფლობის დონის მიხედვით განსხვავებული მოსწავლეები. ისინი ერთმანეთს დაეხმარებიან ისტორიის შედგენაში და წარმოადგენენ მას კლასის წინაშე.

შესაძლებელია ამ დავალების მოდიფიცირებაც. ერთი მოსწავლე იღებს პირველ ნახატს, სხვები კი გამოთქვამენ ვარაუდს, როგორ შეიძლება განვითარდეს ამბავი. მოსწავლე აჩვენებს მეორე სურათს და სხვები ამოწმებენ საკუთარ ვარაუდებს.

ისტორია სურათებში ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, უზრუნველყოფს თითოეულის ჩართულობას, ხელს უწყობს კოგნიტურ უნარებთან ერთად კომუნიკაციური უნარების განვითარებას:


1.



2.



3.




4.



## გ. მოქმედების გამომხატველი ბარათები (ბანქო)

თვალსაჩინოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მოქმედების გამომხატველი სურათები (ბანქოს ფორმატში). მათზე ასახულია სხვადასხვა მდგომარეობისა და მოქმედების ამსახველი ნახატები. მასწავლებელი მათი დახმარებით შეასწავლის მოსწავლეებს ზმნებს და საწყისებს. მოსწავლემ ამ ნახატების ჩვენებისას უნდა დაასახელოს ზმნა ან საწყისი. ქართულ ენაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზმნათა პირიანობა და სახელთა შეწყობის საკითხი ზმნასთან სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. ზმნა სხვადასხვა დროის ფორმაში სხვადასხვა ბრუნვის ფორმით მოითხოვს სახელებს. თვალსაჩინოების დახმარებით მასწავლებელს შესაძლებლობა მიეცემა მოსწავლეები ავარჯიშოს ამ საკითხებში.

გთავაზობთ სანიმუშოდ რამდენიმე ბანქოს ქადალდს მდგომარეობისა და მოქმედების გამომხატველი ნახატებით:



## 6. გრაფიკული ორგანიზატორები

ბილინგვური სწავლისა და სწავლების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება. ეს ხერხი კარგად შეესაბამება ორი სასწავლო საგნის სწავლების მიზნებს (მეორე ენისა და რაიმე სხვა საგნისა). გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით, მასწავლებელი უზრუნველყოფს როგორც საგნის მასალის, ასევე ენის ათვისების წარმატებულობას.

### გრაფიკული ორგანიზატორები და მათი უზნებელობები:

გრაფიკული ორგანიზატორები ინფორმაციის სტრუქტურირების ხერხია – მოწესრიგების (დაჯგუფების) უმნიშვნელოვანების ხერხი.

- გრაფიკული ორგანიზატორები ინფორმაციას გიზუალურად გვაჩვენებენ.
- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება აქტიურ სწავლას უწყობს ხელს. მაგალითად: საშინაო დავალების (საგარჯიშოების) შესრულების დროს, მოსწავლეები იმ ენას იყენებენ, რომელზეც ლაპარაკობენ, კითხულობენ, წერენ, ისმენენ, ფიქრობენ, ხოლო ინფორმაციის გრაფიკულად განლაგების დროს ისინი იყენებენ როგორც ნაცნობ, ასევე უცნობ ინფორმაციას.
- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება მასწავლებელს და მოსწავლეს შორის თანამშრომლობას, ანუ კოოპერატიულ სწავლებას, უწყობს ხელს.,
- გრაფიკული ორგანიზატორები გვეხმარება ტექსტის ვიზუალურად მოწესრიგებაში (მის გაგებაში). მათი გამოყენება შეიძლება:
  - 1) ტექსტის ან ახალი მასალის წაკითხვის წინ,
  - 2) წაკითხვის შემდეგ,
  - 3) წერის ან დავალების წერილობით შესრულების წინ,

- 4) ტექსტის ან დავალების განხილვის დროს,
- 5) დისკუსიის დროს,
- 6) დასკვნების გაპეთების პროცესში და ა.შ.
- გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება მოსწავლის სასწავლო თემის შესახებ არსებული ცოდნის დადგენაში (გააზრებაში) გვეხმარება, ასევე – ახალი ცოდნის ათვისებისთვის მოსწავლეების მომზადებაში.
  - გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენების დროს, მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთისგან სწავლობენ (მასალასაც, ერთმანეთის გაგებას და ერთმანეთთან ურთიერთობას). ბილინგვური სწავლის პროცესში ასეთ თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეები საკუთარი ცოდნის სტრუქტურირებას სწავლობენ და აქედან გამომდინარე სწავლის საკუთარ სტრატეგიას ირჩევენ.
  - გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება როგორც ვიზუალური, ასევე სიტყვიერი (ვერბალური) ინფორმაციის გამოყენებას განაპირობებს. ეს მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, აირჩიონ, გარირება გაუკეთონ სწავლის სტილს, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

#### **ბრაზილული ორგანიზატორების გამოყენების ჟარტატმერბები:**

- შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთ აუდიტორიაში, რომელშიც მოსწავლეების ენის ცოდნის დონე სხვადასხვაა.
- შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთ აუდიტორიაში, რომელშიც მოსწავლეების ათვისების უნარის დონე სხვადასხვაა.
- შეგვიძლია განვავითაროთ და გავაფართოოთ ლექსიკური მარაგი.
- მოსწავლის ცოდნას აწესრიგებს, ხელს უწყობს მისი დისკუსიის უნარისა და შესაძლებლობის განვითარებას, ასევე სა-

კუთარი აზრის და მის ხელთ არსებული ინფორმაციის გა-  
მოთქმის.

- იმ მოსწავლეთა აზრისა და ენის ინტეგრირებას უწყობს ხელს, რომელთაც განსხვავებული (სხვადასხვა) სწავლის სტილი აქვთ.
- უფრო ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერი სახის (ესოდენ რთულ, სპეციფიურ და უცხო) ინფორმაციას (სასწავლო სა-  
განს).

**რას უნდა მივაძვიოთ ყურადღება გრაფიკული ორგანიზატორების  
გამოყენების დროს?**

- ყურადღება უნდა მიექცეს მთავარ ინფორმაციას, ცნებებს, აზრებს:  
მთავარი უნდა გამოიკვეთოს (უფრო დიდი ასოები ან ნახატები,  
უფრო მკვეთრი ფერით გახაზული ან გაფერადგებული), ნაკლებად  
მნიშვნელოვანი უფრო პატარა ასოებით, ან სხვანაირად უნდა  
დაიწეროს (წერის მიმართულების შეცვლა შეიძლება).
- ხელი შეუწყვეთ ცნებების და ზოგადი სახელების განვითარებას!
- გრაფიკული ორგანიზატორები გვიჩვენებენ მთავარ აზრს,  
შესაბამისი ლექსიკის დახმარებით. დაეხმარეთ მოსწავლეებს  
ცნებების შემადგენელი ნაწილების (ატრიბუტების) დანახვაში.  
მიზანი არის გაგება და სწავლა, ამიტომ გამოიყენეთ ისეთი  
სიტყვების მარაგი, რომლებიც განმარტავს, აზუსტებს,  
ილუსტრირებას უკეთებს ინფორმაციას.
- ხშირად გამოიყენეთ წერა, კითხვა, აზროვნება!
- მოსწავლეებს რომ გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება ან  
შედგენა შეეძლოთ, მათ ბევრი უნდა იკითხონ, იფიქრონ და წერონ.  
როცა მოსწავლეები გრაფიკულად ასახავენ ინფორმაციას ან კამა-  
თობენ მის შესახებ, მათ უწევთ მასალის გადაკითხვა, ერთმანეთში  
მოლაპარაკება, საუბარი, დამტკიცება, შესაბამისად ხედავენ მოვლუ-


ნათა ურთიერთ კავშირს, ურთიერთობას, მოვლენების განვითარებას, მიზეზებსა და შედეგებს.

- წერა ეხმარება და ხელშემწყობია დაგეგმარებისა და განხილვისა!
  - გრაფიკული ორგანიზატორები ეფექტური საშუალებაა დისკუსიის პრინციპით მუშაობის, გეგმის შედგენის, წერის ორგანიზების დროს. ყველაფრის ჩაწერის შემდეგ შეგვიძლია ნაშრომის შინაარსის დაჯგუფება და გადახარისხება.
  - განავითარეთ მიმდინარე დისკუსია!
  - გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება აზრებს მიმართულებას აძლევს. მოსწავლეები ავთენტურ ენას ხმარობენ - ინტერპრეტირების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტის, დათანხმების, არდათანხმების, თანამშრომლობის, შეცდომების დაშვების დროს - სასწავლო მასალიდან რომელიმე სპეციფიკური თემის შესწავლის პროცესში.
  - ინსტრუქციების ან გრაფიკული ორგანიზატორების მიცემის დროს თქვენ ეხმარებით დაგეგმვაში.
  - გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მთავარს რაიმე თემის, ცნების შესახებ და ხერხს, თუ როგორ შეიძლება ახალი ინფორმაციის ათვისება. იგი ფაქტობრივად რჩევას ან ინსტრუქციას იძლევა, თუ როგორ შეიძლება სწავლის გაგრძელება (როგორ შეიძლება ამ თემის ათვისება).
  - გრაფიკული ორგანიზატორები შეფასების ინსტრუმენტია. გრაფიკული ორგანიზატორები მოსწავლის ცოდნის, შეგნების, სწავლის, ფიქრის დონის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
- არსებობს გრაფიკული ორგანიზატორების რამდენიმე სახე, კერძოდ: **იურარქიული, კონცეპტუალური, თანმიმდევრული, ციკლური.**

## იერარქიული ხმრები

ეს ხერხი თავის თავში ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, დონეებს, საფეხურებსა და მათ ქვედანაყოფებს მოიცავს. მას იყენებენ განსაზოგადებლად და კლასიფიცირებისთვის.


მაგალითი:




## კონცეპტუალური ხმრები

**კონცეპტუალური** ხერხი თავის თავში მოიცავს ცენტრალურ იდეას, კატეგორიას, ფაქტს, რომელსაც კონკრეტული მაგალითები და სიდიდეები ახასიათებს. ჩვეულებრივ, მას იყენებენ, რათა აღწერონ, დაახასიათონ, შეაჯამონ, შეადარონ (მსგავსი და განსხვავებული).

მაგალითი:




კონცეპტუალური გრაფიკული ორგანიზატორის სახეობებია **გენის** დიაგრამა და ეგრეთ წოდებული „**სამყურას ფოთლის**“ დიაგრამა.




გენის დიაგრამას, ჩვეულებრივ, იყენებენ ორი სხვადასხვა წყაროდან მიღებული ერთი ფაქტის, მოვლენის, პრობლემის, ტექსტის და ა.შ. შესახებ ინფორმაციის შესადარებლად. ინფორმაციას აჯგუფებენ: **მსგავსი** და **განსხვავებული**.

თუ ადარებენ სამ სხვადასხვა ობიექტს, იკვეთება „**სამყურას ფოთლის**“ დიაგრამა.



შეადარეთ კავკასიის სამი ქვეყანა! დაწერეთ, რა არის მათვის საერთო:



1. – საქართველოსთვის,
2. – სომხეთისთვის,
3. – აზერბაიჯანისთვის,
4. – საქართველოსა და სომხეთისთვის,
5. – საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის,
6. – სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის,
7. – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის.


ინფორმაციის მოწესრიგების **თანმიმდევრული ხერხი** ითვალისწინებს მოვლენების, სიტყვების ქრონოლოგიის მიხედვით მოწესრიგებას – დასაწყისიდან ბოლომდე, მოვლენების წარმოშობის მიზეზების და შედეგების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქტის შედგენის პროცესში, პრობლემის გადაწყვეტის კავშირები – ყოველთვის სწორხაზოვნად.

#### 1. მაგალითი:

ზღაპარ „წითელქუდას“ მოვლენების თანმიმდევრობის დაწერა!

1.	წითელქუდა გაუმზავრა ბებიასთან, რომელიც ავადაა.
2.	მგელთან შეხვედრა ტყეში.
3.	მგელი და ბებია.
4.	წითელქუდას გაოცება და შეცვლილ ბებიასთან საუბარი.
5.	მონადირე კლავს მგელს.
6.	გადარჩენილი ბებია ისევ წითელქუდასთან ერთად არის.
7.	ის, რაც წითელქუდამ ამ ამბის შედეგად ისწავლა.

გთავაზობთ წრიული დიაგრამის ნიმუშს თემისათვის „წელიწადის დროები და ტანსაცმელი“:



## 7. შევასება

სასწავლო პროცესის შეფასება არის სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის დამდგენი მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მუდმივი პროცესი, მოსწავლეთა წარმატებისა და პროგრესის თანამიმდევრული შესწავლა.

შეფასების პროცესში დგება რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა:

- რისთვის ვაფასებთ (*შეფასების მიზანი?*)
- რას ვაფასებთ (*შეფასების საგანი?*)
- როგორ ვაფასებთ (*შეფასების ხერხები, ინსტრუმენტები?*)
- ვის ვაფასებთ (*შეფასების ობიექტი?*)
- როდის ვაფასებთ (*რა სიხშირით, რა ვადებში?*)
- როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (*მონაცემთა ანალიზი?*)

### შეფასების მიზნები

სასწავლო პროცესის შეფასების ძირითადი მიზნებია:

- ცალკეული მოსწავლისა თუ მოსწავლეთა ჯგუფის განვითარებაზე ხანგრძლივი და უწყვეტი დაკვირვება;
- სწავლებისა და სწავლის პროცესის მუდმივი შესწავლა, მონაცემთა შეკრება და შედეგების აღნუსხვა-წარდგენა;
- მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა, სკოლის დირექციისა და საზოგადოების (დაინტერესების შემთხვევაში) ინფორმირება სწავლების შედეგების შესახებ;
- მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დადგენა და შესაბამისი გადაწყვეტილებისათვის ხელის შეწყობა;
- სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწია;

- სწავლების სამომავლო პროცესების განხილვა მშობლებთან და სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად და შემდგომი სრულყოფა;
- სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების სტიმულირება მოსწავლეებში;
- მოსწავლეთათვის შეფასებისა და თვითშეფასების უნარის განვითარება;
- სწავლის პროცესის ეფექტიანი წარმართვა და მისი კორექტირება; აუთოისებელი მასალის, შეცდომების გამოვლენა და შესაბამისი დონისძიებების განსაზღვრა;
- სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო აქტივობების შერჩევა და დაგეგმვა მასწავლებლის მიერ;
- საგანმანათლებლო რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- მოსწავლების სამომავლო მოსწრების პროგნოზირება.

### **შეფასების ძირითადი პრინციპები**

შეფასება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- **მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინება.** შეფასების პროცესში არ შეიძლება დავისახოთ მიზნად იმის შეფასება, გაზომვა, რაც არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაქს;
- **ეროვნული სასწავლო გეგმითა და სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.** შეფასება უნდა ითვალისწინებდეს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სასწავლო გეგმითა და სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სკოლის სასწავლო გეგმით (თუ ასეთი სკოლას აქვს) განსაზღვრულ სტანდარტებს;
- **ობიექტურობის დაცვა წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე.** მოსწავლემ უნდა

- იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავოს ეს კრიტერიუმები ან სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით თავად ჩამოაყალიბოს და შემდეგ განიხილოს კლასში. ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს თვითშეფასების უნარის განვითარებას;
- **შეფასების შედეგების სანდოობის (საიმედოობის) უზრუნველყოფა.** უნდა ვიცოდეთ ზუსტად, რას ვაფასებთ და დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ შეფასების შედეგები სწორია. სანდოობის მისაღწევად სასურველია შეფასების განმეორება გარკვეულ პერიოდში. მონაცემები სანდოა, თუ შედეგი განმეორებადია;
  - **შეფასების სიზუსტის (ვალიდურობის) უზრუნველყოფა.** შეფასების ეფექტიანობის განსაზღვრა შეიძლება მონაცემების ზუსტი ანალიზით, რაც მიიღწევა საზომი საშუალებების შესაბამისობით გასაზომ ობიექტთან. თუ შეფასებითი ღონისძიება მთელი თავისი შინაარსით ნამდვილად აფასებს იმ ასპექტს, რომლის შეფასებაც გვინდა, შეფასება ვალიდურია.;
  - **ლიაობა და გამჭვირვალეობა.** შეფასების შედეგები და მისი ანალიზი ლია და გამჭვირვალე უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული მოსწავლის შეფასების შედეგად აღმოჩენილი შეცდომებზე საჯაროდ ვისაუბროთ).

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შემოწმება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამისათვის გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად

დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

**განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება.** განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, შეისწავლის მათ საჭიროებებს, რათა ამის გათვალისწინებით დაგეგმოს საგაპვეთილო პროცესი და თითოეულ მოსწავლეს შეუწყოს ხელი წინსვლაში რჩევებით. მასწავლებლის კომენტარების დახმარებით ისინი ადგენენ საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს, წარმატების შემფერხებელ ფაქტორებს. ეს მათ უვითარებს თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს.

### **შეფასების სამი სახე**

იმის მიხედვით, რას ადარებენ შესაფასებელ საგანს / ობიექტს, განასხვავებენ შეფასების სამ სახეს: **ნორმაზე ორიენტირებულს, კრიტერიუმზე ორიენტირებულს და პიროვნებაზე ორიენტირებულს.**

თუ ხდება ცალკეული მოსწავლეების მოსწრების შედარება, ან მოსწავლის მოსწრებისა დადგენილ ნორმასთან (ნორმა განისაზღვრება რომელიმე ჯგუფის მოსწრებით), მაშინ ეს არის **ნორმაზე ორიენტირებული შეფასება.** მაგალითად, ელმირა წელს მეცუთეა მოსწრებით კლასში; არფიკას 120 ქულიდან აქვს 62 ქულა.

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ ეს **კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასებაა.**, რომელიც ადგენს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ კრიტერიუმებით განსაზღვრულ დონეს ან რამდენმა მოსწავლე მიაღწია ამას კლასში. მაგალითად, კლასში ყველას შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; თამაზი ზუსტად იწერს ექსპერიმენტის შედეგებს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს.

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ მის წარსულ მოსწრებას, ეს არის **პიროვნებაზე ორიენტირებული შეფასება.** ამ შეფასებით ადვილად დგინდება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი. მაგალითად, ლეილას მეორე სემესტრში პრეზენტაციის კომპონენტში ორი ქულით მეტი აქვს

წინა სემესტრთან შედარებით; წერით დავალებებში რამიზი აღარ უშვებს უხეშ სინტაქსურ შეცდომებს.

ცხადია, დგება კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელი გამოყიფენოთ? პასუხი ყველასათვის ნათელია, ვისაც სასწავლო პროცესთან შეხება აქვს: პედაგოგიურ პრაქტიკაში სამივე გამოიყენება. თითოეულის გამოყენებას განსაზღვრავს შეფასების მიზანი, თუმცა შედეგზე და პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების პირობებში უპირატესობა ენიჭება კრიტიკუმსა და პიროვნებაზე ორიენტირებულ შეფასებას.

სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყოფა დიაგნოსტიკური, მიმდინარე, ანუ ფორმატული და შემაჯამებელი შეფასება.

**დიაგნოსტიკური შეფასებით** მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ცალკეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის სასწავლო საჭიროებების დასადგენად და იგი გვეხმარება სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრაში, ამ მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზების მონახვაში. დიაგნოსტიკური შეფასება, როგორც წესი, ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში ან ახალი თემის სწავლებამდე. მისი მიზანია მოსწავლის მომზადების საწყისი დონის დადგენა. დიაგნოსტიკური შეფასების საშუალებით ჩვენ ვიგებთ, რა ვითარებაა კლასში, არიან თუ არა მოსწავლეები მზად ახალი საპროგრამო მასალის ათვისებისათვის, რა სირთულეები შეიძლება შეგვექმნას და როგორ დავძლიოთ ისინი. მოსწავლის მომზადების საწყისი დონის დადგენა საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ მის ინდივიდუალურ პროგრესს გარკვეულ პერიოდში. ასეთ შემთხვევაში მოსწავლის შედეგებს ვადარებთ არა დადგენილ სტანდარტს, არამედ საწყის დონეს.

**მიმდინარე, ანუ ფორმატული შეფასება** ხდება ყოველ გაკვეთილზე, ყოველდღე, ყოველი აქტივობის დროს. მიმდინარე შეფასება შეიძლება იყოს განმსაზღვრელიცა და განმავითარებელიც. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას, კერძოდ, რა სახის საქმიანობა იზიდავს და რა – არა,

როგორია მისი სწავლის სტილი (სწავლობს მოსმენით, კითხვით, წერით, კეთებით, აქვს მთლიანობითი აღქმა თუ საგნებსა და მოვლენებს დანაწევრებულად აღიქვამს, თეორეტიკოსი თუ პრაგმატისტია და ა.შ.), რა უძნელდება, რა უადვილდება, შეუძლია თუ არა კონცენტრაცია, აქვს თუ არა წინსვლა, თუ არა – რა არის წარუმატებლობის მიზეზი ან რა განაპირობებს მის წარმატებას, აქვს თუ არა განვითარებული შემოქმედებითი, სააზროვნო და სოციალური უნარები. მიმდინარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქულების დაწერა (ნიშნით შეფასება), რამდენადაც ჩვენი რჩევები, რა და როგორ გააუმჯობესოს. ფორმატული შეფასება მოსწავლის შესახებ ამომწურავ, მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა და ობიექტურობის გარანტია.

ამასთან, მიმდინარე ანუ ფორმატული შეფასება მასწავლებელს აძლევს საბუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსიის შესაძლებლობას. იმაზე დაყრდნობით, რამდენად მიაღწია მასწავლებელმა საგაკვეთილო მიზანს, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოავლინეს მოსწავლეებმა, რა დაძლიეს და რა – ვერა, მას შეუძლია შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა, შერჩეული მასალის სირთულე, კლასის მართვის, ორგანიზების უნარი და სხვ.

**შემაჯამებელი შეფასება** ადგენს მოსწავლის წარმატებას სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ ეტაპზე: თემის დასრულებისას, სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის ბოლოს. ასეთი შეფასებისას მოწმდება ის, თუ რამდენად მიაღწია ცალკეულმა მოსწავლემ და მოსწავლეთა ჯგუფმა სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს / შედეგებს. სწორედ შემაჯამებელი შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ვაკეთებთ დასკვნას, რამდენად შესრულდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. ტესტები, საკონტროლო წერა, კონფერენცია, შემაჯამებელი დისკუსია, ჩათვლები, პროექტი და სხვ. შემაჯამებელი შეფასების ის ხერხებია, რომლებიც ხელს უწყობენ დასკვნების გაკეთებას.

მიმდინარე, ანუ ფორმატული და შემაჯამებელი შეფასება ავსებს ერთმანეთს და გვაძლევს მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის მიღწევების დადგენის ობიექტურ სურათს.

## შეფასების ხმრხმბი

შეფასების პროცესი შეფასების სხვადასხვა ხერხს ემყარება. ეს შეიძლება იყოს დაკვირვება, ზეპირი გამოკითხვა, წერითი სამუშაო, დისკუსიები, პროექტი, ჩათვლა ან გამოცდა, საქაღალდე, ანუ ე.წ. “პორტფოლიო”, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვა.

**დაკვირვება.** მონაცემთა ბაზის შესაქმნელად და შემდგომში მოსწავლის შეფასებისათვის ერთ-ერთი გავრცელებული და მნიშვნელოვანი ხერხია **დაკვირვება**. ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე დაკვირვებას სხვადასხვა სასწავლო თუ არასასწავლო (დასვენებებზე, სპორტულ მოედნებზე / დარბაზში და სხვ.), სიტუაციაში იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციის მიღება სურს მასწავლებელს. დაკვირვებამდე უნდა განისაზღვროს, რომელ მოსწავლეს / მოსწავლებს ვაკვირდებით და რას, რომელ უნარ-ჩვევას ვაკვირდებით (სასწავლო უნარ-ჩვევებს, სააზროვნო უნარებს ძირითადად გაკვეთილებზე ვაკვირდებით, ხოლო სოციალურ უნარ-ჩვევებს – გაკვეთილზე წყვილებსა თუ ჯგუფებში მუშაობისას და არასასწავლო სიტუაციებში).

დაკვირვება რომ საიმედო იყოს, საჭიროა ჩანაწერების ან ჩანიშვნების გაკეთება. საურველია, თუ ამ ჩანაწერებს ორგანიზებულ სახეს მივცემთ. ამისათვის თითოეულ მოსწავლეზე გვაქვს ფურცელი, რომელზედაც მოცემულია ცხრილი. ცხრილის შუაგულში წერია მოსწავლის სახელი და გვარი. მის გარშემო განლაგებულ უჯრებში კი იწერება ჩვენი დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია. მაგალითისათვის იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ადგილად კონტაქტში ადამიანებთან	შედის უცნობ	არ თანაკლასელების მოსაზრებებს ყურადღებით	უსმენს ხმამაღლა კითხვას	თავს სმამაღლა კითხვას	არიდებს
უყვარს აზრის უველა წერილმანზეც კი	საპუთარი გამოთქმა	ნაჩეარევად გადაწყვეტილებას	იდებს	უყვარს პაროდირება	სხვების და კარგადაც გამოდის
უჭირს კონცენტრაცია საკითხზე	დიდი ხნით ერთ	მოსწავლის გვარი	სახელი და	ინტერესით ერთვება	ვერ კითხვის პროცესში
ემოციურად რეაგირებს ხელოვნების ნიმუშებზე	მუსიკალურია, სიმღერები კარდაგ მღერის	უყვარს, სიმღერები და თავადაც	მეგობრობს რამდენიმე	მხოლოდ თანაკლასელთან	
ხშირად მათემატიკის გაძვეთილზე	აგვიანებს	ხალისითა მონაწილეობს თამაშებში	და ინტერესით როლურ	დასვენებებზე ურთიერთობს	ხშირად უფროსკლასელებთან

შემდეგ ეტაპზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე ვიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას და შევიმუშავებთ რეკომენდაციებს, რა რჩევები შეგვიძლია მივცეთ მოსწავლეს, მის მშობელს, რა გავითვალისწინოთ ჩვენ თავად.

**ზეპირი გამოკითხვა** არის მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების ფორმა, რომელიც ამოწმებს ცოდნას და თხრობის, პრეზენტაციისა და კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემის უნარს.

**წერითი სამუშაო** არის მოსწავლის ინდივიდუალური შეფასების ფორმა, რომელიც ამოწმებს ცოდნას, აზროვნებით და წერით უნარ-ჩვევებს საკონტროლოები, დამოუკიდებელი საკლასო სამუშაოების, წერითი საშინაო დავალებების საფუძველზე. წერით სამუშაოს მიეკუთვნება ტესტებიც, თუმცა აქ სურათი არაერთგვაროვანი შეიძლება გვქონდეს. არის ტესტები, რომლებიც ერთ სწორ პასუხს ითხოვენ (თუნდაც რამდენიმე სავარაუდო-

დან ერთის შემოხაზვას). მაშინ ასეთი ტესტები ძირითადად ინფორმაციული ცოდნის შეფასების საშუალებას იძლევა.

ძალიან ხშირად წერით ნამუშევრებში მასწავლებლები აღნიშნავენ შეცდომებს და ისე წერენ ნიშანს, რომ მოსწავლისათვის ძნელი გასაგებია, რატომ მიიღო ეს ნიშანი ან რა შეცდომა აქვს. სასურველია, ნაწერს გავუკეთოთ კომენტარები, რომლებითაც მივუთითებთ მოსწავლეს, რა სახის შეცდომაა დაშვებული, რას მიაქციოს ყურადღება ან რა უნდა გაითვალისწინოს მომავალში ნაწერის გასაუმჯობესებლად.

**დისკუსიების** დროს მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩაბმას ისეთი საკითხის განხილვაში, რომელზეც ალტერნატიული თვალსაზრისები შეიძლება იყოს. ეს ქმნის მოსწავლეთა ცოდნისა და როგორც აზროვნებითი, ისე კომუნიკაციური უნარების შეფასების საშუალებას.

**პროექტი** ეს არის რომელიმე პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური (შეიძლება წყვილებში) გადაჭრა, რომლითაც ფასდება მოსწავლეების არა მარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო, კომუნიკაციური და სოციალური უნარები, შემოქმედებითობა და ცხოვრებისეული გამოცდილება.

**პროექტის** დაგეგმვის დროს უნდა განისაზღვროს **პრობლემა** (გათვალისწინებული იყოს პრობლემის აქტუალურობა), განისაზღვროს მკაფიო და მიღწევადი **მიზანი**, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული, კონკრეტული **ამოცანები** – ამ მიზნის განხორციელების გზები თითოეული ამოცანის შესატყვისი კონკრეტული **საქმიანობები, გაწერილი დროში** (სამუშაო გეგმა) პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით, **მოსალოდნელი შედეგები** და **რესურსები**, რომლებიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად. პროექტი შეიძლება შესრულდეს ერთი საგნის ფარგლებში და ინტეგრირებულად (რამდენიმე საგნის ფარგლებში). პროექტი შეიძლება იყოს კვლევითი, გამოყენებითი და შემოქმედებითი.

**საქაღალდება, ანუ ეწ. „პორტფოლიო”** შეფასების უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი ფორმაა. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს შეფასების მიზანს. მასწავლებელი და მოსწავლე წინასწარ თანხმდებიან იმ მასალებზე, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მოსწავლემ დააკმაყოფილა მოთხოვ-

ნები და მიაღწია სასწავლო შედეგს. მოსწავლე ხსნის საკუთარ საქალალ-დეს, რომელშიც იდება სამუშაოს შეფასებისას გამოსაყენებელი ნამუშევრები.

შეფასების პერიოდის დასრულებისათვის მოსწავლე წერს ესეს, რომელშიც აღწერს, თუ რა ისწავლა შეფასების პროცესში და რატომ შეარჩია საქალალდისათვის მაინცდამაინც წარმოდგენილი მასალა.

საქალალდით მოსწავლის შეფასება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესს, შევადაროთ სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს, ვნახოთ, როგორ გაითვალისწინა მან ჩვენი კომუნტარები და რჩევები, რომლებსაც დროდადრო ვაძლევდით.

**თვითშეფასება და ურთიერთშეფასება.** იმისათვის, რომ მოსწავლე შეეჩიოს საკუთარი პასუხის შემოწმებას, ჩამოუყალიბდეს შეცდომის მიმართ სწორი დამოკიდებულება, დაძლიოს შიში შეცდომის წინაშე, ხშირად უნდა მივცეთ საკუთარი ნამუშევრის შეფასების საშუალება. თვითშეფასება მას ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ შეცდომების აღიარება და გამოსწორება წინსვლის აუცილებელი პირობაა. თვითშეფასებით იგი გრძნობს მეტ ვალდებულებას და ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური. თვითშეფასების რამდენიმე ხერხი არსებობს. ყველაზე გავრცელებულია სწორ პასუხებთან მოსწავლეების პასუხების შედარება. მოსწავლეები ამ შედარების გზით თავად აღმოაჩენენ საკუთარ შეცდომებს და შემდეგ ანალიზებენ, რატომ დაუშვეს ეს შეცდომები, რის ცოდნა დააკლდათ, რა ვერ გაითვალისწინეს, იქნებ კონცენტრაცია ვერ მოახერხეს საკითხთან დაკავშირებით ან მართებული გზა არ აირჩიეს და სხვა. თვითშეფასების პროცესში მნიშვნელოვანი სწორედ საკუთარი საქმიანობის რეფლექსის პროცესია. ეს აღმოაჩენინებს მოსწავლეს საკუთარ სუსტ მხარეებს, რომელთა დასაძლევადაც უნდა მიმართოს საკუთარი ძალისხმევა. შედეგიანია თვითშეფასების ისეთი ხერხი, როცა მოსწავლე წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით აფასებს საკუთარ ნაშრომს, შემდეგ უცელის მეწუკილეს და ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ, ბოლოს კი მასწავლებელი აფასებს. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ანალიზის

პროცესი. რა დაემთხვა შეფასების ამ სამ შემთხვევაში ერთმანეთს, რა – არა და რატომ? რის ცოდნა არ ეყო მოსწავლეს თავად ან მის თანაკლასელს ობიექტური შეფასებისათვის.

ურთიერთშეფასებაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, თუ მოსწავლეებს აქვთ წინასწარ შემუშავებული შეფასების მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის თვითშეფასების უნარს და მის ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

**რუბრიკები.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსწავლეთა ჩაბმა შეფასების პროცესში გაადვილდება, თუ ისინი კარგად გააცნობიერებენ, რას ითხოვენ, რა შედეგებს ელიან მათგან. ამის გაცნობიერებაში მათ დაეხმარება მარტივად, მათთვის გასაგები ენით ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, ანუ ე.წ. რუბრიკები. რუბრიკები არის კონკრეტული ინფორმაცია ჩვენი მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. გთავაზობთ რუბრიკების მაგალითს:

შეფასების სქემა დიალოგისათვის:

კრიტერიუმები	შეფასება
ინფორმაციის გასაგებად გადმოცემა	
ნასწავლი ლექსიკის გამოყენება	
“ვარ” ზმნის ფორმების I, II და III პირების როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში სწორად გამოყენება	
“ვინ” და “რა” კითხვების მართებულად დასმა	
სწორად რეაგირება დიალოგში დასმულ შეკითხვებზე	

ნაწერის შეფასების სქემა (სასურველია, ერთმანეთის ნაწერები წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეაფასონ მეწყვილებმა):

პრიტერიუმები	შეფასება
გასაგებად გადმოსცემს შველა საჭირო ინფორმაციას (თუ არა, მიუთითე, რომელი აკლია)	
სწორად იყენებს “ვარ” ზმნის I, II და III პირის ფორმებს როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში (თუ უშვებს შეცდომებს, მიუთითე)	
სწორად იყენებს შესწავლილ ენობრივ კონსტრუქციებს (თუ უშვებს შეცდომებს, მიუთითე)	

ქულები ამგარად შეიძლება განაწილდეს:

- |                   |         |
|-------------------|---------|
| თავისუფლად        | — 8-10; |
| პარგად            | — 6-7;  |
| დამაკმაყოფილებლად | — 3-5;  |
| ცუდად             | — 1-2.  |

## 8. პილინგის სტაციონის პროცესის შეფასება

ბილინგვური                    სწავლების                    პროცესის                    შეფასებისას  
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავად სწავლების პროცესსა და  
სწავლების სტრატეგიებს (ფორმატული შეფასება) და შედეგებს  
(შემაჯამებელი შეფასება). ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ხერხი,  
კერძოდ: დაკვირვება, ინტერვიუ, ტესტები და სხვა. პროდუცირების  
უნარების შეფასება გულისხმობს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

- რა ინფორმაციის / სამეტყველო ფუნქციის გამოყენება  
შეუძლიათ მშობლიურ და მეორე ენაზე მოსწავლეებს  
შეცდომებით თუ უშეცდომოდ (დასახული ამოცანების  
შესრულების შეფასება)?
- ვისთან – მასწავლებლებთან, თანატოლებთან და სტუმრებთან  
– შეუძლიათ ურთიერთქმედება (კომუნიკაციის პრობლემა)?
- როგორია მათი ლინგვისტური უნარები (ენობრივი  
კონსტრუქციების ათვისების დონის შეფასება და არა  
შეცდომების აღნუსხვა)?

შემფასებელთა ამოცანებში უნდა შედიოდეს სასწავლო პროცესის  
ანალიზი (დაკვირვება კლასში), მასწავლებლის / მოსწავლეების /  
მშობლების ურთიერთობები, სასწავლო მასალები, ასევე მოსწავლეთა  
კომპეტენციების ტესტირება (ფორმატული / შემაჯამებელი). კლასში  
დაკვირვებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო მოსწავლეების,  
არამედ მასწავლებლის ქცევასაც: რა გავლენას ახდენს ის მოსწავლეებზე  
და როდის და როგორ იყენებს ენებს? როგორ ქმნის მოტივაციას? როგორ  
რეაგირებს შეცდომებზე? შეცდომების გასწორების როგორ ფორმებს  
იყენებს: მოდელირებას (სწორი ფორმის თანამიმდევრული და სშირი  
გამეორება შეცდომების პირდაპირი შესწორების გარეშე) თუ ხელახლა  
ფორმულირებას (მოსწავლის შეცდომით ნათქვამის სწორად და გასაგებად  
ფორმულირება)? როგორ არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი?

მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად ბილინგვურ სკოლაში უწერადღება უნდა მიექცეს მათ მიღწევებს საგანში. ბილინგვურ სკოლაში მოსწავლეს ხუთი წელი მაინც სჭირდება იმისათვის, რომ იგი დაეუფლოს მეორე ენას საგნების შესასწავლად. ამ ხანგრძლივობის გამო მოსწავლეს შეიძლება გაუჩნდეს საკუთარი უსუსურობის განცდა, ჩამოუყალიბდეს დაბალი თვითშეფასება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად არსებობს ორი გზა: პირველი – ბილინგვური კლასის მოსწავლეთა შეფასება სპეციალურად მათვის შედგენილი სტანდარტების მიხედვით. ამ მიდგომამ შეიძლება მშობლებისა და საგნების მასწავლებელთა გამოიწვიოს, რადგან მათი სურვილია, მოსწავლის შედეგები შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტს. ამის გამო აუცილებელი ხდება ჩვეულებრივი სკოლებისათვის კუთვნილი ტესტების გამოყენება. მაგრამ, ამასთან, უნდა ვიფიქროთ ტესტებში გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ორენოვანი ტესტი. ასევე შეიძლება მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ დამატებითი დრო, ნება დაგროვოთ, ისარგებლონ ლექსიკონებით ან გავუმარტივოთ ტესტური დავალებების პირობები.

გაფასებთ რა ბილინგვურ პროგრამებს, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ენობრივი უნარების შეფასებით. უნდა შეფასდეს შინაარსი, მიზანი და მეთოდიკა.

ქვემოთ გთავაზობთ საგარაუდო ჩამონათვალის ცხრილს:

	მოსწავლეთა შეფასება	ბილინგვური სწავლების კომპონენტების შეფასება	ბილინგვური მოდელის შეფასება
რას გაფასებთ?	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპუტერიას მშობლიურ ენაში;</li> <li>• კომპუტერიას საგანში;</li> <li>• კომპუტერიას მეორე ენაში;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლების მეთოდიკა;</li> <li>• სასწავლო შინაარსი;</li> <li>• მასწავლებელთა ურთიერთობა მოსწავლეებთან.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოდელის ევაქტურება;</li> <li>• ბილინგვური სწავლების მასწავლებელთა მომზადება.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოტივაციას;</li> <li>• სხვა კომპეტენციები (კოგნიტური უნარები, სოციალური უნარები, სხვა სასწავლო უნარები);</li> </ul>		
<b>გინაფასებს?</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მასწავლებლები;</li> <li>• საატესტაციო / საგამოცდო კომისია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვირვებელთა ჯგუფი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარე მონიტორინგის ჯგუფი</li> </ul>
<b>მიზანი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;</li> <li>• სტანდარტის შედეგების მიღწევა;</li> <li>• ინფორმაცია მშობელთათვის;</li> <li>• შერჩევა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხარისხის კონტროლი;</li> <li>• მასალების გადამუშავება;</li> <li>• მასწავლებელთა მომზადების დონე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გადაწყვეტილების მიღება მოდელის შენარჩუნება / არშენარჩუნებაზე, განვითარებაზე.</li> </ul>
<b>როგორ ვაფასებთ?</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვარები;</li> <li>• ტესტები;</li> <li>• ინტერვიუ;</li> <li>• დაკვირვება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუ;</li> <li>• დაკვირვება კლასში წატარებულ სამუშაოებზე;</li> <li>• ზეპირმეტყველების ანალიზი;</li> <li>• სასწავლო მასალების ანალიზი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო პროგრამების ანალიზი;</li> <li>• კითხვარები;</li> <li>• კვლევები.</li> </ul>

## თავი 2

### 1. თემატური დაბებმვა ბილინგურ საკუთრივაში

იმისათვის, რომ მასწავლებელს გაუადვილდეს მოცულობითი თემის დაგეგმვა და გაკვეთილებად განაწილება, გთავაზობთ თემატური დაგეგმვის ცხრილს.

### I-II პლასტიკი

თემები:

- |                              |                          |
|------------------------------|--------------------------|
| 1. ახალი წელი ჩემს ოჯახში;   | 10. დედამიწა;            |
| 2. ზამთარი;                  | 11. ამინდი;              |
| 3. ფერები;                   | 12. გარემომცველი ბუნება; |
| 4. ადამიანი;                 | 13. ქალაქი და სოფელი;    |
| 5. დედაწემი ყველაზე ლამაზია; | 14. ჩემი სახლი;          |
| 6. ტანსაცმელი;               | 15. ჩემი სკოლა;          |
| 7. ხილი და ბოსტნეული;        | 16. ჩემი სათამაშოები;    |
| 8. ჩვენი საკვები;            | 17. დღესასწაულები;       |
| 9. ცხოველები და ფრინველები;  | 18. ჩემი სამშობლო.       |

**თემა 1**  
**„ახალი ფელი ჩემს ოჯახში“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ახალ წელზე მცირე ზომის დექსის წარმოთქმას;</li> <li>ახალ წელთან დაკავშირებული ემოციების გამოხატვას;</li> <li>ეცოდინება მისალოცი ბარათის სტრუქტურა (ადრესატი, შინაარსი, ადრესანტი) და კლიმა;</li> <li>ოჯახის წევრებისა და ახლობლებისათვის მისალოცი ბარათების მიწერას მოდელის მიხედვით.</li> </ul>	<p>მიყვარს, ძალიან მომწონს, მიხარია. გილოცავ ახალ წელს. დაქსწარი მრავალს. შენი შვილი / შვილიშვილი.</p> <p><b>ლექსიკა:</b> ახალი წელი, ნაძვის ხე, წიწვები, ტოტები, ფესვები, ღერო, ფერადი სათამაშოები, გოზინავი, ჩურჩელა, ნამცხვარი, ტკბილეული, მილოცვა, მისალოცი ბარათი, სიხარული, მხიარულება, თოვლი, თოვს, ყინვა, ყინავს, ცივა, თბილა, თოვლის ფიფქი, კარგი ამინდი / ცუდი ამინდი. . .</p> <p>(წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნება (1სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლეს ეცოდინება მცენარის აგებულება;</li> <li>ეცოდინება რამდენიმე მცენარის (ხის) სახელი;</li> <li>სურათებზე დაყრდნობით ერთმანეთისგან განარჩევს წიწვოვან და ფოთლოვან ხეებს.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ამოიცნობს სურათებზე წიწვოვან და ფოთლოვან მცენარეებს, ასახელებს და მიაწერს ქართულად შესაბამის დასახელებებს. ასახელებს მცენარის აგებულებას (ღერო, ტოტები, ფესვები).</p>
ხელოვნება/	<ul style="list-style-type: none"> <li>განუვითარდება წვრილი</li> </ul>	ქაღალდისაგან ამზადებს “თოვლის ფიფქებს”, გირ-

<b>შრომითი სწავლება (2 სთ.)</b>	<p>მოტორიკა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განუვითარდება ხელი-თვალის კოორდინაცია;</li> <li>• შექმნის მარტივ ორნამენტებს;</li> <li>• არჩევს შესაბამის ფიგურებსა და ფერებს.</li> </ul>	<p>ლანდებს.</p> <p>ადეპვატურად რეაგირებს მასწავლებლის ინსტრუქციებზე (აიღეთ მაკრატელი, ქადალდი, გამოვჭრათ...); აფასებს თანაკლასელების ნამუშევარს (მომწონს, ლამაზია);</p> <p>წარმოადგენს ნამუშევარს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს);</p> <p>შერეული მასალითა და სხვადასხვა ტექნიკით შექმნის მისალოც ბარათებს.</p>
<b>ფიზკულტურა (2სთ.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეეძლება კოორდინაცია;</li> <li>• ერთმანეთს შეუნაცვლებს სხვადასხვა მოძრაობას;</li> <li>• შეასრულებს მოქმედებებს მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> <li>• დაიცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<p>მითითების მიხედვით ასრულებს მოქმედებებს (ასწიეთ მარჯვენა ხელი/ მარცხენა ხელი, წინ წადგი მარჯვენა/მარცხენა ფეხი, გასრიალდი).</p> <p>თამაში: კონკურსი ზამთრის თამაშობების იმიტირებაში (თხილამურები, ციგურები).</p>

**თმა II**  
**„ზამთარი“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>პვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ზამთრის სურათის აღწერას;</li> <li>მარტივი სიტყვების ამოკითხვას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>მარტივი სიტყვების დაწერას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>ნიმუშის საფუძვლზე მარტივი წინადადების დაწერასა და ამოკითხვას;</li> <li>სურათზე და მასზე მიწერილ სახელებზე დაყრდნობით დასვას მარტივი კითხვები და უპასუხოს მათ.</li> </ul>	<p>თოვს. ცივა. ყინვაა. მთები თეთრია რომელია ზამთრის თვეები?</p> <p>ზამთრის თვეებია დეკემბერი, იანვარი, თებერვალი. მე (არ) მიყვარს ზამთარი.</p> <p>რას თამაშობ ზამთარში? ზამთარში მიყვარს თოვლში ციგაობა, გუნდაობა, ციგურებით სრიალი.</p> <p><b>ლექსიკა:</b> თოვლი, ზამთარი, თოვლის პაპა, ცივა, ყინვა, თეთრი, დიდი, გუნდა/გუნდაობა, ციგა/ციგაობა, თამაში, ციგურები.</p> <p>(წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნებისმცოდნეობა (1სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლეს ექნება ცოდნა წელიწადის დროების შესახებ;</li> <li>შეეძლება წელიწადის დროების დასახელება, მათი მარტივად აღწერა და თვეების ჩამოთვლა.</li> </ul>	<p>(აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. თოვლის თვეები. ბავშვის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით წელიწადის დროების დახასიათება.</p> <p>სამუშაო რვეულში/წიგნში წელიწადის დროების ნახატებისთვის სახელის მიწერა.</p>

<p><b>ხელოვნება/ შრომითი სწავლება (2 სო.)</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეარჩევს გამოსახულების ზომას ფურცლის ზომის შესაბამისად;</li> <li>ასახავს დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს;</li> <li>ხატავს წარმოსახვით.</li> </ul>	<p>მოსწავლე ხატავს საყვარელ წელიწადის დროს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და აღწერს)</p> <p><b>ან</b></p> <p>მოსწავლე გამოჭრის ფიცქებს, ნაძვის ხეს, სათამაშოებს (ბურთებს, გარსკვლავებს) და აფერადებს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და აღწერს)</p> <p><b>ან</b></p> <p>მოსწავლე უსმენს “წელიწადის დროებს”. ასახელებს, რომელი მოსწონს.</p> <p><b>ან</b></p> <p>სწავლობენ ქართულ სიმღერას რომელიმე წელიწადის დროზე.</p>
<p><b>ფიზკულტურა (2სო.)</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>გაიგებს და შეასრულებს ინსტრუქციას;</li> <li>გამოავლენს დახმარების უნარს;</li> <li>გამოავლენს სისწრაფეს, მოქნილობას.</li> </ul>	<p><b>თამაში:</b> დარბაზის კუთხეებში, სადაც წერია წელიწადის დროები, უნდა მიირბინონ ბავშვებმა, რომელთაც შეხვდათ მასწავლებლის მიერ დარიგებული ბარათები, რომლებზეც წერია, მაგ.: თოვს, ცხელა, თოვლის პაპა, მარტი, ბანაობა, თოვლის დნება, ბევრი ხილი . . . მასწავლებელი განიხილავს ბავშვებთან ერთად, ვინ სად მივიდა და რამდენად სწორად.</p> <p><b>ან</b></p> <p>ურიგდებათ ბავშვებს არეულად ბარათები თვეების დასახელებით და ბავშვები უნდა დაღგნენ მწერივში.</p>

### თემა III „ვერები“

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</li> <li>• ფერების ქართულად დასახელებას;</li> <li>• კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის გაცემას ფერის დასახელებით;</li> <li>• თვალსაჩინოებაზე ფერების დასახელებას;</li> <li>• თვალსაჩინოებაზე ან სურათზე ფერების სახელწოდებების მიწერას;</li> <li>• სურათის აღწერას ფერების მიხედვით;</li> <li>• მცირე დიალოგის შედგენას საქუთარი ნივთების აღწერითა და ფერების დასახელებით.</li> </ul>	<p>ფერთა წარმოება (-ის + ფერი დამატებით): ვარდისფერი, ყავისფერი, სტაფილოსფერი, ცისფერი, ფორთოხლისფერი, შინდისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ჩალისფერი... გააფერადე. სურათი... რა ფერისაა შენი ჩანთა? რა ფერის თმა გაქვს / აქვს ნანას? რა ფერისაა მამაშენის მანქანა? გააფერადე, გავაფერადე. ეს ლამაზი ფერია. რომელი ფერი იქნება უფრო ლამაზი? ლექსიკა: გაფერადება, პეიზაჟი, პალიტრა. (წერისთვის აქვთან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნება (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლე დაახასიათებს გარემოს საგნებსა და მოვლენებს ფერების აღნიშვნით.</li> </ul>	<p>(აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>თამაში:</p> <p>ერთი მოსწავლე მიდის ჯიგთან, აკაკუნებს და ეუბნება,</p>

		<p>რომ მოიყვანა ცხოველი, ან მოიტანა საგანი. სხვები უსვა- მენ კითხვებს (რა ფერისაა? როგორია?...) ერთი ასახელებს და ახასიათებს. თუ კითხვას პასუხი ვერ გასცა, მას სხვა ცვლის.)</p>
<b>ხელოვნება</b> (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• აკურატულად გააფერადებს კონტურებიან ნახატს.</li> <li>• ჩამოთვლის ცისარტყელას ფერებს;</li> <li>• ეცოდინება თბილი და ცივი ფერები;</li> <li>• შეძლებს ფერთა შეხამებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იყენებს სპექტრალურ ფერებს, არჩევს ცივ და თბილ ფერებს და ხატავს რომელიმე სეზონის პეიზაჟს;</li> <li>• წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე.</li> </ul>
<b>ფიზიკური აღზრდა</b> (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ასრულებს მოქმედებებს მას- წავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> <li>• იცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეები ჯაუგდებიან მაისურების ფერების მიხედვით, ქმნიან მცირე სპორტულ გუნდებს და ეჯიბრებიან მძლეოსნობის რომელიმე სახეობაში.</li> </ul>

## თემა IV

### „ადამიანი“

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის სხეულის ნაწილების ქართულად დასახელებას;</li> <li>• ადამიანის გარეგნობის მარტივ აღწერას;</li> <li>• კითხვების დასმას;</li> <li>• კითხვებზე პასუხის გაცემას;</li> <li>• სხეულის ნაწილების ამსახველ სურათებზე მიწერილი სიტყვაბის წაკითხვას;</li> <li>• სხეულის ნაწილების ამსახველ სურათებზე შესაბამისი სიტყვების მიწერას.</li> </ul>	<p>მე მაქვს, შენ გაქვს, მას აქვს (ათი თითი, ერთი თავი, ორი ხელი . . . შავი თმა, ლურჯი თვალები) რამდენი ხელი (თითი, თავი, ცხვირი, თმა . . .) გაქვს/აქვს? რამდენი ხელი (თითი, თავი, ცხვირი, თმა . . .) აქვს გორგის? როგორი თმა აქვს სალომეს? – სალომეს აქვს მოკლე / გრძელი / შავი თმა. . .</p> <p><b>ლექსიკა:</b> თავი, ტანი, ხელი, მარჯვენა, მარცხენა, ფეხი, თითი/თითები, სახე, თმა/თმები, შუბლი, წარბი/წარბები, წამწამი/წამწამები, თვალი/თვალები ცხვირი, პირი, ენა, კბილი/კბილები, ზურგი, კისერი, მუცელი . . . (წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, ოუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნება (1სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლე ამოიცნობს თვალსა- ჩინოებაზე ადამიანის სხეულის ძირითად ნაწილებს.</li> </ul>	<p>(აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ასახელებს (მიაწერს) თვალსაჩინოებაზე მოცემულ სხეულის ნაწილებს შესაბამის დასახელებებს.</p>
ხელოვნება/	<ul style="list-style-type: none"> <li>• განუვითარდება ხელი-თვალის</li> </ul>	<p>დაშლილი ნაწილებისგან აწყობს ადამიანის სხეულს,</p>

<p><b>შრომითი სწავლება (2სო.)</b></p>	<p>კოორდინაცია (აკურატულად შეაქრთებს ნახატის დაშლილ ნაწილებს, ხაზებს);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოხატავს საკუთარი გარეგნობის თავისებურებებს (ოვალის, თმის ფერი, სიგრძე).</li> </ul>	<p>თან ქართულ ენაზე ასახელებს მათ. ხატავს საკუთარ პორტრეტს, მიაწერს საკუთარ სახელსა და გვარს.</p>
<p><b>ფიზკულტურა (2სო.)</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განვითარდება მოძრაობის კოორდინაციის;</li> <li>• შეასრულებს მოქმედებებს მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> <li>• დაიცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<p>მითითების მიხედვით ასრულებს მოქმედებებს (ასწიეთ მარჯვენა ხელი/ მარცხენა ხელი, გვერდზე გადგით მარჯვენა/მარცხენა ფეხი;) თამაში: შეჯიბრი ჯგუფების მიერ ოთახის (სპორტული დარბაზის) სხვადასხვა კუთხეში განლაგებული ადამიანის სხეულის ნაწილების სურათების მოძებნასა და შეერთებაში.</p>

**თმა 5**  
**„დედაქმი ყველაზე ლაგაზია“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>პვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დედის აღწერასა და მარტივ დახსასიათებას;</li> <li>დედისადმი საძუთარი დამოკიდებულების გამოხატვას;</li> <li>დედაზე მცირე ზომის ლექსის წარმოთქმას;</li> <li>დედისათვის დედის დღის მისაღოცი ბარათის დაწერას.</li> </ul>	<p>დედახემი ლამაზია. მას აქვს შავი / ლურჯი / ცისფერი / თაფლისფერი თვალები, შავი / ქერა თმა, მაღალია და გამხდარი / დაბალია და მსუქანი, კეთილია, მოსიყვარულეა, თბილია. ის მასწავლებელია / ექიმია / მუსიკოსია / არ მუშაობს. ყველაზე მეტად მიყვარს. მიყვარხარ, გკოცნი.</p> <p><b>ლექსიგა:</b> მსუქანი, გამხდარი, მოსიყვარულე, ყველაზე მეტად / ძალიან, ხუჭუჭი / სწორი თმა. (წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარო).</p>
ბუნება (1სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>იცის ზოგიერთი ყვავილის სახელწოდება და შეუძლია მათი ამოცნობა.</li> </ul>	<p>(აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ყვავილების სახელწოდებები: ია, ვარდი, ტიტა, იასამანი, მიხაკი, შროშანი, გვირილა.</p> <p>ამოიცნობს სურათებზე გამოსახულ ყვავილებს;</p> <p>ქმნის დედისათვის წარმოსახვით თაიგულს და ასახელებს ყვავილებს, რომელთაგანაც შეკრავს ამ თაობულს.</p>
ხელოვნება/ შრომითი სწავლება (2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>განუვითარდება ხელოთვალის კოორდინაცია</li> <li>გამოამჟღავნებს მარტივი შრომითი საქმიანობის ელგ-</li> </ul>	<p>ქმნის დედის პორტრეტს ან აფორმებს მისაღოც ბარათს და წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე. ამზადებს დედისათვის საჩუქარს (მაგალითად, მუყაოს ზარდახშას).</p>

	მენტარულ უნარ-ჩვევებს.	
ფიზკულტურა (2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ერთმანეთს შეუნაცვლებს სხვადასხვა მოძრაობას;</li> <li>• შეასრულებს მოქმედებებს მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> <li>• დაიცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<p>თამაში: სპორტული დარბაზის სხვადასხვა ადგილას განთავსებული “ყვავილების” (ყვავილების დასახელება ან ნახატი მოცემულია ფურცლებზე) შეგროვება დედის თაიგულისათვის (ვინ უფრო სწრაფად);</p> <p>ან</p> <p>გუნდები, რომლებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს, სახელად ირჩევენ ყვავილების სახელწოდებებს.</p>

**თმა VI**  
**ტანსაცემელი / ჩემი გარდეპობი**

საგანი	მიზანი	შინაარსი
<b>ქართული ენა (3სო.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</li> <li>საკუთარი გარდერობის აღწერას;</li> <li>საკუთარი შეგრძენების გამოხატვას;</li> <li>წელიწადის დროების / ამინდის შესატყვისი ტანსაცმლის დასახელებას;</li> <li>კითხვების დასმასა და კითხვებზე პასუხის გაცემას.</li> </ul>	<p>მცივა / გცივა / სცივა, მცხელა / გცხელა / სცხელა, მაცვია / გაცვია / აცვია, ვიცვამ / იცვამ / იცვამს. სიცივეში, სიცხეში, სითბოში, ეს კაბა / შარვალი სუფთაა / ჭუჭყიანია.      ზამთარში / ზაფხულში რა გაცვია? გაზაფხულზე / შემოდგომაზე რა გაცვია?  <b>ლექსიკა:</b> საწვიმარი, უაკეტი, პალტო, ჩექმები, შარვალი, ქვედაკაბა, ქურთუკი, სვიტერი / ჯემპრი, უილეტი, სიცვე, სიცხე, სითბო.  <b>(წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</b></p>
<b>ბუნება (1სო.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ასახელებს თითოეული სეზონის დამახასიათებელ კომპონენტებს და შესაბამის ტანსაცმელს.</li> </ul>	<p><b>(აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</b>      აერთებს ისრით თითოეული სეზონის დასახელებას მისთვის დამახასიათებელი კომპონენტებისა და ტანსაცმლის დასახელებასთან / სურათთან (მაგალითად, ზამთარი – სიცივე – პალტო, შემოდგომა – წვიმა – საწვიმარი. . .)</p>
<b>ხელოვნება/ შრომითი სწავლება (2სო.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>განუვითარდება ხელი-თვალის კოორდინაცია</li> <li>გამოამჟღავნებს მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს.</li> </ul>	<p>ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭრის ტანსაცმელს და მუჟაოსაგან დამზადებულ ადამიანის ფიგურას ურჩევს სამოსს. თან ასახელებს მათ სახელწოდებებს.</p>

<b>ფიზულტურა</b> (2სთ.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაიცავს თამაშისას მიღებულ წესებს;</li> <li>• შეასრულებს მოქმედებებს მას-წავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე.</li> </ul>	<p>იცვამს შესაბამის სპორტულ ტანსაცმელს და ასახ-ელებს, რა აცვია.</p> <p>თამაში: ორნი ერთ მაისურში. წყვილი იცვამს ერთ მოზრდილ მაისურს ისე, რომ ხელების მოძრაობა არ შეეძლოს. ორი ასეთი წყვილი ეჯიბრება ერთმანეთს სირბილში (მთავარია სინქრონული მოძრაობა).</p>
----------------------------	---	--

**თემა VII**  
**„ხილი და ბოსტნეული”**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>მოსწავლეს შეეძლება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ხილის და ბოსტნეულის მარტივი სახელების ამოკითხვა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>ხილის და ბოსტნეულის მარტივი სახელების დაწერა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>მოსწავლეს შეეძლება მარტივი წინადადების დაწერა და ამოკითხვა;</li> <li>მოსწავლეს შეეძლება სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე დაყრდნობით დასვას მარტივი კითხები ხილის და ბოსტნეულის შესახებ და უპასუხოს მათ.</li> </ul>	<p><b>ზეპირმეტყველება:</b> ეს რა ხილია/ბოსტნეულია? ეს არის . . . მე (არ) მიყვარს . . . რომელი ხილი/ბოსტნეული გიყვარს?</p> <p><b>ლექსიკა:</b> ხილი, ბოსტნეული, ატამი, ბალი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი, მანდარინი, ფორთოხალი, სიმინდი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, სტაფილო (წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნება (1სო.)	<p>მოსწავლეს შეეძლება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ხილის და ბოსტნეულის გარჩევა;</li> <li>ხილის და ბოსტნეულის ამოცნობა ნახავზე;</li> <li>დასახელება, სად იზრდება, რაში გამოიყენება.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>საკვები მცენარეები: ხილი და ბოსტნეული.</p> <p>მოსწავლე სამუშაო რეეულში (წიგნში) მიაწერს სურათს სახელს.</p>
ხელოვნება/	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლეს შეეძლება</li> </ul>	მოსწავლე ხატავს საყვარელ ხილს და ბოსტნეულს და

<b>შრომა</b> (1სთ.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფერების/მასალის შერჩევა;</li> <li>• არატრადიციული მასალის გამოყენება ნამუშევრის შესაქმნელად;</li> <li>• კლასის წინაშე საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენა;</li> <li>• განუვითარდება წვრილი მოტორიკა;</li> <li>• განუვითარდება ხელი-თვალის კოორდინაცია.</li> <li>•</li> </ul>	<p>მიაწერს სახელს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს)</p> <p><b>ან/და</b></p> <p>მოსწავლე აფერადებს სხვადასხვა ფერებად ხილის და ბოსტნეულის ნახატებს და აწერს სახელებს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს).</p>
<b>ფიზკულტურა</b> (2სთ.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს განაწილება გუნდური მუშაობისას;</li> <li>• დახმარების უნარის განვითარება;</li> <li>• ჩაკუზვა/გამართვა;</li> <li>• სივრცითი ორიენტაცია,</li> <li>• სირბილი.</li> </ul>	<p>თამაში №1: “ნახატი-სიტყვა” – გუნდებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოძებნონ და დაალაგონ ერთად დარბაზში დაფანტული ხილისა და ბოსტნეულის ნახატები და მათი შესაბამისი სიტყვები.</p>

**თემა VIII**  
**„ჩჩენი საპგები“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>მოსწავლეს შეეძლება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკვების სახელების ამოკითხვა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>• საკვების მარტივი სახელების დაწერა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>• მარტივი წინადადების დაწერა და ამოკითხვა;</li> <li>• სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე დაყრდნობით კითხვების დასმა საკვების შესახებ და კითხვებზე პასუხი.</li> </ul>	<p>ეს არის ეს?      ეს არის (ჟური, კარაქი . . . )      ეს რა საჭმელია?      ეს არის . . .      მე (არ) მიყვარს . . .      რომელი საჭმელი გიყვარს?      მე მინდა... დედა ამზადებს...      ზომიერი კვება ჯანმრთელობაა.  <b>ლექსიკა:</b>      პური, კარაქი, ჩაი, რძე, ყველი, კვერცხი, ნამცხვარი, მურაბა, კანფეტი, არაუანი, შაქარი, ლიმონი, კაკაო, შოკოლადი, საუზმე, საკვები, ჯანმრთელობა.      (წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნებისმცოდნეობა (1სო.)	<p>მოსწავლეს ეცოდინება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რომელია ცხოველური და მცენარეული საკვები;</li> <li>• რისი მომზადება შეიძლება რძისგან, ხორცისგან, მცენარეებისგან;</li> <li>• შეეძლება ჯანსაღი საკვების შერჩევა.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>მოცემულ ჩამონათვალში აჯგუფებს მცენარეულ და ცხოველურ საკვებს.</p> <p>როლური თამაში “რესტორანში” / ”კაფეში”. მოსწავლეებს ეძლევათ მენიუ და უნდა ამოირჩიონ</p>

<b>ხელოვნება/შრომა (1სო.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წვრილი მოტორიკის განვითარება;</li> <li>• ძერწვის უნარის განვითარება;</li> <li>• ფერების/მასალის შერჩევა;</li> <li>• ქადალდის ფართობის აღსკვატური განაწილება;</li> <li>• ნახატში ძირითადის და დამხმარის გამოყოფის უნარის განვითარება;</li> <li>• კლასის წინაშე საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენის უნარის განვითარება.</li> </ul>	<p>მოსწავლე პლასტელინით ამზადებს სხვადასხვა საკვებს. პლასტელინითვე მიაწერს სახელს. წარმოადგენს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს)</p> <p><b>ან/და</b></p> <p>მოსწავლე აფერადებს სხვადასხვა ფერებად საკვების ნახატებს და აწერს სახელებს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს).</p> <p><b>ან/და</b></p> <p>მოსწავლე ხატავს საუზმის სცენას (მაგიდას საჭმელებით), ისრებით და უჯრებით აკეთებს კომენტარებს (მიაწერს სახელებს).</p>
<b>ფიზკულტურა (2სო.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დახმარების უნარის განვითარება;</li> <li>• სისწრავე;</li> <li>• სირბილი;</li> <li>• სივრცითი ორიენტაცია.</li> </ul>	<p><b>თამაში:</b> “მეწყვილე სიტყვები”. – მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები სიტყვებით. მათ უნდა იპოვნონ მაგიდა წარწერით, რომელსაც მათი სიტყვა შეესაბამება და უნდა მიირბინონ იქ. მაგ., ტკბილი – ნამცხვარი.</p>

## თემა IX

### ცხოველები და ფრინველები”

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.+3სო)	<p>მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ცხოველების და ფრინველების მარტივი სახელების ამოკითხვას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>ცხოველების და ფრინველების მარტივი სახელების დაწერას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>მარტივი წინადაღების დაწერასა და ამოკითხვას;</li> <li>სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე დაყრდნობით დასვას მარტივი კითხვები ცხოველების და ფრინველების შესახებ და უპასუხოს მათ.</li> </ul>	<p>რა არის ეს?</p> <p>ეს არის (თხა, ბუ . . .).</p> <p>ეს რა ცხოველია?</p> <p>ეს რა ფრინველია?</p> <p>ეს არის . . .</p> <p><b>ლექსიკა:</b></p> <p>ძალლი, კატა, ოაგვი, ოხა, ძროხა, ხბო, კამეჩი, ღორი, ცხვარი, იხვი, ბატი, ინდაური, ქათამი, ბეღურა, მერცხალი, ბუ, ჭია, ლომი, მგელი, მელა, არწივი, მაიმუნი, გველი, გედი, სპილო, ძერა, დათვი, ციყვი, კუდი, თათი, ფრთა</p> <p>(წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</p>
ბუნება (1სო.+1სო.)	<p>მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ცხოველებისა და ფრინველების გარჩევას;</li> <li>ცხოველებისა და ფრინველების ამოცნობას ნახავზე;</li> <li>მათი სხეულის ნაწილების (კუდის, თათის და ფრთის დასახელებას ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ძალლი, კატა, ოაგვი, ოხა, ძროხა, ხბო, კამეჩი, ღორი, ცხვარი, იხვი, ბატი, ინდაური, ქათამი, ბეღურა, მერცხალი, ბუ, ჭია, ლომი, მგელი, მელა, არწივი, მაიმუნი, გველი, გედი, სპილო, ძერა, დათვი, ციყვი, კუდი, თათი, ფრთა.</p> <p>შინაური და გარეული ცხოველები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაო რვეულში (წიგნში) სურათისთვის სახელის მიწერას;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>შინაური და გარეული ცხოველის/ფრინველის გარჩევას.</li> </ul>	
სელოვნება/ შრომა (2სთ.+2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>წვრილი მოტორიკის განვითარება;</li> <li>ხელი-თვალის კოორდინაციის განვითარება;</li> <li>ფერების/მასალის შერჩევა;</li> <li>კლასის წინაშე საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენის უნარის განვითარება.</li> </ul>	<p>მოსწავლე ხატავს ცხოველებს, რომლებიც გარს აკრავს და აწერს სახელებს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს)</p> <p><b>ან/და</b></p> <p>მოსწავლე აფერადებს სხვადასხვა ფერებად ცხოველების და ფრინველების ნახატებს და აწერს სახელებს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს).</p> <p><b>ან/და</b></p> <p>სხვადასხვა მასალის გამოყენებით (გირჩა, პლასტელინი, ფოთლები, ბრინჯი . . .) აკეთებს ცხოველებს და პლასტელინით გამოძერწილი (ან ამოჭრილი) ასოებით აწერს სახელს. მოსწავლე წარმოადგენს ნამუშევარს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს).</p>
ფიზკულტურა (2სთ.+2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაოს განაწილება გუნდური მუშაობისას;</li> <li>კოორდინაცია;</li> <li>სივრცითი ორიენტაცია,</li> <li>სირბილი.</li> </ul>	<p>თამაში №1: “ლოტო ცხოველებით და ფრინველებით” (სიტყვები). – გუნდებმა რაც შეიძლება სწრაფად მოქებნონ დარბაზის სხვადასხვა კედელზე დაკიდებული ბარათები სხვადასხვა სახელით, ჩამოსხიან და მიუსადაგონ გუნდისთვის მიცემული ცხოველის ან ფრინველის რამდენიმე ნახატს.</p> <p>თამაში №2: “ლოტო ცხოველებით და ფრინველებით” (ასოები). – გუნდებმა რაც შეიძლება სწრაფად მოქებნონ დარბაზის სხვადასხვა კედელზე დაკიდებული ბარათები სხვადასხვა ასოებით, ჩამოსხიან და შეავსონ გუნდისთვის მიცემული ცხოველის ან ფრინველის რამდენიმე ნახატის ქვეშ არსებული უჯრები.</p>

**თემა X**  
**„დედამიწა“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დედამიწასთან დაკავშირებული სახელების ამოკითხვას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>დედამიწასთან დაკავშირებული სახელების დაწერას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>ნიმუშის საფუძველზე მარტივი წინადადების დაწერასა და ამოკითხვას;</li> <li>სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე დაყრდნობით კითხვების დასმას დედამიწაზე და პასუხოს ამ შეკითხვებზე.</li> </ul>	<p>როგორია დედამიწა?</p> <p>რა არის დედამიწაზე?</p> <p>დედამიწაზე არის/ეს არის . . .</p> <p><b>ლექსიკა:</b></p> <p>მთა/მთები, ზღვა/ზღვები, მდინარე/მდინარეები, ტბა, ვაკე, ბორცვი, გლობუსი, ცისფერი/ლურჯი, ყავისფერი, წყალი, მიწა, მზე, მთვარე, ანათებს, ათბობს, დღისით, ღამით.</p> <p><b>(წერისთვის აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).</b></p>
ბუნებისმცოდნეობა (1სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლეს აქვს მარტივი ინფორმაცია დადამიწაზე;</li> <li>შეუძლია ამ ინფორმაციის მოყოლა ილუსტრაციებზე დაყრდნობით</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>როგორ გამოიყერება ჩვენი დედამიწა (აღწერა);</p> <p>რა არის რუკა და გლობუსი;</p> <p>რას ნიშნავს ლურჯი და ყავისფერი რუკაზე და გლობუსზე;</p> <p>რა ათბობს დედამიწას</p> <p>რა ანათებს დედამიწას დღისით და ღამით.</p>

<b>ხელოვნება/შრომა</b> (2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>იუქნებს სხვადასხვა ტიპის ხაზებს ნამუშევარში;</li> <li>გამოსახავს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფორმებს;</li> <li>ადეკვატურად შეარჩევს ობიექტის ფერს;</li> <li>კლასის წინაშე საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენის უნარის განვითარება.</li> </ul>	მოსწავლე ხატავს პეიზაჟს, მთებს, ზღვას, მზეს, მთვარეს. <b>ან</b> მოსწავლე ხატავს დედამიწას, აფერადებს შესაბამისი ფერებით. <b>ან</b> მოსწავლე აპლიკაციების საშუალებით ქმნის პეიზაჟს, მთებს, მდინარეების, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს.  მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და აღწერს).
<b>ფიზულტურა</b> (2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>ინსტრუქციის გაგება და შესრულება;</li> <li>გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადაჭრისას;</li> <li>დახმარების უნარის განვითარება,</li> <li>სირბილი;</li> <li>სისწრაფე.</li> </ul>	თამაში-შეჯიბრი: დარბაზის ორ საწინააღმდეგო კედელზე დაკიდებულია დიდი ასოებით დაწერილი წინადადება (მაგ., დედამიწა მრგვალია) – გუნდებს ურიგდებათ ანბანის ასოები, რომლებშიც უნდა ამოარჩიონ საჭირო ასოები, აიღონ და დადგნენ წინადადების ქვეშ ისე, რომ იგივე წინადადება გამოვიდეს.

**თემა XI**  
**„ამინდი“**

საგანი	იზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სო.)	<p>მოსწავლეს შეეძლება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამინდის შესახებ საუბარი (რეალობაზე ან ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>• ამინდის ამსახველი ზმნების/წინადაღებების დაწერა, ამოკითხვა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით);</li> <li>• სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე (ან რეალობაზე) დაყრდნობით დასვას მარტივი კითხვები და უპასუხოს მათ.</li> </ul>	<p>როგორი ამინდია დღეს?</p> <p>ცივა?</p> <p>ცხელა?</p> <p>წვიმს?</p> <p>თოვს?</p> <p>ქარია?</p> <p>მზე ანათებს.</p> <p>თოვს, წვიმს. ქარი ქრის. ცივა. ცხელა ნახატების ქვეშ მიწერილი ამინდის ამოკითხვა.</p> <p><b>ლექსიკა:</b> ლრუბელი, წვიმა, თოვლი, სიცივე, სიცხე, სითბო, მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ცა.</p>
ბუნებისმცოდნეობა (1სო.)	<p>მოსწავლეს შეეძლება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამინდის კომპონენტებზე დაკვირვება;</li> <li>• ამინდის აღწერა.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ავსებს ამინდზე დაკვირვების დდიურს მიაწერს სამუშაო რვეულში/წიგნში ამინდის ნახატებს შესაბამის სახელს.</p>
ხელოვნება/ შრომა (2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფერების და მასალის ადგენატური შერჩევა;</li> <li>• დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა;</li> <li>• წარმოსახვით ხატვა.</li> </ul>	<p>მოსწავლე ხატვს ნახატს ამინდთან დაკავშირებულ თემაზე, მაგ., “თოვლი მოვიდა”, “როცა ცხელა”. მოსწავლე მიაწერს სახელს.</p>

<b>ფიზკულტურა</b> (2სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინსტრუქციის გაგება და შესრულება;</li> <li>• გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადაჭრისას;</li> <li>• დახმარების უნარის განვითარება;</li> <li>• ჩატუზვა-გასწორება;</li> <li>• კოორდინაციის უნარის განვითარება.</li> </ul>	თამაში: იატაკიდან ავკრიფოთ სიტყვები და შევადგინოთ წინადადებები, ანუ ვიპოვოთ ბავშვი, რომელსაც აქვს საჭირო სიტყვა (თითო ბავშვი თითო სიტყვა).
-----------------------------	--	--

**თემა XII**  
**„ბარემომცველი ბუნება“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</li> <li>თავისი საცხოვრებელი ადგილის გარემომცველი ბუნების აღწერას;</li> <li>კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის გაცემას გარემოზე;</li> <li>თვალსაჩინოებაზე წარმოდგენილი გარემოს აღწერას;</li> <li>მცირე დიალოგის შედგენას საცხოვრებელი ადგილის გარემომცველი ბუნების აღწერით.</li> </ul>	<p>გარემოს ამსახველი ლექსიკა:</p> <p>ცა, მიწა, დედამიწა, მზე, მოვარე, ვარსკვლავები...</p> <p>ჰაერი</p> <p>ქვა, კლდე, ხე, ყვავილი,</p> <p>გორა, მთა, ტყე, ველი, ტბა, ზღვა, მდინარე, პატარა მდინარე, ხიდი, კუნძული, მდინარის ნაპირი, ბაღი, სახნაფ-სათესი მიწა, ბოსტანი, ვენახი, ხილის ბაღი,</p> <p>ნაგავი, სისუფთავე, სანაგვე ურნა, დაბინძურება ექსკურსია, ლაშქრობა</p> <p>რა არის შენს სახლთან? რა არის / არ არის შენს სოფელში / ქალაქში?</p> <p>რა არის ერთი, რა არის ბევრი?</p>
ბუნებისმცოდნეობა (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლე ახასიათებს გარემოს;</li> <li>აღწერს გარემომცველ ბუნებას.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ნაგავი ჩვენ ირგვლივ. (იხ. . კვანტალიანი „ჩვენ და ბუნება“, გაკვ. 25, გვ. 52.</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>აქურატულად აფერადებს კონტურებიან ნახატს.</li> <li>მოსწავლე სწავლობს გარემოს დახმატვისას განლაგებას.</li> </ul>	<p>ხატაგს გარემომცველი ბუნების დაბინძურების ამსახველ ნახატს და წარმოუდგენს კლასს.</p> <p>შემდეგ აწყობენ საკლასო გამოფენას.</p>
ფიზიკური აღზრდა (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძვლზე მითითებების შესრულება;</li> <li>თამაშის წესების დაცვა.</li> </ul>	<p>თამაში:</p> <p>იმიტაციური ლაშქრობა;</p>

**თმა XIII**  
**„ქალაქი და სოფელი“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<p>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დაასახელოს ქალაქი, სოფელი, რაიონი, რომელშიც ცხოვრობს;</li> <li>კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის გაცემას საცხოვრებელი ადგილის დასახელებით;</li> <li>თავისი ქალაქის ან სოფლის მარტივ აღწერას;</li> <li>საზოგადოებრივი პუნქტების დასახელებას;</li> <li>მცირე დიალოგის შედგენას საკუთარი ან ნათესავის საცხოვრებელი ადგილის დასახელებითა და მარტივი აღწერითა;</li> </ul>	<p>მე ვცხოვრობ ქალაქში / სოფელში; ქალაქ ბოლნისში / სოფელ მარტყოფში.. ქუჩაზე, უბანში...</p> <p>შენ სად ცხოვრობ? სად ცხოვრობს შენი ბებია?</p> <p>მე ვცხოვრობ .... ის ცხოვრობს... ჩვენ ვცხოვრობთ... ჩემთან ახლოს ცხოვრობენ ჩემი მეგობრები. ჩემი ერთი ამხანაგის სახლი ძალიან დიდია, სახლს დიდი ეზო აქვს... ეზოს უკან დიდი ბაღია... სახლის წინ ეზოა...</p> <p>ჩემს სახლთან ახლოს პარკია. პარკში ლამაზი სკამებია. პარკში არ არის კარუსელები... მე და ჩემი ამხანაგები სკოლის/სახლის ეზოში ვთამაშობთ...</p> <p>სად ცხოვრობ შენ? როგორია შენი სახლი? სად ცხოვრობს შენი ამხანაგი? როგორია მისი სახლი?</p>
ბუნებისმცოდნეობა (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლე ორიენტირებს ნაცნობ გარემოში.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>აკვირდება და აღწერს გზას სახლიდან სკოლამდე, ასახელებს პუნქტებს, განალაგებს მათ სიახლოებების მიხედვით...</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>აგურატულად აფერადებს კონტურებიან ნახატს.</li> <li>არჩევს შესატყვის ფერებს,</li> </ul>	<p>ხატავს თავის საცხოვრებელ ადგილს – სოფელს / ქალაქს. მიანიშნებს სხვა პუნქტებს, რომლებიც მის სახლთან ახლოს ან შორსაა.</p>

	ადეკვატურად იყენებს ქალალ-დის ზომას.	
ფიზიკური აღზრდა (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მასშავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე მითითებების შესრულება;</li> <li>თამაშის წესების დაცვა.</li> </ul>	<p>თამაში:</p> <p>მოსწავლეები ქმნიან ორ ან რამდენიმე ჯგუფს ქალაქის ან სოფლის დასახელებით, აწყობენ წარმოსახვით საქალაქო / სარაიონო შეჯიბრებას და ეჯიბრებიან ერთმანეთს.</p>

**თემა XIV**  
**„ჩემი სახლი“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<p>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი საცხოვრებელი სახლისა და ბინის აღწერას;</li> <li>• გარემოს აღწერისათვის საჭირო თანდებულების მართებულად გამოყენებას;</li> <li>• მცირე ზომის (2-3 წინადაღებიანი) ტექსტის წაკითხვას; კითხვების დასმასა და კითხვებზე პასუხის გაცემას</li> </ul>	<p>მდებარეობს . . . -ზე, სახლის წინ / უკან, სახლთან ახლოს, ვცხოვრობ . . . -ში, მარტივი რიგობითი რიცხვითი სახელები, ცალკე მდგომი თანდებულებთან არსებითი სახელების შესაბამის ბრუნვაში ხმარება.</p> <p><b>ლექსიკა:</b> ქუჩა, შესახვევი, სახლი, ბინა, ოთახი, საძინებელი, სამზარეულო, აბაზანა, მისაღები ოთახი, ავეჯი, წინ, უკან, პირდაპირ, ქმევით, ზევით, შეაში, მარჯვნივ, მარცხნივ.</p>
ბუნება (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეძლებს ორიენტირებას ნაცნობ გარემოში.</li> </ul>	<p><b>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე</b></p> <p>ქმნის საკუთარი საცხოვრებელი სახლის და მის გარშემო განლაგებული ობიექტების სქემას, რომელსაც ქვეშ მიაწერს შესაბამის დასახელებებს.</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• განუვითარდება ხელი-თვალის კოორდინაცია</li> <li>• დააკვირდება ნაცნობ გარემოში სხვადასხვა ფერს, ფორმას და ასახავს მათ ნამუშევარში, რა ფერისაა, როგორია?</li> </ul>	<p>ხატავს საკუთარ სახლს / ოთახს, არჩევს შესაბამის ფორმებსა და ფერებს. წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე..</p>
ფიზიკური აღზრდა (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეასრულებს მოქმედებებს მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> <li>• დაიცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<p>თამაში: შეჯიბრი ჯგუფებს შორის – ვინ უფრო მაღე შეაღწევს სახლში, რომლის გასაღებიც დაიკარგა, ბაგირით და კედლით. მითითების მიხედვით ასრულებს მოქმედებებს: ადი უფრო ზევით, დაეშვი ქმევით.</p>

**თემა XV**  
**„ჩემი სპოლა“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<p>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სკოლისა და საკლასო ოთახის აღწერას;</li> <li>• სკოლასთან დაკავშირებული ემოციების გამოხატვას;</li> <li>• რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების აღეპატურად ხმარებას;</li> <li>• საბუთარი საშინაო დავალების რეეულის გაფორმებას მოდელის მიხედვით.</li> </ul>	<p>მე ვხწავლობ (რომელ?) სკოლაში,      ჩემი სკოლა (რამდენ?)-სართულიანია; სკოლის წინ / უკან / გვერდით / მარჯვნივ / მარცხნივ (ბაღია, ხეებია,      ჩემი სახლია. . .). ჩვენი საკლასო ოთახი მზიანი და -      ნათელია, აქვს (რამდენი?) ფანჯარა; ჩვენს კლას-      ში(რამდენი?) მოსწავლე სწავლობს.      ჩემი სკოლა ძალიან მიყვარს / მომწონს.</p> <p><b>ლექსიკა:</b> სასადილო, კლასელი, დიდი და პატარა დას-      ვენება, არდადეგები, მზიანი, ნათელი, სართული, დე-      რეფანი, სპორტული დარბაზი.</p>
ბუნებისმცოდნეობა (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეძლებს ორიენტირებას ნაცნობ გარემოში.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან      ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ქმნის საკუთარი სახლიდან სკოლამდე მარშრუტს, რო-      მელსაც ქვეშ მიაწერს შესაბამის დასახელებებს.      ავსებს ცხრილს (იხ. გოგი კვანტალიანის “ჩვენ და      ბუნება”, გვ. 17).</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• განუვითარდება ხელი-თვალის კოორდინაცია;</li> <li>• დააკვირდება ნაცნობ გარემოში სხვადასხვა ფერს, ფორმას და ასახავს მათ ნამუშევარში.</li> </ul>	<p>ხატავს საკუთარ სკოლას / საკლასო ოთახს, არჩევს      შესაბამის ფორმებსა და ფერებს. წარმოადგენს საკუ-      თარ ნამუშევარს კლასის წინაშე.</p>
ფიზიკური აღზრდა (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ერთმანეთს შეუნაცვლებს სხვადასხვა მოძრაობას;</li> </ul>	<p>სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ჯგუფები ეჯიბრე-      ბიან ერთმანეთს მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში,</p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეასრულებს მოქმედებებს მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> <li>• დაიცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<p>ხოლო ამ კლასის მოსწავლეებს ეძღვათ ჩასაწერად კლასების შედეგები.</p>
--	--	---

**თემა XVI**  
**„ჩემი საოცამაშოები“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს:</li> <li>საოცამაშოების ქართულად დასახელებას;</li> <li>კითხვების დასმას საოცამაშოების შესახებ;</li> <li>კითხვებზე პასუხის გაცემას საოცამაშოების აღწერით;</li> <li>თვალსაჩინოებაზე საოცამაშოების დასახელებას და აღწერას;</li> <li>თვალსაჩინოებაზე ან სურათზე საოცამაშოების სახელწოდებების მიწერას;</li> <li>მცირე დიალოგის შედგენას საკუთარი საოცამაშოების აღწერით.</li> </ul>	<p>ვისთან ერთად თამაშობ ხოლმე? რომელი საოცამაშო გიყვარს?</p> <p>რომელი საოცამაშო არ გიყვარს?</p> <p>ეს საოცამაშო ვინ გიყიდა / გაჩუქა?</p> <p>ბეჭრი საოცამაშო გაქვა?</p> <p>რატომ გიყვარს ეს საოცამაშო?</p> <p>— ძალიან მიყვარს, იმიტომ რომ ლამაზია... დედამ მაჩუქა....</p> <p><b>ლექსიკა:</b> საოცამაშოების დასახელება: თოჯინა, დათუნია, საოცამაშო მანქანა, საჩუქარი.</p>
ბუნება (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლე იკვლევს და ასახელებს, რა მასალისგან არის დამზადებული ესა თუ ის საოცამაშო.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>მასალა: პლასტმასი, ხე, რეზინა, ნაჭერი, ბამბა, ლითონი (რკინა).</p> <p>პლასტმასის ნავი, ხის ცხენი, რეზინის თოჯინა, ბამბის დათუნია. . .</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>აკურატულად აფერადებს კონტურებიან ნახატებს.</li> <li>გამოკვეთს, რა თავისებურება ახასიათებს მისთვის საყვარელ საოცამაშოს, რა ფერისაა, როგორია?</li> </ul>	<p>ხატავს / ძერწავს / სხვადასხვა მასალისაგან თავის საყვარელ საოცამაშოს.</p>
ფიზიკური აღზრდა (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე მითითებების შესრულება;</li> <li>თამაშის წესების დაცვა.</li> </ul>	<p><b>თამაში:</b> საოცამაშოების ადგილზე მიტანა და მეორის წამოღება მათი დასახელებით. შეჯიბრება სისწრაფეში, საოცამაშოების დასახელებაში.</p>

**თემა XVII**  
**„დღესასწაულები“**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<p>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თავისი დაბადების დღის დასახელებას;</li> <li>• სახელმწიფო და ეთნიკურ-რელიგიური დღესასწაულების დასახელებას;</li> <li>• კიოხვების დასმას და კიოხვებზე პასუხის გაცემას დღესასწაულების დასახელებითა და დროის მითითებით;</li> <li>• წარმოთქამს ლექსს რომელიმე დღესასწაულის შესახებ.</li> <li>• წერს მცირე ზომის მისალოც ბარათს.</li> </ul>	<p>როდისაა შენი დაბადების დღე? ჩემი დაბადების დღეა ოც იანვარს.</p> <p>როდისაა შენი დის/მმის დაბადების დღე?</p> <p>ახალი წელი</p> <p>რელიგიური დღესასწაულები: აღდგომა, ნავროზობა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი.</p> <p>გილოცავ, მრავალს დაესწარი!</p> <p>გილოცავ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!</p> <p>რომელი დღესასწაული გიყვარს?</p> <p>როდისაა ახალი წელი? პირველ იანვარს. გიყვარს ახალი წელი? – ძალიან. როდისაა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე?</p>
ბუნებისმცოდნეობა (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლე ორიენტირებს დროში;</li> <li>• აღწერს დღესასწაულს, ასახელებს წლის რომელ დროსაა იგი.</li> </ul>	<p>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე)</p> <p>ისრებით აერთებს დღესასწაულებს, თარიღებს და წლიწადის დროებს. (მაგ.: ახალი წელი, 1 იანვარი, ზამთარი...)</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>• აკურატულად აფერადებს კონტურებიან ნახატს.</li> <li>• მოსწავლე ამზადებს რამდენიმე სახის მისალოც ბარათს შესაბამი-</li> </ul>	<p>ხატავს რომელიმე დღესასწაულის ამსახველ სურათს.</p> <p>ამზადებს დღესასწაულისათვის მისალოც ბარათს ან ამზადებენ საჩუქრებს ერთმანეთისათვის (მაგ. ფანქრების</p>

	სი მისალოცი ფრაზების მიწერით.	ჩასაწყობი ყუთი, ყულაბა, ქაღალდის ყვავილები)
<b>ფიზიკური აღზრდა (2 სო.)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე მითითებების შესრულება;</li> <li>თამაშის წესების დაცვა.</li> </ul>	<b>თამაში:</b> წარმოსახვითი ზეიმი (დღეს ნინიკოს დაბადების დღე, გამოვაცხვეთ ხაჭაპური, აი, ამოდენა (აკეთებენ დიდ წრეს); გავშალეთ სუფრა, აი, ამოდენა (აკეთებენ გრძელ ხაზს); მივუტანეთ საჩუქრები – აი, ამდენი (ხელებით გამოსახავენ სიმრავლებ); ნინიკოს უხარია, აი ასე (გამოხატავენ მხიარულებას)...

**თმა XVIII**  
**„ჩვენი სამშობლო“ (ჩვენ ვცხოვრობთ ერთად)**

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>კვირის ბოლოს მოსწავლე შეძლებს</li> <li>საქართველოს დედაქალაქის, მშობლიური ქალაქისა და საქუთარი ეროვნების დასახელებას;</li> <li>სადაურობის რამდენიმე სახელის წარმოებას;</li> <li>კითხვების დასმასა და კითხვებზე პასუხის გაცემას;</li> <li>საქართველოზე მცირე ზომის ლექსის წარმოთქმას;</li> <li>მცირე ზომის ანკეტის შევსებას.</li> </ul>	<p>მე ვარ მარნეულიდან / მე ვცხოვრობ მარნეულში; ჩემი მეზობელი ქართველია / სომებია / აზერბაიჯანელია; სადაური ხარ? რა ეროვნების ხარ? მე დავიბადე. . . ჩემი დაბადების ადგილია.</p> <p><b>ლექსიკა:</b> დედაქალაქი. ეროვნება, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, მისამართი.</p>
ბუნებისმცოდნეობა (1 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>იცის საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკა.</li> </ul>	<p><b>აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე</b></p> <p>სხვადასხვა ქვეყნის დროშებს შორის სურათზე ამოიცნობს საქართველოს დროშას, ასახელებს საქართველოს გერბზე გამოხატულ საგნებს.</p>
ხელოვნება (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>განუვითარდება ხელი-თვალის კოორდინაცია</li> <li>გამოამჟღავნებს მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს.</li> </ul>	<p>ამზადებს საქართველოს მცირე ზომის დროშებს. ქმნის კლასის / სკოლის დროშის დიზაინს.</p>
ფიზიკური აღზრდა (2 სო.)	<ul style="list-style-type: none"> <li>შეასრულებს მოქმედებებს მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე;</li> </ul>	<p>მასწავლებლის მითითების მიხედვით ასრულებს მოქმედებებს (ჩასჭიდეთ ერთმანეთს ხელები, გააკეთეთ</p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>დაიცავს თამაშის წესებს.</li> </ul>	<p>წრე და დაასახელეთ ის ეროვნებები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში).</p> <p>მოსწავლეები იყოფიან მცირე ჯგუფებად ისე, რომ თითოეულ ჯგუფში იყოს “სხვადასხვა ეროვნების” თითო წარმომადგენელი და უჯიბრებიან სირბილში ესტაცების გადაცემით.</p>
--	---	---

2. თემატური დაბეგმვა ბილინგურ სფავლებაში

**III-IV პლასები**

თემები:

1. წელიწადის დროები
2. დედამიწა და  
ქოსმოსი
3. ჩემი ოჯახი
4. ჩემი ერთი დღე
5. გარემო, რომელშიც  
ვცხოვრობთ
6. ფერთა მოზაიკა –  
ჩვენ ვქმნით  
სილამაზეს
7. ჩვენი კლასი
8. მგზავრობა (მოგზაურობა:  
და ტრანსპორტი)
9. მოგზაურობა დროში
10. ცოცხალი სამყარო
11. ჩვენ ერთად ვართ
12. ჩემი ბიბლიოთეკა
13. ყვავილთა სამყაროში
14. დრო

**თმა I**  
**„წელიწადის დროები“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>მოსწავლე შეძლებს წელიწადის დროებისა და შესაბამისი თვეების დასახელებას; წელიწადის დროების აღწერას;</p> <p>წელიწადის დროების ერთმანეთთან შედარებას (მაგალითად, უფრო ცივა, უფრო ცხელა, მეტი სიმწვანეა, დღე უფრო მოკლეა, დამე უფრო გრძელი);</p> <p>საკუთარი დამოკიდებულებისა და ემოციების გამოხატვას წელიწადის თითოეული დროის მიმართ და თანაკლასელების დამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ ინფორმაციის შეკრებასა და მიწოდებას თანაკლასელებისათვის;</p> <p>არდადებებზე მომხდარი ამბების მოყოლას;</p> <p>წელიწადის დროების შესახებ მცირე ზომის ლექსების სწავლასა და მოთხოვობების წაკითხვა-გაგებას;</p> <p>ინფორმაციის მიღებას წელიწადის დროების, ამინდის შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებიდან (მაგალითად, ამინდის პროგნოზი, საბავშვო ენციკლოპედია).</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>კითხულობს კალენდარს, ასახელებს რამდენი დღეა წელიწადში, თითოეულ თვეში, წელიწადის დროში;</p> <p>გამოითვლის საკუთარი და მეგობრების, ახლობლების დაბადების დღეებამდე დარჩენილ დღეებს.</p>
<b>სპორტი</b>	<p>ჩამოთვლის, სპორტის რომელი სახეობა შეესაბამება წელიწადის თითოეულ დროს (მაგალითად, რომელია ზამთრი სპორტის სახეობა, რომელი – ზაფხულის).</p> <p>სრულებს ამ სახეობების შესაბამის მოძრაობებს მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად.</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>განარჩევს ერთმანეთისგან თბილ და ცივ ფერებს;</p> <p>ამოიცნობს ილუსტრაციებზე ცივ და თბილ ფერებს;</p> <p>თავად ქმნის წელიწადის დროების ამსახველ კომპოზიციებს და განმარტავს რომელი ფერები გამოიყენა და რატომ.</p>

მუსიკა	<p>მღერის სიმღერებს, თემატურად დაკავშირებულს წელიწადის დროებთან; თავად ახმოვანებს ბუნებაში მომენილ ხმებს (მაგალითად, ჩიტების ჰიკჰიკს, კოდალას კაკუნს, ფოთლების შრიალს); ისმენს მუსიკალურ ნაწარმოებს წელიწადის რომელიმე დროზე და ასახელებს, ბუნებაში მოსმენილ რომელ ხმას მიამსგავსა ესა თუ ის ადგილი მუსიკალური ნაწარმოებიდან.</p>
ბუნება	<p>საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ადგენს ფრინველთა მოძრაობას წელიწადის დროების მიხედვით; აკვირდება და აკეთებს დასკვნებს მცენარეთა მოძრაობის, ზრდისა და განვითარების შესახებ და ასახელებს, რომელი მცენარე წელიწადის რომელ დროს ხარობს.</p>

**თემა II**  
**„დედამიწა და კოსმოსი“**

<b>ენის ფუნქციები</b>	აღწერს დედამიწის მოძრაობას, განსაზღვრავს დედამიწის ადგილს მზის სისტემაში; ასახელებს მზის სისტემის პლანეტებს; აღწერს პლანეტების მდებარეობას მზისგან დაშორებულის მიხედვით; კითხულობს მცირე ზომის ტექსტებს დედამიწისა და კოსმოსის შესახებ და იღებს შესაბამის ინფორმაციას საცნობარო ლიტერატურიდან (მაგალითად, საბავშვო ენციკლოპედიიდან).
<b>მათემატიკა</b>	მასწავლებლის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე ქმნის მზის სისტემის გრაფიკულ გამოსახულებას და განმარტავს, რომელი პლანეტა არის მეტი ან ნაკლები მანძილით დაშორებული მზისაგან; ცხრილში წერს მონაცემებს მზის სისტემის პლანეტების სიდიდისა და მზისაგან დაშორების მიხედვით.
<b>სელოგნება</b>	სურათების მიხედვით პლასტელინით ძერწავს და აკეთებს მზის სისტემის მოდელს; ქმნის თავისუფალ კომპოზიციას თემაზე ”დედამიწა ჩვენი სახლია“ და იცავს საგანთა საერთო პროპორციას ნახატის შექმნისას.
<b>ბუნება</b>	მასწავლებლის მიერ მიწოდებული ტექსტებიდან იღებს ინფორმაციას, რომელ პლანეტაზეა სიცოცხლე და რომელზე –არა. ასახელებს დედამიწის კონტინენტებს და გლობუსზე / რუკაზე განასხვავებს წყალსა და ხმელეთს; აღწერს გეოგრაფიულ ობიექტებს, მათ შემადგენელ ნაწილებს (მაგალითად, მდინარის სათავე, შესართავი კალაპოტი, მთის მწვერვალი, კალთა, ძირი) და მახასიათებლებს (მაგალითად, ჩქარი მდინარე, მაღალი მთა, ყინულიანი მწვერვალი).

**თემა III**  
**„ჩემი ოჯახი“**

<b>ენის ფუნქციები</b>	მოსწავლე შეძლებს ოჯახის წევრთა დასახელებას, აღწერასა და დახასიათებას; დაასახელებს ოჯახის წევრთა ასაკს; დაასახელებს და აღწერს ოჯახის წევრთა პროფესიას, საქმიანობას, მათ გატაცებას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მათი საქმიანობისა და ინტერესების მიმართ; ისაუბრებს საკუთარი ოჯახის ტრადიციებზე; ისაუბრებს, ვის რომელი კერძი უყვარს ოჯახში და გააცნობს თანაკლასელებს ამ კერძების მომზადების წესს.
<b>მათემატიკა</b>	ქმნის ცხრილს საკუთარი ოჯახის წევრთა მონაცემების მიხედვით (ასაკი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი, სიმაღლე, წონა, ტანსაცმლის ზომა, ფეხსაცმლის ზომა). ალაგებს ოჯახის წევრთა ასაკს უფროს-უმცროსობის, ანუ ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით.
<b>სპორტი</b>	დაადგენს ოჯახის რომელი წევრი სპორტის რომელი სახეობითაა გაზაცებული და რომელ სახეობას მისდევდა ბავშვობაში; ასახიერებს ოჯახის წევრთა დამახასიათებელ მოძრაობებს (იმიტაციას);
<b>ხელოვნება</b>	ხატავს ოჯახის წევრთა პორტრეტებს საერთო პროპორციების დაცვით; ქმნის ოჯახური სიტუაციის ამსახველ ნახატს (მაგალითად, ერთი დღე სასადილო ოჯახში) და განარჩევს ნახატში წინა და უკანა პლანს (ახლო საგნებს გამოსახავს უფრო დიდად, ხოლო შორეულს უფრო მცირე ზომისად).
<b>მუსიკა</b>	გამოიკითხავს და ადგენს, ოჯახის რომელ წევრს როგორი მუსიკა მოსწონს; თანაკლასელებს აცნობს ოჯახის წევრთა საყვარელ სიმღერებს და წაიღიღინებს მოტივს.
<b>ბუნება</b>	გამოიკითხავს და დაადგენს ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასახელებს, რომელს რა ინფექციური დაავადება აქვს გადატანილი და რა ნიშნებით ხასიათდება ის. გამოჰქითხავს დედას, თავად რა აცრები აქვს ჩატარებული.

**თემა IV**  
**„ჩემი მრთი დღე“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ადგენს დღის რეჟიმს; ასახელებს, დღის რომელ მონაკვეთში რას აკეთებს; საუბრობს საკუთარ გუნება-განწყობილებაზე დღის განმავლობაში ამინდის ცვლილების მიხედვით;</p> <p>საუბრობს საკუთარ ემოციებზე, გატაცებებზე, ინტერესებზე და იმაზე, თუ დღის რომელ მონაკვეთში რა საქმიანობას რა დროს უთმობს;</p> <p>ირჩევს ერთ-ერთ დღეს თავისი ცხოვრებიდან და უამბობს თანაკლასელებს იმ ტექსტის / ტექსტების შინაარსს (საინფორმაციოს, მხატვრულს, საცნობაროს), რომლებიც წაიკითხა; იწყებს დღიურის წარმოებას;</p> <p>ასახელებს საყვარელ ტელეგადაცემას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>აძლევს დღის რეჟიმს ცხრილის ფორმას; გამოხატავს საკუთარ მოძრაობას დღის განმავლობაში გრაფიკულად და გამოითვლის სავარაუდო მანძილს, რომელსაც ის გაივლის სახლიდან სკოლამდე ან სხვა ადგილამდე და გამოითვლის, რა საქმიანობას რა დროს უთმობს.</p>
<b>სპორტი</b>	<p>იღებს მასწავლებლისაგან რჩევას, რომელი ვარჯიში შეასრულოს დილას და რომელი – დღის სხვა დროს. რეაულარულად ასრულებს დილის გამამხნევებულ ვარჯიშებს.</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>განმარტავს, რა არის ავტოპორტრეტი, ქმნის ავტოპორტრეტს;</p> <p>ასახელებს საკუთარ თვისებებს, რომელთა გამოხატვაც სურდა ავტოპორტრეტში და აფასებს, რამდენად შეძლო ეს.</p>
<b>ბუნება</b>	<p>ჩამოთვლის, ჰიგიენის რომელ წესებს იცავს (ოთახის განიავება, ხელების საპნიო ხშირად დაბანა, აქვს თუ არა საკუთარი ჭურჭელი და ა.შ.);</p> <p>ჩამოთვლის დასვენების ფორმებს და აცნობს თანატოლებს, როგორ ისვენებს თავად.</p>

**თმავა V**  
**„ბარემო, რომელშიც გცხოვორობთ“**

<b>ენის ფუნქციები</b>	აღწერს საკუთარ ქალაქს (სოფელს), განსაზღვრავს მის ადგილმდებარეობას, რელიეფს; ჩამოვლის, მისი თვალსაზრისით, რა აზიანებს ბუნებას; ჩამოწერს ქცევის წესებს ბუნებაში; წაკითხულ და ნასწავლ დექსებსა და მოთხოვებში აღწერილ ბუნების სურათებს ადარებს საკუთარი ადგილის ბუნებას და პოულობს მსგავსება-განსხვავებას.
<b>მათემატიკა</b>	ადგენს ცხრილს სხვადასხვა მონაცემის გათვალისწინებით (მოსახლეობა, ფართობი, სკოლების, საბავშვო ბაღების, სხვადასხვა კულტურული ცენტრის რაოდენობა). ადგენს რა მანძილითა დაშორებული სკოლა ცენტრიდან, დასახლებული პუნქტი დედაქალაქიდან / რაიონული ცენტრიდან და ა.შ.
<b>სელოვნება</b>	განმარტავს პეიზაჟის რაობას; ხატავს საკუთარი გარემოს პეიზაჟს და ასახელებს, რომელი ფერები სჭარბობს მისი კუთხის პეიზაჟში წელიწადის სხვადასხვა დროს. ბუნებრივი საშუალებების (გამხმარი ფოთლები, გირჩები, სხვადასხვა მცენარის ნაყოფი) ქმნის კოლაჟებს.
<b>მუსიკა</b>	მოისმენს რევაზ ლადიძის სიმღერას ”ტყე შეუნახე შვილებსა“ და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.
<b>ბუნება</b>	დაადგენს იმ ადგილებში გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების სახეობებს; პოულობს საქართველოს რუკაზე იმ დასახლებულ პუნქტს, რომელშიც ცხოვრობს; აგროვებს ფოტოებს საკუთარ გარემოში ადამიანთა საქმიანობის შესახებ და აკეთებს შესაბამის მინაწერს; თანაკლასელებთან ერთად კლასიფიცირებას უკეთებს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და ადგენს ბუნებაში მათი განთავსების წესებს.

**თემა VI**  
**„ვერთა მოზაიკა – ჩვენ გამნით სილამაზეს“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ასახელებს ფერების ძირეულ და წარმოქმნილ სახელწოდებებს (მაგალითად, იისფერი, სტაფილოსფერი, ალისფერი) და ენობრივი მექანიზმის გათვალისწინებით ოფად ქმნის მისთვის სასურველი ფერის სახელწოდებას, აგრეთვე ადგენს ფერის სახელწოდებას მასში რომელიმე ფერის სიჭარბე-სიმცირის მიხედვით;</p> <p>აღწერს ტექსტების ილუსტრაციებს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას (მომწონს / არ მომწონს და რატომ); ილუსტრაციების მიხედვით ქმნის მცირე ზომის ტექსტებს; ალაგებს ილუსტრაციებს სიუჟეტის ლოგიკური განვითარების მიხედვით; აღწერს მისთვის ცნობილ ეროვნულ სამოსს.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>ასახელებს ნახატზე გამოსახულ სხვადასხვა ფერის გეომეტრიულ ფიგურებს და აკეთებს მათ კლასიფიკაციას მასწავლებლის მიერ მითითებული ნიშნის (ფერების, კუთხეების რაოდენობის, ფორმის) მიხედვით; გეომეტრიული ფიგურებისა და ფერების გამოყენებით ქმნის მეგობრისათვის საჩუქარს ან სასაჩუქრე უჟის.</p>
<b>სპორტი</b>	<p>ადეპვატურად რეაგირებს მასწავლებლის მიერ შემოტანილ პირობით ნიშნებზე მოძრავი თამაშების (მაგალითად, წითელი ალამი აღნიშნავს ფინიშს ან დროებით თამაშის შეწყვეტას, მწვანე – სტარტს ან გაგრძელებას, ყვითელი – გაფრთხილებას და ა. შ.).</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს და ასახელებს მის ქართულ სახელწოდებას; თეთრი ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის სინათლის ხარისხსა და ტონალობას და ასახელებს მიღებულ ფერს; ახასიათებს ნახატს ფერთა გამოყენების თვალსაზრისით; აფერადებს კონტურებიან ნახატს; ქმნის ილუსტრაციებს ტექსტისათვის.</p>
<b>მუსიკა</b>	<p>ასახელებს, რა საშუალებით იქმნება მუსიკალური ნაწარმოები (ბგერები) და რა საშუალებით – ნახატი (ფერები).</p>
<b>ბუნება</b>	<p>აღწერს იმ ცვლილებებს, რომელთაც სხვადასხვა მცენარე განიცდის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და აკვირდება ფერთა მონაცვლეობას; აკვირდება და აღწერს მცენარეებისა და ცხოველების შეფერილობას, რომელიც ეხმარება მათ გარემოსთან შეგუებაში.</p>

**თემა 7**  
**„ჩვენი პლასი“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>აღწერს საკლასო ოთახის მდებარეობას და მასში დგამ-ავეჯის განლაგებას; ახასიათებს თანაკლასელებს გარეგნული ნიშნებისა და ხასიათის თვისებების მიხედვით; პოულობს მსგავსება-განსხვავებას შესწავლილი ნაწარმოებების პერსონაჟებსა და თანაკლასელებს შორის;</p> <p>აგროვებს ინფორმაციას თანაკლასელთა მშობლების, და-მმებისა და ოჯახის სხვა წევრების შესახებ (ასაკი, საქმიანობა, გატაცება და სხვ.);</p> <p>ამზადებს შეკითხვებს ინტერვიუსათვის მასწავლებლებთან კლასის შესახებ;</p> <p>წერს წერილებს, მისალოც და მოსაწვევ ბარათებს თანაკლასელებისათვის.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>განსაზღვრავს კლასის შემადგენლობას გოგოებისა და ბიჭების, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით (რომელი რამდენია, რომელია უფრო მეტი / ნაკლები); ადარებს კლასში განთავსებულ ნივთებს გეომეტრიულ ფიგურებს და ნიმუშის მიხედვით ქმნის მითითებული სივრცული ფიგურის მოდელს სხვადასხვა მასალის (მუკა, პლასტელინი და სხვ.) გამოყენებით; ზომის ერთეულების გამოყენებით ადგენს მანძილს კლასში მდებარე ორ ობიექტს შორის (მაგალითად დაფიდან კარებამდე მანძილი 2 მეტრია) და გადაჰყავს შესაბამის სტანდარტულ ერთეულში (მ, დმ, სმ)</p>
<b>სპორტი</b>	<p>მონაწილეობს სხვადასხვა სპორტული თამაშობებისათვის ჯგუფების შექმნაში და აღნუსხავს შედეგებს წინასწარ შედგენილ ცხრილში.</p>
<b>სელოგნება</b>	<p>განსაზღვრავს პორტრეტის რაობას და ქმნის თანაკლასელების / თანაკლასელების ინდივიდუალურ / ჯგუფურ პორტრეტებს;</p> <p>ამოიცნობს ნახატებზე ადამიანის განწყობილებას და მიუთითებს, თანაკლასელების რა განწყობილება ჩანს მის მიერ / სხვების მიერ შექმნილ პორტრეტებზე.</p>
<b>მუსიკა</b>	<p>ადგენს საკლასო რეპერტუარს სასკოლო ღონისძიებისათვის;</p> <p>მოსმენილ სიმღერებს ასოციაციურად უკავშირებს თანაკლასელების ხასიათს / განწყობილებას.</p>
<b>ბუნება</b>	<p>ზრუნავს საკლასო ოთახის სისუფთავეზე, განიავებასა და მოხერხებულად მოწყობაზე;</p> <p>განალაგებს კლასში მცენარეებს „მოძრაობის“ კანონების მიხედვით;</p> <p>აკვირდება საკლასო ოთახში არსებული მცენარეების ზრდა-განვითარებას და დაკვირვების შედეგებს წერს ცხრილში.</p>

**თემა VIII**  
**მბზაპროგა (მობზაშროგა) და ტრანსპორტი**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ასახელებს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებას, ახასიათებს მათ სისწრაფის, სიდიდისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით; ადეკვატურად იყენებს მიმართულების აღმნიშვნელ სიტყვებს (პირდაპირ, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, გვერდით, ახლოს, შორს და სხვ); სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს მგზავრობისა და მოგზაურობის აღსაწერად (მატარებლით, ოვითმფრინავით, -ში და -ზე თანხებულიან ფორმებს); აღწერს საკუთარ შთაბეჭდილებებს, გამოხატავს სურვილებს მომავალ მოგზაურობასთან დაკავშირებით და იყენებს შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს (მინდა წავიდე / მინდა წასვლა); წინასწარ ეცნობა ინფორმაციას იმ დირშესანიშნაობების შესახებ, რომელთა ნახვაც სურს.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>ადარებს ორ კუნქტს შორის მანძილს სიშორე-სიახლოვის მიხედვით; შესაბამისი სქემატური გამოსახულების საფუძველზე პოულობს ორ ობიექტს შორის უმოკლეს მანძილს; იყენებს ასოით აღნიშვნებს სქემაზე მითითებულ ორ წერტილს შორის მარშრუტის აღსაწერად.</p>
<b>სპორტი</b>	<p>ცნობს და იყენებს გრაფიკულ პირობით ნიშნებს რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის სწორ და უსაფრთხო ორიენტირებას; მონაწილებს ლაშქრობებში და იყენებს წინასწარ შემუშავებული გეგმას; ქმნის და იცავს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს.</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>მოდელის მიხედვით ქმნის უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო გრაფიკულ ნიშნებს / გამოსახულებებს; ხატავს იმ ტრანსპორტს, რომლითაც იმგზავრა ან უნდა მოგზაურობა.</p>
<b>მუსიკა</b>	<p>ადგენს საყვარელი სიმღერების ჩამონათვალს იმისათვის, რომ გააკეთოს აუდიოჩანაწერი მგზავრობის (მოგზაურობის) დროს მოსახმენად.</p>
<b>ბუნება</b>	<p>იცის და იყენებს სხვადასხვა სახიფათო სიტუაციაში ქცევისა და უსაფრთხოების წესებს (მაგალითად, ჭექა-ჭეხილის დროს მობილურის მოხმარება, თავის შეფარება, მზის დაკვრისა და სხეულის გადახურების ან გადაციების თავიდან აცილება; შეარჩევს მგზავრობისას შესაფერის ჩატყულობას.</p>

## თემა IX

### მობზაურობას დროში

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>წარმოსახვით აღწერს მოგზაურობას სხვადასხვა ეპოქაში; აღსაწერად ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული, ახლანდელი და მომავალი დროის ფორმებს და მათთან სახელთა შეწყობას შესაბამის ბრუნვაში (გიორგი მოგზაურობს, გიორგიმ იმოგზაურა, გიორგი იმოგზაურებს); დანიშნულებისამებრ ხმარობს შესაბამის ზმნიზედებს (წინათ, ახლა, მომავალში, გუშინ, დღეს, ხვალ, შარშან, წელს, მომავალ წელს); გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წარმოსახვითი რეალობის მიმართ (რა დრო აირჩია და რატომ) და სურვილს, რომელ დროში უნდა მოგზაურობა, სად და რატომ.</p>
<b>მათემატიკა</b>	იყენებს დროის ერთეულებს (საათი, წუთი, წელი, თვე, კვირის დღეები, საუკუნე) შორის თანაფარდობას (ერთი საათი = 60 წთ-ს და ა.შ.); იყენებს ნაშთით გაყოფას ზომის მოცემულ ერთეულებში მონაცემის სხვა ერთეულით გამოსახვისას (მაგალითად, 100 წთ = 1 სთ. 40 წთ.).
<b>სელოგნება</b>	ნახატის აღწერისას ასახელებს იმ ნივთებსა და სხვა დეტალებს (მაგ., ჩაცმულობა), რომლებიც შეესაბამება ამა თუ იმ ეპოქას, დროს.
<b>მუსიკა</b>	მოსმენილი ნაწარმოებებიდან არჩევს ისეთს, რომელიც, მისი აზრით, შეესაბამება მის მოგზაურობას კონკრეტულ დროში.
<b>ბუნება</b>	იყენებს ილუსტრაციებს ადამიანთა საქმიანობის, ჩაცმულობის, ცხოვრების წესის შესახებ წარსულში და ადარებს დღევანდელობას; წარმოიდგენს, როგორი იქნება გარემო მომავალში, თუ ტქეს გავჩეხავთ (მდინარის დაშრობა, მეწყერი, ნიადვარი, ზვავი).

**თემა X**  
**„ცოცხალი სამყარო“**

<b>ენის ფუნქციები</b>	აღწერს ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლებს სხვადასხვა ნიშნის (ფერი, ზომა, ხმა, განაკუთრებული ნიშნები და სხვ); კითხულობს და იგებს მცირე ზომის ტექსტებს, როგორც მხატვრულს, ისე არამხატვრულს, ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლებზე; ახერხებს ინფორმაციის მიღებას ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლებზე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებიდან (მაგალითად, ტელეგადაცემა, ფილმი, საბავშვო ენციკლოპედია).
<b>მათემატიკა</b>	მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლების მონაცემთა (ზომა, წონა, ფერი, გადაადგილება) ცხრილს. ადარებს ერთმანეთს ამ მონაცემებს მეტობა-ნაკლებობის მიხედვით.
<b>სელოგნება</b>	იცის, რომელი ჟანრის ნიმუშებშია ასახული ცხოველთა სამყარო , ასახელებს მისთვის ცნობილ მხატვარს, რომელიც ხატავდა ცოცხალ სამყაროს. სხვადასხვა სერხით (მოზაიკა, აპლიკაცია, კოლაჟი და სხვ. ) გამოსახავს ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლებს აკეთებს შესაბამის მინაწერებს.
<b>მუსიკა</b>	სმის მიბაძვით წარმოადგენს ცოცხალი სამყაროს მისთვის ცნობილ წარმომადგენელს და სთავაზობს თანაკლასელებს მის გამოცნობას.
<b>ბუნება</b>	აჯგუფებს ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლებს (ბუძუმწოვრები, ქვეწარმავლები, ფრინველები, მწერები და ა.შ.) და ასახელებს და აღწერს მათ სასიცოცხლო ფუნქციებს (მოძრაობა, სუნთქვა, ზრდა, გამრავლება.

**თემა XI**  
**„ჩვენ მრთად ვართ“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ადეკვატურად იყენებს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს, მსგავსება-განსხვავების გამოხატვისათვის შესაფერის ფორმებსა და კონსტრუქციებს, წარმომავლობის აღმნიშვნელ ენობრივ საშუალებებს (მაგალითად, -ელ, ურ სუფიქსები);          აღწერს მის ირგვლივ მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელს სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით;          აღწერს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ცხოვრების წესია და რომელიმე ცნობილ ტრადიციას;          ასახელებს მისთვის ცნობილ დღესასწაულებს და აღწერს მათ; ადეკვატურად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის ფორმებს, შეთავაზების ფორმულებს (ხომ არ ვითამაშოთ? გინდა ჩვენთან ერთად თამაში? მოდი, ერთად გავაკეთოთ. . . ).</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>ამოიცნობს და ასახელებს მთელის ნახევარ, მესამედ და მეოთხედ ნაწილებს, მთელს შლის ნაწილებად და ნაწილებს წარმოადგენს ერთ მთელად; ადარებს მთელის ნაწილს მთელის ნახევარს მოდელზე (ნახევარზე მეტია, ნაკლებია, ტოლია); მასწავლებლის დახმარებით კითხულობს საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის ამსახველ დიაგრამას მეტობისა და ნაკლებობის მიხედვით.</p>
<b>სპორტი</b>	<p>შეთავაზების შემდეგ ხალისით მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობებში შეზღუდული ფიზიკური უნარის მქონე, სხვა სქესისა და ეროვნების უფროსი და უმცროსი ასაკის პარტნიორებთან ერთად.</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>ხატავს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა პორტრეტებს /კოსტუმებს და მათი ტრადიციების / დღესასწაულების ამსახველ სცენებს.</p>
<b>მუსიკა</b>	<p>ამოიცნობს მისთვის ცნობილ მუსიკალურ საკრავებს და ასახელებს, თუ რომელი ეროვნების წარმომადგენელთა კუთვნილებაა ის;</p> <p>სიტყვებით / ჟღერადობით გამოთქვამს ვარაუდს, რომელ ერს ეცუთვნის ესა თუ ის სიმღერა.</p>
<b>ბუნება</b>	<p>ასახელებს და საქართველოს რუკაზე პოულობს სხვადასხვა კუთხებს;</p> <p>იმ ადგილს, სადაც თავად ცხოვრობს;</p> <p>აღწერს რეგიონის გეოგრაფიულ თავისებურებებს და ბუნებრივ პირობებს (მაგალითად, მთიანია, ვაკეა, ზეგანია და სხვ. ძალიან ცივა, ძალიან ცხელა, ხშირად წვიმს და სხვ.).</p>

**თემა XII**  
**„ჩემი ბიბლიოთეკა“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ასახელებს თავის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების მახასიათებლებს (ავტორი, სათაური, გამოცემის წელი, გამოცემლობა);</p> <p>ასახელებს საყვარელ ავტორებს და/ან ნაწარმოებებს და/ან პერსონაჟებს და გამოხატვს საკუთარ დამოკიდებულებას (მომწონს იმიტომ, რომ. . . საინტერესოა, რადგან. . .);</p> <p>რამდენიმე სიტყვით გადმოსცემს, რას ეხება ნაწარმოები;</p> <p>ავსებს მასწავლებლის მიერ შედგენილ მკითხველთა ბარათს.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>ცხრილის სახით შეადგენს საკუთარი ბიბლიოთეკის კართოტეკას შემდეგი მონაცემების მითითებით (ავტორი, სახელწოდება, გვერდების რაოდენობა) და ალაგებს გამოცემის წლის მიხედვით;</p> <p>სარჩევის მიხედვით მოძებნის შესაბამის გვერდს / თავს / ნაწილს, რისთვისაც იყენებს წინ და უკან თვლას</p>
<b>ხელოვნება</b>	ქმნის მცირე ზომის ხელნაკეთ წიგნებს წიგნის ყველა მახასიათებლის გათვალისწინებით.
<b>ბუნება</b>	<p>იცნობს და იცავს წიგნის მოხმარებასთან დაკავშირებულ ჰიგიენის წესებს;</p> <p>ალაგებს თანამიმდევრობით წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ ეტაპებს ფოტოებზე / საყრდენ სიტყვებზე დაყრდნობით (მაგალითად, დაწერა, დაბეჭდვა, ილუსტრირება, აკინძვა).</p>

**თემა XIII**  
**ყვავილთა სამყაროში**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>აღწერს და ახასიათებს სხვადასხვა ყვავილს ფერის, სიდიდის, სიმაღლის, სურნელის მიხედვით;</p> <p>გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, რომელი ყვავილი უყვარს და რატომ;</p> <p>აყალიბებს ყვავილთა მოვლის წესებს;</p> <p>ზეპირად ამბობს ლექსებს ყვავილებზე და კითხულობს და ჰყვება მცირე ზომის მოთხოვნებსა და ზღაპრებს ყვავილებზე;</p> <p>არჩევს ყვავილების თაიგულს დედის ან ბებისათვის და განმარტავს, რატომ შეარჩია მაინცდამაინც ეს ყვავილები.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>გამოითვლის, რა თანხა დაუჯდება დედის დაბადების დღისათვის / რვა მარტისათვის სხვადასხვა ყვავილების (მაგალითად ტიტების, მიხაკების, პიონერების) თაიგულის ყიდვა, თუ იცის ამ ყვავილის საცალო ფასი და შეაქს ეს მონაცემები ცხრილში; აღგენს, რომელი უჯდება უფრო ძვირი / იაფი.</p>
<b>სპორტი</b>	<p>ასახელებს გუნდური თამაშის დროს მასწავლებლის მიერ დამზადებულ ქულების ნაცვალ ყვავილთა სახელებსა და რაოდენობას;</p> <p>ადეკვატურად რეაგირებს მასწავლებლის მითითებაზე და ტანგარჯიშის ილეთების შესრულებისას აკეთებს რომელიმე მისთვის ნაცნობი ყვავილის მდგომარეობის იმიტირებას (მაგალითად, გაშლილი ვარდი, თავდასრილი ყაყაჩი).</p>
<b>სელოვნება</b>	<p>განმარტავს, რას ნიშნავს ნატურმორტი და ხატავს ლარნაკში ჩადებული ყვავილების ნატურმორტს და მიაწერს შესაბამის დასახელებას;</p> <p>ყვავილების ორნამენტებით აფორმებს მისალოც ბარათებს.</p>
<b>მუსიკა</b>	მოიძიებს და მდერის სიმღერებს ყვავილებზე.
<b>ბუნება</b>	<p>აკვირდება ყვავილებს სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე და შედეგებს წარმოადგენს ნახატების ან ჩანაწერების სახით. აღწერს იმ ცვლილებებს, რომელთაც განიცდის ესა თუ ის ყვავილი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (მაგალითად, თესლი-ნაყოფი-თესლი).</p>

**თმამა XIV**  
**„დრო“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ასახელებს და მართებულად იყენებს დროის საზომ ერთგულებს (საუკუნე, წელიწადი, დღე, საათი, წუთი, წამი);</p> <p>მართებულად იყენებს წინადადებაში ფორმებს: დღისით, დამით, დილით, საღამოს, წლის წინ, წლის შემდეგ;</p> <p>კითხულობს და იღებს სათანადო ინფორმაციას დროის შესახებ მათემატიკური ამოცანებიდან;</p> <p>იგებს ინფორმაციას ინფორმაციის ელემენტარული წყაროებიდან: საცნობარო ლიტერატურიდან, სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან, მოთხოვებიდან მოქმედების დროის შესახებ.</p>
<b>მათემატიკა</b>	იყენებს დროის ერთგულებს (საათები და წუთები) შორის ცნობილ თანაფარდობას და არითმეტიკული მოქმედებების გამოყენებით პოულობს დროის ინტერვალს.
<b>სპორტი</b>	ზომავს საკუთარ სპორტულ მიღწევებს სირბილში წამზომის საშუალებით
<b>სელოვნება</b>	ქმნის საათის მაკეტს.
<b>ბუნება</b>	იყენებს კალენდარს საკუთარი საქმიანობის დასაგეგმად;
	აკეთებს დღე-დამეში ტემპერატურის ცვალებადობის ცხრილს წელიწადის დროების მიხედვით.

3. თემატური დაგებმვა პილინგზურ სფავლებაში

V-VI პლასები

თემები:

- |                                   |                          |
|-----------------------------------|--------------------------|
| 1. სკოლა                          | 8. მოგზაურობა            |
| 2. მსოფლიო საოცრებები             | 9. დედაქალაქი            |
| 3. მოდა                           | 10. ჩემი გატაცება (ჰობი) |
| 4. დღესასწაულები და<br>ტრადიციები | 11. სპორტი               |
| 5. დრო და სივრცე                  | 12. ჩვენი მეგობრები      |
| 6. საინტერესო ამბები              | 13. სუფრასთან            |
| 7. ბუნება და ადამიანი             | 14. საყიდლებზე           |
|                                   | 15. მიწა, ტყე, წყალი     |

## თემა I „სპოლა“

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>აღწერს სკოლასა და სასკოლო ოთახს;</p> <p>გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას და ემოციებს სკოლასთან დაკავშირებით; ასახელებს სასკოლო ოთახებს /კაბინეტებს, ფლობს შესაფერის ლექსიკას,: (ისტორიის, ქიმიის, ქართულის... კაბინეტები; მინდა, რომ იყოს...)</p> <p>საუბრობს თემაზე – ჩემი საყვარელი საგანი და მასწავლებელი...</p> <p>ადეკვატურად გამოიყენებს რაოდენობით და რიცხვით სახელებს სკოლის შესახებ საუბრისას;</p> <p>მონაწილეობს მეწყვილეებთან დიალოგში, საუბრობს სკოლის შესახებ სათანადო ლექსიკის გამოყენებით;</p> <p>წერს თხზულებას თემაზე, „ჩემი სკოლა“, „როგორი მინდა იყოს ჩემი სკოლა“, „ჩემი მასწავლებელი“.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>პოულობს მოცემულ ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების ჯერადებს იყენებს მათ სკოლის შესახებ შედეგნილ ამოცანებში;</p> <p>ადგენს ამოცანებს სკოლის თემაზე, იყენებს ასრულებს მოქმედებებს ტოლმნიშვნელოვან წილადებზე;</p> <p>გამოთვლის თავისი სკოლის დერეფნისა და სასკოლო ოთხების წილადობრივ შეფარდებას;</p> <p>ერთმანეთს უკავშირებს სიგრძისა და ფართობის ერთეულებს;</p> <p>გამოთვლის სასკოლო ოთახის ფართობს და აფარდებს სხვა ოთახის ფართობთან;</p> <p>აგროვებს მონაცემებს სკოლისა და სასკოლო ოთახის შესახებ და წარმოადგენს დიაგრამით, რომელი უფრო დიდი ფართობია.</p>
<b>სპორტი</b>	<p>სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობით ჩაინიშნავს სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა შედეგებს;</p> <p>მონაწილეობს სასკოლო ლაშქრობაში;</p>

	აღწერს სპორტულ დარბაზს; სპორტულ მოძრაობებს უსაფაგებს სხვადასხვა გაკვეთილს.
ბუნებისმცოდნეობა	ადგენს მარშრუტს სკოლიდან სახლამდე შესაბამისი დასახელებების მიწერით; ორიენტირებს ნაცნობ გარემოში მასწავლებლის მითითებით.
სელოვნება	ქმნის საკუთარი ან საოცნებო სკოლის ნახატს ან მაკეტს, წარმოადგენს და აღწერს კლასის წინაშე; ქმნის თავის ნამუშევარს, ასახელებს სტილს.
მუსიკა	ასრულებს სასკოლო თემაზე სიმღერებს; თავის განწყობას სკოლისა და კლასის მიმართ გადმოსცემს სიმღერით ან პანტომიმით; გაითამაშებს სცენას „სკოლაში”, „გაკვეთილზე”; იყენებს მუსიკას პანტომიმის დროს.

**თმა II**  
**„მსოფლიო საოცრებები“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>მოსწავლე შეძლებს მსოფლიო საოცრების შესაბამისი დექსიკის დასახელებას (პირამიდა, დაკიდული მაგზოლეუმი...);          მართებულად და საჭიროებისამებრ იყენებს სიტყვებს (სიზუსტით, სიმაღლე, სიგანე, ფართობი...);          საუბრობს მსოფლიო საოცრებების შესახებ;          კითხულობს და იგებს მცირე მოცულობის ინფორმაციას მსოფლიო საოცრებებზე.          ენციკლოპედიიდან, სახელმძღვანელოდან...          ადგენს დიალოგს მსოფლიო საოცრებების შესახებ, სვამს კითხვებს, თავადაც უპასუხებს;          ამოიცნობს სურათზე მსოფლიო საოცრებებს, ასახელებს. და ახასიათებს მათ.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>იყენებს და აკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა ზომის ერთეულებს;          გამოსახავს და აღწერს სიდიდეთა შორის დამოკიდებულებას მსოფლიო საოცრებების მაგალითთა მოხმობით;          ამოიცნობს, აღწერს და გამოსახავს გეომეტრიულ ფიგურებს საოცრებების მაკეტებზე/ესკიზებზე;          პოულობს და ადარებს ბრტყელი ფიგურების ფართობებს;          სხნის ამოცანებს ფართობის გამოთვლაზე;          გამოთვლის პირამიდის და სხვა საოცრებების ფართობებს მოცემულობების მიხედვით.</p>
<b>სპორტი</b>	<p>ასრულებს მასწავლებლის მითითებით სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს დაბრკოლების გადასაღამავად, რათა მიაღწიოს მის მიერ შერჩეულ ობიექტს. მაგ: საოცრებებისაგან ერთ-ერთს.</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>რუკაზე დააქვს მსოფლიო საოცრებების გეოგრაფიული მდებარეობა;</p>

	ადგენს ამ ობიექტების ურთიერთმიშაროებებს; რუკის დახმარებით განსაზღვრავს წარმოსახვითი მოგზაურობის მარშუტს.
ისტორია (ჩვენი საქართველო)	განსაზღვრავს და მოიძიებს კოორდინატების დახმარებით გეოგრაფიულ ობიექტებს რუკაზე; ფოტოსურათის დახმარებით აღწერს მითითებული ობიექტს; განასხვავებს სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის სტილებს; ახასიათებს ქართულ არქიტექტურას.
ხელოვნება	ქმნის სიბრტყეობრივ-დეკორატიულ კომპოზიციებს მითითებულ ობიექტზე. (მაგ: პირამიდა, დაკიდებული ბაღები...) ნახატის შექმნისას იყენებს ფერის გრადაციას; აკვირდება როგორ იცვლება ობიექტის ზომა, ფორმა ობიექტის დაშორების მიხედვით.
მუსიკა	საუბრობს სხვადასხვა ხალხის კულტურის განსხვავებულ ნიშნებზე, თავისებურებებზე მოსმენილ მუსიკას მიუსადაგებს სხვადასხვა ხალხის კულტურას.

**თემა III**  
**„მოდა“**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ასახელებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შესაბამის ლექსიგას (საუკუნეში, გრძელი, მოკლე, თბილი, ვიწრო, მაქმანიანი, სახელო, ყელიანი...);          აღწერს სხვადასხვა სეზონისა და სტილის სამოსს. ახასიათებს მეწყვილეს სამოსის და ფეხსაცმლის სტილის მიხედვით;          კითხულობს და იგებს მარტივ ინფორმაციას მოდის სიახლეებზე საინფორმაციო საშუალებებიდან, უურნალებიდან;          ამოიცნობს სურათებიდან სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელ სტილს და წერს მოკლე აღწერას, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, რომელი სტილი მოსწონს და რატომ?</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>მოცემული დამოკიდებულებებისთვის თვისებრივად აღწერს, თუ რა გავლენას ახდენს ერთი სიდიდის ცვლილება მეორეზე, (მაგ: კოსტუმის სიგრძის ზრდა მის ზომაზე...);          ტანსაცმლის მოდელირებაზე დაკირვებით უთითებს პარალელურ და ურთიერთგადამკვეთ ხაზებზე;          მსჯელობს, როგორი ფიგურებით არის აგებული ესა თუ ის მოდელი.</p>
<b>სპორტი</b>	<p>სრულებს მასწავლებლის მითითებებს, იყოფიან ჯგუფებად სამოსის სტილის მიხედვით და ასრულებს შესაბამის მოქმედებას/იმიტაციას;          აღწერს სპორტის სხვადასხვა სახეობის სამოსს.</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>ამოიცნობს და განასხვავებს ბუნებრივ და ხელოვნურ მასალას მოდელზე გაკვირვებით;          საუბრობს ბუნებაში ნარჩენების დატოვების შედეგებზე;          მოდელის შექმნისას განარჩევს ხელოვნურ და ბუნებრივ მასალას;          მონაწილეობს გარემოს დაცვით ღონისძიებებში.</p>
<b>ისტორია (კულტურა და რელიგია)</b>	<p>ამოიცნობს, განასხვავებს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა ჩატულობას;          საუბრობს დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა გავლენაზე მითითებული სურათების მიხედვით;          ახასიათებს სხვადასხვა ეპოქისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის</p>

	<p>წარმომადგენელთა ჩაცმულობას სურათების მიხედვით;</p> <p>აღწერს საქართველოში მცხოვრები ერების ჩაცმულობას სურათების მიხედვით.</p> <p>საუბრობენ, როგორ ვითარდება მოდა საუკუნეებისა და ეპოქის მიხედვით;</p> <p>საუბრობენ თანამედროვე მოდის შესახებ და უდარებენ მას წარსულს.</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>ქმნის და აღწერს მოდელებს;</p> <p>იყენებს ფერის გრადაციას მოდელის შექმნისას;</p> <p>გამოსახავს და აღწერს ადამიანის ფიგურებს ძირითადი პროპორციების დაცვით;</p> <p>ქმნის ორნამენტებს ქსოვილზე, ან კომპიუტერით;</p> <p>ქმნის ლიტერატურული პერსონაჟების გამოსახულებას, შეურჩევს მას ეპოქის შესაბამის სამოსს და აღწერს;</p> <p>წარადგენს ნამუშევარს კლასის წინაშე, აღწერს და ასაბუთებს თავის არჩევანს.</p>
<b>მუსიკა</b>	<p>მოსწავლეთა მიერ შერჩეული მოდელების ჩვენებას უსადაგებს შესაფერის მუსიკას;</p> <p>მუშაობს სხვებთან ერთად წარმოსახვითი პოდიუმისათვის მუსიკის შერჩევაზე და ასაბუთებს თავის არჩევანს;</p> <p>ანაწილებს სამუშაო ფუნქციებსა და მოვალეობებს;</p> <p>მოსწავლები მოაწყობენ პოდიუმს, რომელზეც წარდგებიან ნაშრომით, შერჩეული მუსიკალური ფონით და საუბრობენ ჯგუფების მიერ წარმოდგენილი მოდელებისა და მუსიკალური გაფორმების შესახებ.</p>

**თემა IV**  
**,„დღესასწაულები და ტრადიციები“**

ენის ფუნქციები	<p>ასახელებს ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს;      ასახელებს თავის და სხვა ეთნიკური უმცირესობების ძირითად დღესასწაულებს და ტრადიციებს ზოგადად;</p> <p>საუბრისას იყენებს სხვადასხვა დღესასწაულის აღწერისათვის შესაფერის ლექსიკას;</p> <p>ასახელებს თარიღებს, იყენებს რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებს;</p> <p>სწორად იყენებს ტერმინებს: „ყველა”, „ყოველი”, „ზოგიერთი”, „არცერთი”...</p> <p>წერს მისალოცი ბარათის ტექსტს. პასუხობს დასმულ კითხვებზე;</p> <p>კითხულობს და იგებს ინფორმაციას დღესასწაულების შესახებ;</p> <p>გადმოსცემს თავის დამოკიდებულებებს...</p> <p>დღესასწაულებთან დაკავშირებით სვამს კითხვებს და უპასუხებს, იყენებს შესაფერის ლექსიკას („როდისაა?”, „გილოცავ”...)</p>
მათემატიკა	<p>იყენებს პროპორციულობასა და შეფასებას კალენდარში დღესასწაულისა და სამუშაო დღეების შეფარდების გამოსათვლელად;</p> <p>იყენებს დროის ერთეულების შესახებ თანაფარდობებს (მაგ: გამოთვლის ზამთარში მეტია დღესასწაულები თუ ზაფხულში);</p> <p>სწორად იყენებს ტერმინებს „ყველა”, „ყოველი”, „ზოგიერთი”, „არცერთი”</p>
სპორტი	<p>ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას და ასრულებს იმ სპორტულ აქტივობას, რომელიც ამა თუ იმ დღესასწაულს უკავშირდება. (მაგ: ჭიდაობა, კოცონტენტობა, მკლავჭიდო...);</p> <p>საუბრობს საკუთარი ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელ სპორტულ შეჯიბრებებს სხვადასხვა დღესასწაულზე და აღწერს მათ.</p>
ბუნებისმცოდნეობა	<p>რკაზე აღნიშნავს ობიექტს დღესასწაულების გავრცელების არეალის მიხედვით;</p> <p>საუბრობს, რომელი დღესასწაული რომელ სეზონშია და აღწერს ამ დღესასწაულებს;</p> <p>საუბრობს, რა გავლენა შეუძლია იქნიოს ტრადიციამ, დღესასწაულმა ბუნება</p>

	<p>ბაზე/გარემოზე. (მაგ: ნაძვის მოქრის უარყოფითი მხარე...) უკავშირებს სხვადასხვა ტრადიციას წელიწადის დროს და ხსნის.</p>
ისტორია (კულტურა და რელიგია)	<p>აღწერს საქართველოში მცხოვრები ეროვნებების საოჯახო თუ რელიგიურ დღესასწაულებს;</p> <p>მშობლიური კუთხის რეკის შედგენისას აღნიშნავს შესაფერის ტრადიციას;</p> <p>აღწერს და აჯგუფებს საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დღესასწაულებსა და ტრადიციებს;</p> <p>ხსნის ტრადიციის შინაარს;</p> <p>ერთი ერის ტრადიციებს ადარებს მეორეს;</p> <p>ზოგადად განასხვავებს საზოგადოებაში არსებულ წესებს სახელმწიფო კანონებისაგან;</p>
ხელოვნება	<p>წარმოადგენს ნახატით სხვადასხვა დღესასწაულს;</p> <p>ხაზებს დღესასწაულებისა და თავისი დაბადების დღის ამსახველ სურათებს და ხსნის;</p> <p>ამზადებს და აფორმებს საჩუქარს, მისალოც ბარათს, ნივთებს, რომლებსაც ამა თუ იმ დღესასწაულს ან ტრადიციას უკავშირდება</p> <p>ასახელებს ხალხური შემოქმედების მისთვის ცნობილ ნიმუშებს, გამოყოფს მათში ქულტურული ტრადიციის ელემენტებს.</p>
მუსიკა	<p>ასრულებს სხვადასხვა დღესასწაულისთვის შესაფერის სიმღერებს (მაგ: დაბადების დღის, ახალი წლის, სახელმწიფო პიმნის...)</p> <p>ჰიმნის მოსმენის შემდეგ შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა თვითგამოხატვის საშუალებაა;</p> <p>ამოიცნობს მუსიკაში ეროვნულ ნიშნებს;</p> <p>განასხვავებს მუსიკაში უკავშირდება ეთნიკური ნიშნის შესაბამისად.</p>

**თემა V**  
**დრო და სიმრცე**

<b>ენის ფუნქციები</b>	შესაბამისი კონსტრუქციების გამოყენებით განმარტავს დროის აღმნიშვნელ სიტყვებსა და ცნებებს (წელთაღრიცხვა, საუკუნე, წამი...). იყენებს ქრონოლოგიურ ერთეულებს და წელთაღრიცხვის სისტემას (ძველი და ახალი ერა), მიზეზ-შედეგობრივად აკავშირებს ისტორიულ ფაქტებს შესაბამის ეპოქებთან გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეში.
<b>მათემატიკა</b>	იყენებს და ერთმანეთთან აკავშირებს ზომისა და წონის ერთეულებს; ადგენს ფიგურებსა და ფიგურის ელემენტებს შორის მიმართებებს.
<b>სპორტი</b>	განსაზღვრავს ცხოვრების ჯანსაღი წესის წარმართვის განრიგს დროსა და სივრცეში. სპორტული ღონისძიებების დროს საუბრობს საპუთარი მიღწევების შესახებ დროის გარკვეულ ინტერვალში.
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	გარემოში ორიენტირება. (კოორდინატების განსაზღვრა რუკაზე და რეალურ გარემოში.)
<b>საზოგადოებრივი მეცნიერები</b>	იყენებს და ქმნის ინფორმაციის გარდაქმნის და გადმოცემის საშუალებებს (ცხრილი, გრაფიკა, ფოტო, სქემა, ჩანახატი); ისტორიულ ტერმინებს, მოვლენებს და ფაქტებს განალაგებს ქრონოლოგიურად.
<b>ხელოვნება</b>	მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან.
<b>მუსიკა</b>	მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები (როდის დაიწერა ნაწარმოები...); საუბრობს ამა თუ იმ საკრავის ხმის რეზონანსის შესახებ.

**თემა VI**  
**საინტერვერ ამბები**

<b>ენის ფუნქციები</b>	განარჩევს და აღწერს ქვეყნების, ხალხების წარმომადგენლებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, წეს-ჩვეულებებს; მოიპოვებს და გადმოსცემს ინფორმაციას თემასთან დაკავშირებით.განარჩევს და შესაბამისად იყენებს დროს გრამატიკულ კონსტრუქციებს; წაიკითხავს და გადმოსცემს ინფორმაციის შემცველ მცირე ზომის ტექსტებს ენობრივი კონსტრუქციების სწორად გამოყენებით. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტიდან საინტერესო ნაწილის გამოყოფით; საუბრობს, რომელია ყველაზე საინტერესო თავს გადახდენილი ამბავი.
<b>მათემატიკა</b>	განარჩევს და შესაბამისად იყენებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს ინფორმაციის გაცვლის პროცესში; აკეთებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაციასა და ელემენტარულ ანალიზს.
<b>სპორტი</b>	მოსწავლეს განუვითარდება საკუთარი თავისა და სხვების უსაფრთხოების დაცვისა და კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაღწევის უნარი; მოიპოვებს და გადასცემს ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების შესახებ (ოლიმპიადები, შეჯიბრებები, პირველობები, კონკურსები...); საუბრობს ლაშქრობისა და სხვა მოგზაურობის საინტერესო დეტალებზე.
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	ეცნობა ეკოლოგიასთან დაკავშირებულ თემებს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. რომელი უფრო საინტერესოა? მოსწავლეს შეუძლია გარემოსდაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობის დასაბუთება და მათ ში აქტიური მონაწილეობის მიღება; ყვება კვირის საინტერესო ამბავზე.
<b>ისტორია (კულტურა და</b>	განსაზღვრავს ფაქტების ადგილმდებარეობას, მის გეოგრაფიულ კოორდინატებს

<b>რელიგია)</b>	<b>აჩვენებს რუკაზე.</b>
<b>ხელოვნება</b>	მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან, კულტურასთან, მოცემულ ინფორმაციასთან; გაიაზრებს და გაანალიზებს გეოგრაფიული არეალის გავლენას კულტურის წარმოშობისა და განვითარების პერსპექტივაში; საუბრობს ნაწარმოების შექმნის ისტორიისან ახალი მასალის შესახებ შთაბეჭდილებებზე..
<b>მუსიკა</b>	მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა თვითგამოხატვის საშუალებაა; საუბრობს მსოფლიო მუსიკალურ მიღწევებზე; საუბრობს მუსიკის როლზე ცხოვრებაში.

**თემა VII**  
**გუნდება და ადამიანი**

<b>ენის ფუნქციები</b>	აღწერს ბუნების მოვლენებს შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით. აღწერს ადამიანის გარეგნობას; გადმოსცემს ბუნების შესახებ ინფორმაციას; ეცნობა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის თემაზე დაწერილ მცირე ზომის ლექსებს, მოთხოვობებს, ყველა მათ შინაარსს.
<b>მათემატიკა</b>	მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღგენს ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლების მონაცემთა (ზომა, წონა, ფერი, გადაადგილება) ცხრილს. ადარებს ერთმანეთს ამ მონაცემებს მეტობა-ნაკლებობის მიხედვით.
<b>სპორტი</b>	ლაშქრობაში მონაწილეობა ფლორისა და ფაუნის შესწავლის მიზნით.
<b>ბუნებისმკოდნეობა</b>	აკავშირებს ბუნებრივ მოვლენებს ადამიანის ხასიათთან და მსჯელობს ამაზე; შეუძლია გარემოს დაცვითი ღონისძიებების დასაბუთება და მათში აქტიური მონაწილეობის მიღება; შეუძლია ბუნებაში უსაფრთხო ქცევის წესების დაცვა.
<b>საზოგადოებრივი მეცნიერებები</b>	აღწერს საცხოვრებელ არეალს გეოგრაფიულად, მის ბუნებას – ფლორას, ფაუნას, კლიმატს, კოლონიურ მდგრადირეობას; მასწავლებლის დახმარებით ადარებს ერთმანეთს საქართველოსა და სხვა (მეზობელ, მეგობარ...). ქავებებს გეოგრაფიული, ისტორიული მახასიათებლების მიხედვით.
<b>ხელოვნება</b>	სწავლობს და განიხილავს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს. ქმნის საკუთარ ნამუშევარს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას.
<b>მუსიკა</b>	შეუძლია ბუნების მოვლენების თემაზე დაწერილი ნაწარმოებების მოსმენა, გაგება და ანალიზი შინაარსის თვალსაზრისით.

## თემა VIII

### მოგზაურობა

<b>ენის ფუნქციები</b>	შეუძლია გამოხატოს საბუთარი შთაბეჭდილებები მოგზაურობის, ექსკურსიების შესახებ; აღწერს მნიშვნელოვან ობიექტებს; გადმოსცემს ამა თუ იმ დირსშესანიშნაობის შესახებ მიღებულ ინფორმაციას; შეუძლია ვირტუალური მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები საბუთარი ფანტაზიის გამოყენებით; წერილობით გადმოსცემს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს; წერს დღიურებს, გადმოსცემს საბუთარ შთაბეჭდილებებს; ქმნის მცირე ზომის თხზულებას წარმოსახვითი ან რეალური მოგზაურობის შესახებ.
<b>მათემატიკა</b>	იყენებს და ერთმანეთთან აკავშირებს ზომის სხვადასხვა ერთეულებს; შეუძლია განსაზღვროს ქვეყნებს შორის მანძილი; შეუძლია განსაზღვროს ამა თუ იმ დირსშესანიშნაობამდე მანძილი;
<b>სპორტი</b>	ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის საფუძველზე აქვს უნარი გამოავლინოს ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვეულები, როგორიცაა მიზნის დასახვა, გადაწყვეტილების მიღება, მიზანდასახული მოქმედება, პრობლემის გადაჭრა, ადამიანებთან ურთიერთობა.
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	იცნობს პლანეტებს, შეუძლია განსაზღვროს ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს მთავარი მახასიათებლები; შეუძლია განსაზღვროს ამა თუ იმ ქვეყნის ფლორისა და ფაუნის მთავარი მახასიათებლები, ისტორიული დირსშესანიშნაობები.
<b>საზოგადოებრივი მეცნიერებები</b>	საუბრობს მსოფლიოში ცნობილ დირსშესანიშნაობების გეოგრაფიულ-ისტორიული მახასიათებლების გათვალისწინებით; დროშების მიხედვით ამოიცნობს ქვეყნებს.
<b>ხელოვნება</b>	შეუძლია ისაუბროს მუზეუმების, ხელოვნების ნიმუშების როლზე ადამიანის ცხოვრებაში, ესთეტიკურ გემოვნების ჩამოყალიბებაზე;

	საუბრობს მისთვის საინტერესო მატერიალური ძეგლების შესახებ.
მუსიკა	მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მუსიკალური ნაწარმოებები, განასხვავოს და დააჯაფოს მუსიკალური საკრავები. გადმოსცეს თავისი შთაბეჭდილებები მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების (კომპოზიციის) შესახებ.

## თემა IX

### დედაქალაქი

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>მოსწავლე შეძლებს გარემოს აღწერისათვის -ში, -ზე, -კენ, -მდე, შორის თანდებულების გამოყენებას;</p> <p>მოსწავლე შეძლებს სივრცეში ორიენტაციისათვის ზმნიზედების (ახლოს, შორს, გვერდით, მარჯვნივ, აღმოსავლეთით... ) გამოყენებას;</p> <p>მოსწავლე შეძლებს საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას(მომწონს იმიტომ, რომ... არ მომწონს...);</p> <p>მოსწავლე შეძლებს თარიღების დასახელებას;</p> <p>მოსწავლე შეძლებს ზედსართავი სახელების გამოყენებით თბილისის / საკუთარი საცხოვრებელი ადგილის უბნების აღწერას;</p> <p>მოსწავლე შეძლებს ტექსტის წაკითხვებზე პასუხის გაცემას.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>აღწერს რუკაზე ორი ან მეტი ჰუნქტის ურთიერთმდებარეობას ოთხი მიმართულების გამოყენებით (ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი...); რუკაზე მოცემული ორი ობიექტის ურთიერთმიმართების დადგენას;</p> <p>კოორდინატების (სიმბოლოთა წყვილის) გამოყენებით აღწერს დედაქალაქის / ან სხვა ქალაქის მდებარეობას და იყვნებს ამ ხერხს რეალურ რუკაზე (ობიექტების მოძებნა რუკაზე).</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>მოსწავლე შეძლებს რუკაზე გამოარჩიოს ის გეოგრაფიული ობიექტები (შავი ზღვა, კავკასიონი, კასპიის ზღვა), რომლებიც გაუადვილებს საქართველოს ადგილმდებარეობის განსაზღვრას;</p> <p>პორიზონტის მხარეების მიხედვით დასახელებს თბილისის თვალსაჩინო ადგილებს (მთაწმინდა, ცირკი, ზოოპარკი...) და მტკვრის სანაპიროებზე განლაგებულ ღირსშესანიშნაობებს;</p> <p>შეადგენს თბილისის რუკას და ქართულად მიაწერს ობიექტებს სახელებს.</p>
<b>საზოგადოებრივი მეცნიერებები</b>	<p>ასახელებს თბილისთან / სხვა ქალაქთან / ადგილთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების თარიღებს, ასახელებს მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს;</p> <p>ასასიათებს საქართველოს ისტორიის გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებიც ქვეყნის</p>

	შმართველობაში მონაწილეობდნენ.
<b>ხელოვნება</b>	ხატავს სხვადასხვაგვარი მონასმებით და ეფექტურით დედაქალაქის / მისი საცხოვრებელი ადგილის რომელიმე უბნის პეიზაჟს, გადმოსცემს განწყობილებას წარადგენს ნამუშევარს საპრეზენტაციოდ და საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინებს; საუბრობს სხვა ნამუშევარზე, რატომ მოსწონს ან არ მოსწონს. იღუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს და ასახელებს თბილისის / სხვა მისთვის ნაცნობი ადგილების ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

**თემა X**  
**ჩემი გატაცვება (ჰობი)**

ენის ფუნქციები	<p>შეუძლია დაასახელოს თავისი და სხვისი პობი;  მარტივი წინადადებებით აღწერს თავის ან სხვის პობის;  შეძლებს კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის გაცემას საბუთარ პობთან დაკავშირებით;  მცირე დიალოგის შედგენას მეგობრის პობისთან დაკავშირებით;  საუბრობს ნაცნობთა გატაცებებზე („გოგონებს უფრო მეტად იტაცებთ...; „ბიჭების უმრავლესობას უყვარს...; „გოგოების უმცირესობას მოსწონს...; „გამონაკლისია. . . გატაცება)  ასახელებს ტოპონიმებს, თარიღებს (...წლის...../თვე/ დაარსდა ..... საუკუნეში, აშენდა ..... , .....საუკუნეს ეპუთვნის);  ასრულებს მასწავლებლის მითითებებს (იმიტაციური ლაშქრობა/ აქედან ..... , აქამდე...., შენი ჯერია, დაიწყე; ...დაულოდე...)</p> <p>ქმნის, ხატავს ნატურმორტს, პეიზაჟს, პორტრეტს, არჩევს შესატყვის ფერებს, იცავს გარემოს ხატვისას განლაგებას.</p> <p>აკეთებს პრეზენტაციას და აფასებს, რამდენად შეძლო ეს. (მე მომწონს ..... ფერები, ქმნის ნახატს, სადაც აისახება მისი პობი).</p>
მათემატიკა	<p>მოიპოვებს დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს;</p> <p>ირჩევს მონაცემთა შეგროვების შესაფერის საშუალებას (დაკვირვება, მონაცემთა ამოკრება მოცემული ერთობლიობიდან);</p> <p>იკვლევს მოცემული კლასის/სკოლის უფროკლასელების) მოსწავლეთა გატაცებას და აღგენს გარკვეულ სტატისტიკას;</p> <p>აკეთებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაციას და ელემენტარულ ანალიზს;</p>

	<p>ადარებს მონაცემთა ორ ერთობლიობას (გოგონების ჰობი, ვაჟების ჰობი) და წარმოაჩენს თვისებრივ და რაოდენობრივ მსგავსებასა და განსხვავებას მათ შორის გამორჩეულ მონაცემებს;</p> <p>უგავშირებს ჯგუფში მონაცემთა გვარობას/ტიპს, მონაცემთა განმეორადობას, პოზიციას და თანმიმდევრულობას).</p>
სპორტი	ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილზე შედგენილი მარშრუტის მიხედვით მოაწყობენ ლაშქრობას
ბუნებისმცოდნეობა	ქმნის ლაშქრობის მარშუტს და ასახელებს ადგილებს, რომლებსაც ნახავს. ადგენს გამკვლეულს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საუცრობს თემაზე „ჩემი ჰობია მოგზაურობა“; ასახელებს ქვეყნებს, სადაც იმოგზაურებდა და ასახელებს ამ ქვეყნების დირსექსანიშნაობებს გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ ქვეყნებისადმი.
ხელოვნება	<p>შეძლებს შუქჩრდილის, ფერების, ხაზების, მონასმების გამეორებით შექმნას ნატურმორტი, პეიზაჟი;</p> <p>შეძლებს გარემოზე დაკვირვებით ობიექტებს შორის კავშირების დადგენას და მათი თავისებურებების გადმოცემას ნამუშევარში;</p> <p>გაცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეძლებს მის გამოსახვას ნამუშევარში;</p> <p>შეძლებს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრების წარდგენას და სხვა საგნებში მიღებული ცოდნის საფუძველზე მათ შეფასებას.</p>
მუსიკა	კვლევის გათვალისწინებით მოისმენენ სხვადასხვა მელოდიას, გამოიცნობენ და დაასახელებენ ჟანრებს.

## თემა XI

### სპორტი

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>შეძლებს სხვადასხვა კონსტრუქციების გაგებასა და გამეორებას:</p> <p>(გაიმარჯვა ჩემპიონატზე; დამარცხდა; აქვს სუსტი აღნაგობა... აქვს სწავლაში ჩამორჩენა.... მაღალ/დაბალი- სპორტული მაჩვენებელი, დაბინძურებული გარემო, არაჯანსაღი კვება);</p> <p>შეძლებს დაასახელოს სპორტის სხვადასხვა სახეობები და სპორტის სახეობის წარმომადგენლები (ფეხბურთი-ფეხბურთელი);</p> <p>კითხულობს მცირე ზომის ტექსტს სპორტის თემაზე;</p> <p>გამოხატვს დამოკიდებულებას მისთვის ცნობილ სპორტის სახეობებზე.</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>ცხრილზე დაკვირვებით, რომელშიც არის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თარიღები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, გამოიანგარიშებს მომავალი ჩემპიონატების თარიღებს და ასახელებს, რომელ წელს რომელ სახეობაში ჩატარდება ჩემპიონატი.</p>
<b>სპორტი</b>	<p>მოსწავლე განმარტავს, რა უარყოფითი შედეგი მოაქვს სუსტი ჯანმრთელობას (სუსტი აღნაგობა, სწავლაში ჩამორჩენა, დაბალი სპორტული მაჩვენებლები).</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>ასახელებს ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს (დაბინძურებული გარემო, არაჯანსაღი კვება, ხმაური).</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>შეძლებს დახატოს სივრცე პერსპექტივის კანონების გამოყენებით (წინა, შეა და უკანა პლანი, ნახევარტონები), შექმნას მრავალფიგურიანი კომპოზიციები;</p> <p>წარადგენს თავის ნამუშევარს და სხნის საკუთარ არჩევანსა და ჩანაფიქრს, ასახელებს საქუთარ გუნდს და მის წევრებს.</p>
<b>მუსიკა</b>	<p>ისმენს ფეხბურთის ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდების ქავენების ჰიმნს და გამოიცნობს მათ, შემდეგ ასახელებს;</p> <p>ქმნის ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად მომავალი ჩემპიონატის ჰიმნს.</p>
<b>ისტორია</b>	<p>შეძლებს ისტორიული თამაშების და ქართული თამაშების დასახელებას და მათ მოკლე აღწერას;</p> <p>მოსწავლე შეძლებს ქართული თამაშების ისტორიის მოსმენა-გაგებას და მოკლედ გადმოცემას;</p> <p>შეძლებს ყველაზე ძველი და ყველაზე ახალი თამაშების დასახელებას.</p>

**თემა XII**  
**ჩვენი მემორანული**

ენის ფუნქციები	<p>ამუშავებს ისტორიის გაკვეთილზე მოძიებულ ინფორმაციას რელიგიების გავრცელების არეალის შესახებ;</p> <p>დაადგენს ორ სიღიდეს შორის დამოკიდებულებას, გადმოსცემს შეკრების/გამოკლების შემცველი გამოსახულებებით;</p> <p>სიღიდეებს შორის დამოკიდებულებებს გამოხატავს ცხრილების მეშვეობით.</p> <p>მოსწავლე შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თავისი და სხვისი მეგობრების დასახელებას, ხსნის მეგობრობის მიზეზს;</li> <li>• კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის გაცემას მეგობრებთან დაკავშირებით;</li> <li>• კითხულობს მცირე ზომის ტექსტს საქართველოს მეგობარი ხალხების შესახებ;</li> </ul> <p>ადგენს წინადადებებს მეგობარი ხალხის თავისებურების შესახებ (ვმეგობრობთ იმიტომ, რომ.... „ ჩემი მეგობარია...“)</p>
მათემატიკა	<p>გამოსახავს და აღწერს სიღიდეებს შორის დამოკიდებულებას;</p> <p>აღწერს (მათ შორის რეალურ კითარებაში) რაიმე სიღიდის თანაბარ ცვლილებებს, რომელიც მიიღება მუდმივი სიღიდის მიმატებით/გამოკლებით.</p>
ბუნებისმცოდნეობა	<p>მოსწავლეს შეუძლია ნაცნობი ბუნებრივი გარემოს მაგალითზე განსაზღვროს მარტივი კვებითი კავშირები;</p> <p>განასხვავებს ცხოველებს კვების ნირის მიხედვით, კ.წ.მეგობართა ჯგუფები:</p> <p>ბალახისმჭამელი, ხორცისმჭამელი, ნაირმჭამელი, მსჯელობს ადამიანის კვების თავისებურებაზე.</p>
სელოვნება	<p>შეძლებს დააკვირდეს გარემოში ობიექტებს შორის კავშირებს და მათი თავისებურებების გადმოცემას ნაწარმოებში;</p> <p>დახატოს პორტრეტები, გამოსახოს საკუთარი თავი და სხვები, სხვადასხვა მახასიათებელი ნიშნების, დეტალების გამოყენებით რეალურ თუ გამოგონილ სიტუაციაში;</p> <p>ესაუბროს მეგობრებს ნახატებით.</p>

მუსიკა	<p>შეძლებს მოისმინოს და ამოიცნოს კავკასიელ ხალხთა ხალხური შემოქმედება; შეძლებს ისაუბროს, თუ რა გაიგო ამა თუ იმ ხალხის კულტურის შესახებ მისი მუსიკის გაცნობით;</p> <p>ასახელებს მისთვის ნაცნობი ნიმუშების სტილს.</p>
ისტორია	<p>აღწერს საქართველოში არსებულ რელიგიებს;</p> <p>რუკაზე მიუთითებს და ასახელებს მისთვის ცნობილი რელიგიების გავრცელების არეალებს თანამედროვე საქართველოში.</p>

## თმა XIII

### სუფრასთან

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>ადგენს მენიუს – დღის რომელ მონაკვეთში – დილით, შეადგისას, სადამოს- საუზმობს, სადილობს, ვახშმობს;</p> <p>საუბრობს – რა უყვარს, რა მოსწონს, თვითონ რის მომზადება შეუძლია;</p> <p>ადგენს რეცეპტს საყვარელი კერძისას;</p> <p>გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა სამზარეულოზე, ტრადიციულ სუფრაზე (ქცევის წესები);</p> <p>აღადგენს კერძის მომზადების პროცესს (ჯერ ვთლი კარტოფილს, მერე ვჭრი...; შემიძლია გამოვაცხო პური, ვიცი პურის გამოცხობა, ვიცი კარტოფილის შეწვა);</p> <p>განარჩევს და ახასიათებს სადღესასწაულო და ჩვეულებრივ სუფრას;</p> <p>საუბრობს სუფრასთან მოქცევის წესების შესახებ</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>ადგენს მიმართებას ზომისა და წონის ერთეულების შესახებ;</p> <p>იგებს მასწავლებლის ინსტრუქციას და აკეთებს ჩანაწერს მთელის წილად ნაწილზე.</p>
<b>სპორტი</b>	<p>შეუძლია განსაზღვროს ჯანმრთელობა, როგორც საზოგადოებაში წარმატებული არსებობის ერთ-ერთი საწინდარი;</p> <p>განმარტავს, რა არის კალორია, ალკოჰოლის ზემოქმედება ორგანიზმზე – აღწერს, როგორ აარიდონ თავი ალკოჰოლს;</p> <p>მუსიკის თანხლებით ასრულებს რიტმულ და ცეკვის მოძრაობებს;</p> <p>საუბრობს ჯანსაღი კეგბის აუცილებლობაზე.</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>ჩამოთვლის ჯანსაღი ცხოვრების წესს, ჯანმრთელობაზე დადებითად და უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს –</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს მენიუს შინაარსი ისტორიათან, კულტურასა და რელიგიასთან.</p> <p>ქმნის, ასახავს, აფასებს თავისი ცხოვრების საინტერესო-მნიშვნელოვან მომენტს სუფრასთან</p>

	<p>და ცდილობს გადმოსცეს საკუთარი გრძნობები და დამოკიდებულებები; ცნობს ნახატებს, რომლებზეც გამოსახულია სუფრა, საუბრობს, რა მოსწონს ამ ნახატზე (ფიროსმანის ტილო);</p> <p>ეცნობიან სუფრის გაფორმების ხელოვნებას.</p>
მუსიკა	<p>მოისმენს და ამოიცნობს ნაწარმოებების ფრაგმენტებს, რომელიც სუფრას უკავშირდება ტაშით გადმოსცემს რიტმულ ნახაზს;</p> <p>მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა: სუფრული, მხიარული, ქალაქური, საცემებაო.</p>

## თემა XIV საყიდლებები

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>საუბრობს საკუთარი დამოკიდებულებების შესახებ საყიდლებზე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სურათი, წიგნები და სხვა);          სწორი ფორმით გამოხატავს საყიდლებთან დაკავშირებულ მოქმედებებს სამივე დროში;          სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს ყიდვის პროცესის აღსაწერად (მინდა ვიყიდო, მინდა ყიდვა, ვაპირებ ყიდვას; ყიდულობ, უკვე ვიყიდე).          საუბრობს პროდუქტზე (იაფი, ძვირი, რა დირს? რამდენით ძვირი? რამდენჯერ იაფი?)</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>აღგენს რეალური ვითარების შესაბამის ტოლობას, უტოლობას, განტოლებას;          არითმეტიკული ოპერაციების გამოყენებით ტექსტური ამოცანის ამოხსნისას სვამს კითხვებს ამოცანის პირობაში არსებული მონაცემების შესავსებად (მაგ: ამოცანის პირობა: მოსწავლეებზე 3 ფანქარში 60თ. გადაიხადა, რა დირსერთი ფანქარი? აკლებული მონაცემების შესავსებად შეიძლება დაისვას კითხვა:- სამივე ფანქრის ფასი ტოლია?)</p>
<b>სპორტი</b>	<p>წარმოსახვითი ოამაში „სპორტის მაღაზიაში”; ასახელებენ სპორტულ ტანისამოსს;          განასახიერებენ როლური ოამაშს;          ვინ უფრო სწრაფად შეარჩევს სპორტულ სამოსს შესაბამისი სახეობისთვის.</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>ასახელებს ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედ ფაქტორებს – ჯანსაღი/არაჯანსაღი პეპება;          არჩევს ბუნებაში გასვლისთვის შესაბამის ტანსაცმელს, აღჭურვილობას და საკვებს.</p>
<b>ხელოვნება</b>	<p>საუბრობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცალკეული ნიმუშის დანიშნულებაზე – (დეკორაციული, გამოყენებითი, რელიგიური, საინფორმაციო და კულტურული – რომლი ხოციალური ფენისთვის იყო განკუთვნილი ხელოვნების ნიმუში);          ქმნიან ნიმუშებს წარმოსახვით აუქციონზე გასატანად.</p>
<b>სოციალური მეცნიერებანი</b>	<p>კითხულობს ტექსტს პიროვნებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის შესახებ, ვაჭრობის როლზე საქართველოს ისტორიაში;          პასუხობს კითხვებს წერილობით და ზეპირად;          ირჩევს წარსული საზოგადოების ერთ-ერთ სოციალურ ფენას (ვაჭარი) და აღწერს ამ ფენის თვალსაჩინო წარმომადგენელის ყოველდღიურ ცხოვრებას;          ამოიცნობს საინფორმაციო ტექსტს ამასთან დაკავშირებით და საუბრობს მასზე.</p>

**თემა XV**  
**მიწა, ტყე, ჭყალი**

<b>ენის ფუნქციები</b>	<p>აღწერს და ახასიათებს მიწის, წყლის და ტყის სასიცოცხლო მნიშვნელობას; ასახელებს/განმარტავს წყლის აგრეგატულ მდგომარეობას (ორთქლდება, იყინება, ლდვება. ზამთარში, ზაფხულში, შემოდგომაზე); აღწერს ნიადაგს (შავმიწანიადაგი, თიხნარი); გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვაზე შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით; ახასიათებს ტყის სახეობები (მეჩხერი, უდრანი, წიწვოვანი, ფოთლოვანი, ალპურ-სუბალპური).</p>
<b>მათემატიკა</b>	<p>მოსწავლე ორიენტირებს ბადიოთ დაფარულ არეალზე, კოორდინატების გამოყენებით აღწერს მდებარეობას და იყენებს ამ ხერხს რეალურ ვითარებაში (რუკაზე ობიექტის მოძებნა); აღწერს რუკაზე ორი ან მეტი პუნქტის ურთიერთდამოკიდებულებას, ოთხი მიმართულების გამოყენებით (მაგ: ჩრდილოეთით, დასავლეთით ...).</p>
<b>სპორტი</b>	<p>ერთმანეთს უხამებს სხვადასხვა სახის და სისწრაფის მოძრაობებს (რბენა, გადახტომა, ჩამოხტომა, ვიწრო საყრდენზე წონასწორობის შენარჩუნება, მაგ: სამიზნემდე მისასვლელად უნდა გაირბინოს და გადახტებს მდინარეზე, გადაკოტრიალდეს მდელოზე, გადაირბინოს ტყე, გადაიაროს საცალფეხო წონასწორობის დაცვით და ა.შ).</p>
<b>ბუნებისმცოდნეობა</b>	<p>შეუძლია გარემოსდაცვით ორგანიზაციებში საუბარი; ამოიცნობს და აჯგუფებს ადგენად ბუნებრივ რესურსებს; აღწერს ადამიანის აქტივობებს და განსაზღვრავს საკუთარ მონაწილეობას ბუნებრივი რესურსების აღდგენის საქმეში (მაგ: ხეების დარგვა).</p>
<b>საზოგადოებრივი მეცნიერებები</b>	<p>ადგენს სქემატურ რუკას, ავსებს საქართველოს კონტურულ რუკას (რელიეფის ფორმები, ჰიდროგრაფიული ობიექტები), თან ასახელებს; აკავშირებს საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტებს დასახლებების ტიპებით; ფოტოსურათის ან რუკის გამოყენებით აღწერს სხვადასხვა ტერიტორიებისთვის პეიზაჟს (მთები, ტყეები...)</p>

<b>ხელოვნება</b>	მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, მოვლენებს, მათ შორის არსებულ კავშირებს და ასახავს ნამუშევარში; ქმნის პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით, მეტი დეტალების გამოყენებით; ასახელებს და აღწერს მის მიერ შექმნილ ნახატზე გამოსახულ რელიეფს; მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის დონისძიებებში. მაგ: გარემოს დაცვა, გარემოს დასუფთავება.
<b>მუსიკა</b>	ამოიცნობს მოსმენილი ნაწარმოების ფრაგმენტებს და გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სიტყვიერად და ნახატით.

## თავი 3

### 1. რეკომენდაციები გილიერგური გაკვეთილების დაგეგმვასთან დაკავშირებით

გაკვეთილის დაგეგმვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ სისტემას, რომელშიც გამოყენებულია კრიტიკული აზროვნების პრინციპები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაკვეთილის თითოეულ ფაზაში უნდა დაისვას გარკვეული პრობლემა. აუცილებელია იმის დამახსოვრება, რომ მეცადინეობის თითოეულ ფაზაში საჭიროა შესაბამისი მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება. სწავლების სტრატეგიისა თუ მეთოდის შერჩევისას მნიშვნელოვანია გაკვეთილის მიზნის გათვალისწინება.

გაკვეთილის დაგეგმვისას, პირველ რიგში, საჭიროა გაკვეთილზე გამოკვეთილი მიზნების შეფასება და ამ მიზნების განხორციელების შესაძლებლობის განსაზღვრა გაკვეთილისათვის გამოყოფილი დროის განმავლობაში.

ასევე საჭიროა გაკვეთილის თითოეული ფაზისათვის სტრატეგიის შემუშავება. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ სტრატეგია არის მხოლოდ საშუალება, რომელიც გვეხმარება დაგეგმილი შედეგების მიღწევაში.

გაკვეთილის შემდეგ საჭიროა მიღწეული შედეგების ანალიზი და მათი შესაბამისობის დადგენა წინასწარ შემუშავებულ მიზნებთან. ეს მასწავლებელს აძლევს იმის საშუალებას, რომ ისწავლოს საკუთარ გამოცდილებაზე და უკეთესად დაგეგმოს ყოველი მომდევნო გაკვეთილი.

## დაბეგმის მიმართულებები:

### 1. გაკვეთილის თემა.

მოტივაცია.

- რისთვის არის საჭირო ეს გაკვეთილი?
- რამდენად არის დაკავშირებული გაკვეთილის თემა იმ ცოდნასთან, რომელიც სხვა გაკვეთილებზე შეიძინეს?
- დაკავშირებულია თუ არა გაკვეთილის თემა მომავალში შესასწავლ მასალასთან?
- რამდენად არის გაკვეთილის თემა დაკავშირებული მოსწავლეთა პირად გამოცდილებასა და მათ ინტერესებთან?
- როგორ მოხერხდება ამ გაკვეთილის საშუალებით სწავლის სწავლა და კრიტიკული აზროვნების განვითარება?
- რა სახის ინფორმაციას მიიღებენ მოსწავლეები ამ გაკვეთილის საშუალებით?
- როგორ უნდა მოხდეს გაკვეთილის გეგმის შემუშავება იმგვარად, რომ გაიღვიძოს თითოეული მოსწავლის პერსონალურმა ინტერესმა?
- რა სახის კითხვების დასმა მოხდება მოსწავლეთათვის, როგორ გაართმევენ თავს ახალი თემის გაგებას, როგორ შეძლებენ ახალი ინფორმაციის გაანალიზებას, იდეების სინთეზირებას და ა.შ.
- როგორ შეიძლება გაკვეთილის თემის გამოყენება იმგვარად, რომ განვითარდეს კითხვების დასმის, ანალიზის, დისკუსიის შესაძლებლობა?
- თემის როგორი ასპექტებით არის შესაძლებელი მოსწავლეთათვის შემდგომი კვლევითი მუშაობისათვის ხელშეწყობა?
- როგორ მოხდება აღნიშნული გაკვეთილის საშუალებით მეორე ენის ათვისება და როგორ ჩამოუყალიბებს მოსწავლეს დადებით დამოკიდებულებას მეორე ენის მიმართ?

- რა სახის თანამშრომლობა იქნება საგნის მასწავლებელსა და ენის მასწავლებელს შორის?
- გაკვეთილის რომელ ეტაპზე და რა მიზნით მოხდება მშობლიური ენის და მეორე ენის გამოყენება?
- რომელი სიტყვების შეთვისებაა აუცილებელი მეორე ენიდან, მოსწავლის ლექსიკონიდან რომელი სიტყვების აქტივიზაციაა აუცილებელი?
- სწავლების რა სახის მეთოდები და მეთოდოლოგიური ხერხები იქნება გამოყენებული იმისათვის, რომ მოსწავლეში განავითაროს ზეპირი და წერილობითი სახით მეორე ენაზე აზრის და გრძნობის გადმოცემა?
- როგორ განხორციელდება მოსწავლეთა თანამშრომლობა და მათ მიერ ახალად ათვისებული ლექსიკის გამოყენება?

## **2. გაკვეთილის მიზნები**

ყოველი გაკვეთილისათვის საჭიროა რამდენიმე მიზნის წინ წამოწევა:

- მიზანი, რომელიც დაკავშირებულია ათვისებული მასალის შინაარსთან;
- მიზანი, რომელიც ავითარებს მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებას და მისი სწავლის შესაძლებლობებს;
- მიზანი, რომელიც ავითარებს მეორე ენის შესაძლებლობებს და იძლევა კულტურულ გარემოში ინტეგრირების საშუალებას;

## **3. წინასწარ წაყენებული პირობები**

აუცილებელია იმის შეფასება, თუ რა უნდა იცოდეს და შეეძლოს მოსწავლეს იმისათვის, რომ წარმატებით გაართვას თავი ახალ მასალას.

- რა წინასწარი ცოდნა გააჩნია მოსწავლეს თემის ირგვლივ?
- იმისათვის, რომ ცოდნა შენარჩუნებული და ხანგრძლივი იყოს, აუცილებელია მისი შეთვისება უპვე ნაცნობ და გასაგებ კონტექსტი,

ამიტომ თითოეული თემის ათვისებამდე საჭიროა, რომ მოსწავლე ფლობდეს წინასწარ ინფორმაციას აღნიშნული თემის შესახებ.

- გვაძლევს თუ არა მოსწავლეთა ნიჭიერების დონე, აზროვნება და სწავლის უნარი იმის საშუალებას, რომ მათ დაძლიონ მასწავლებელთა მიერ გაკვეთილისათვის შემუშავებული მასალა?
- რა დონეზეა წარმოდგენილი ქართული ენის ცოდნა და ბილინგვურად სწავლების მზაობა?

მასწავლებლისათვის აუცილებელია შეაფასოს კლასში მოსწავლეთა მიერ მეორე ენის ცოდნის დონე. აგრეთვე აუცილებელია იმის დამასხვრება, რომ ბილინგვურ მეთოდებში მთავარ პრინციპს წარმოადგენს არა გადათარგმნა, არამედ შედარება.

## 2. გაკვეთილების სცენარები

### ბუნება

#### I კლასი

თემა: ფრინველები და ცხოველები

აკადემიური მიზნები: შეუძლია ცხოველებისა და ფრინველების გარჩევა, მათი ამოცნობა ნახატზე.

ენობრივი მიზნები: იცის ცხოველებისა და ფრინველების დასახელება და ილუსტრაციაზე დაყრდნობით მარტივი კითხვების დასმა? რა ცხოველია? რა ფრინველია?

ლექსიკა: ცხოველები, ფრინველები, დათვი, ძაღლი, კატა, დორი, ცხენი, ბუ, მამალი, ქათამი, არწივი...

სოციალური მიზნები: შეძლებს აქტიურ მოსმენას, მონაწილეობას.

პროგოცირება: მასწავლებელს გაკვეთილზე შეაქვს ცხოველებისა და ფრინველების წინასწარ გამზადებული სურათები / ნახატები, აკრავს დაფაზე.

**აქტივობები:**

- 1) მოსწავლეები მშობლიურ ენაზე ასახელებენ  
ნახატზე მოცემულ ცხოველს ან ფრინველს.
- 2) ცალკე მომზადებული T სქემით (ქართულ-  
სომხურად ფრინველები და ცხოველები)  
აჯგუფებენ ცხოველებისა და ფრინველების  
სურათებს.  
*ორგანიზება 9 წელი; რესურსი: ნახატები,  
მომზადებული T სქემა.*
- 3) საკომუნიკაციო სიტუაცია: წალკაში უნდა  
გახსნან ზოოპარკი, თბილისიდან უნდა  
ჩამოვიყვანოთ ცხოველები და ფრინველები.  
ვისწავლოთ სახელები ქართულად, რომ  
ზოოპარკის დირექტორს ჩამოვუთვალოთ  
სასურველი ცხოველები, ფრინველები.
- 4) ლექსიკაზე მუშაობა:
  - ცხოველს / ფრინველს ასახელებს პედაგოგი  
და აჩვენებს შესაბამის ნახატს:
  - ასახელებს და ბაგშვები აჩვენებენ  
ნახატებს;
  - მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, ბაგშვები  
ასახელებენ.

*ორგანიზება: 8 წელი*

- 5) პედელზე განთავსებულ სიტყვებს  
(ფრინველთა და ცხოველთა სახელები)

ზემოდან ამაგრებს შესაბამის სურათს და  
ეკითხება ქართულად: რა ცხოველია? რა  
ფრინველია? ვინც სწორად უპასუხებს,  
აირჩევს ნახატს, შეუსაბამებს ნაწერს და  
სვამს კითხვას.

ორგანიზება: 8 წელი.

6) ბაგშვები მუშაობენ წყვილებში. დახატავენ  
საყვარელ ცხოველსა თუ ფრინველს, ცვლიან  
ერთმანეთში და ადგენენ მათ ქართულ  
სახელწოდებას, შემდეგ აკრავენ თავიანთ  
ნამუშევრებს, ასახელებენ და კითხულობენ:  
ცხოველია თუ ფრინველი?

საშინაო დავალება:

სახელმძღვანელოდან ამოჭრან და წარწერიან  
უჯრაში ჩააკრან შესაბამისი ცხოველისა და  
ფრინველის ნახატი.

შეფასება:

მოსწავლეები შეფასდებიან შემდეგი  
კრიტერიუმების მიხედვით:

1. ასახელებენ და აჯგუფებენ ცხოველებსა და  
ფრინველებს;
2. იყენებენ ნასწავლ ლექსიკას;
3. სწორად სვამებ კითხვას: რა ცხოველია? რა  
ფრინველია?
4. სწორად პასუხობენ დასმულ შეკითხვებს..

## IV კლასი

სახელმძღვანელო: ბუნებისმცოდნეობა – ნ. ბარნაველი.

**თემა:** ცხოველთა ჯგუფები

აკადემიური მიზნები: იცის და ასახელებს ცხოველთა ჯგუფებს.

ენობრივი მიზნები: ისწავლის ცხოველთა კლასიფიკაციის დასახელებას. (ბუმუმტოვარი, ქვეწარმავალი, ამფიბია...). ამ ჯგუფების სახელწოდებებს და ცხოველებს ახასიათებს ქმედებების მიხედვით (ცოცხალი, დახოხავს, დაფრინავს, ცურავს).

სოციალური მიზნები: მონაწილეობა, დახმარების თხოვნა/აღმოჩენა, დროის დამიტის დაცვა (მასწავლებელი მშობლიურ ენაზე უხსნის ცხოველთა ჯგუფებს, სახელწოდებებს).

**პრიზრები:**

**აქტივობა 1:**

ბავშვი გამოდის კალათთან, იღებს ცხოველის სურათს, ამბობს დასახელებას ქართულად; კლასიფიკაციას – ჯგუფს აკუთვნებს მშობლიურ ენაზე, მოძებნის იმ ჯგუფს სომხურ ენაზე წარწერილ პლაკატზე, წაიკითხაას ამ სიტყვის ქართულ შესატყვისს და იტყვის

წინადადებას – ლომი არის ძუძუმწოვარი ცხოველი... გუ არის ქვეწარმავალი...

დრო – 20 წუთი;

ორგანიზება – ინდივიდუალური;

რესურსები – კალათში ყრია ცხოველთა სურათები; პლაკატი ცხოველთა კლასიფიკაციის დასახელებებით სომხურად და ქართულად.

### აქტივობა 2:

მასწავლებელი აძლევს მშობლიურ ენაზე განმარტებებს – ჯგუფებში გეძლევათ დაგალება: დაასახელეთ ჯგუფებში შემავალი ცხოველები ქმედებების მიხედვით, ვისაც შეუძლია ქართულ ენაზე შემდეგი სახის წინადადებებით – ლომი არის ძუძუმწოვარი ცხოველი – ის დადის; დელფინი არის ძუძუმწოვარი ცხოველი – ის დაცურავს. თუ მოსწავლეს ამის თქმა გაუჭირდება იგივეს ამბობს მშობლიურ ენაზე, მხოლოდ ცხოველთა ჯგუფს მაინც პლაკატზე ვაკითხებოთ ქართულად.

დრო: 15 წუთი;

ორგანიზება: ჯგუფები.

**საშინაო დაგალება:** ვაძლევთ შეფასების სქემას (მითითება სომხურად), რომელიც უნდა შეავსონ. (ცხრილი იქნება შესავსები ქართულ ენაზე):

## ცხოველები

„—” 1. დელფინი 2. 3.	„—” 1. მტრედი 2. 3.	ქვეწარმავალი 0 1. 2. 3.
„—” 1. გომბეშო 2. 3.	თევზები 1. 2. 3.	„—” 1. პეპელა 2. 3.
„—” 1. ობობა 2. 3.	„—” 1. ლოკოკინა 2. 3.	ჭიები 1. 2. 3.

შეფასება: პრეზენტაციების ზეპირი შეფასება. ფორმალური გაკვირვებით და ჩანიშვნით.

## V კლასი

**თემა:** სუფთა ნივთიერებები და ნარევი ნივთიერებები

**აკადემიური მიზნები:**

- იცის, რას ნიშნავს სუფთა ნივთიერება, ნარევი ნივთიერება.
- ასახელებს ამ ნივთიერებებს თავისი ყოველდღიური ცხოვრებიდან. ახდენს მათ კლასიფიკაციას.
- ცდაზე დაპირვებით ასახელებს ნივთიერების თვისებებს.

**ენობრივი მიზანი:**

იცის და სწორად იყენებს ლექსიკურ ერთეულებს: სუფთა, ნარევი, ალუმინი, აზოტი, ნავთობი, წყალბადი...  
შეძლებს შემდეგი ფრაზების გამოყენებას: სუფთა ნივთიერების თვისებები უცვლელია / თვისებები იცვლება.  
რკინა იზიდავს... ილექსი.  
გოგირდი არ იცვლება.

## აქტივობა:

**აქტივობა 1:** - მოსწავლეებს განაწილებთ მცირე (4-კაციან) ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფს გაძლევთ სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ სხეულებსა და ნივთიერებებს: ქვას, ფოთოლს, მარილს, შაქარს, ფანქარს, წყალს... ვთხოვთ, ცალ-ცალკე დააღმატონ ბუნებრივი და ხელოვნური სხეულები. მათი სახელწოდებები შეიტანონ ცხრილში. გვერდით ჩააწერონ სათანადო სურათი.

**დრო:** 5 წუთი;

**რესურსი:** ხელისა და ნივთიერებები; ფურცლები შესავსები ცხრილებით, სურათები / ნახატები. თრგანიზება - ჯგუფური.

**აქტივობა 2:** ლექსიკური ერთეულების დამახსოვრება / გამეორება. მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს შეცდომით შევსებულ ცხრილს. მოსწავლეები პოულობენ შეცდომებს და ამბობენ: ეს არ არის ხელოვნური, ეს ბუნებრივია. ასე იმახსოვრებენ ლექსიკურ ერთეულებსა და მოკლე ფრაზებს.

მუშაობა მთელ კლასთან; დრო - 10 წუთი; რესურსი: ცხრილი, ფორმატი / დაფა, მარკერები / ცარცი.

**აქტივობა 3:** – მოსწავლეებს ურიგდებათ იერარქიული სქემა, რომელშიც წერენ ინფორმაციას სუფთა და ნარევი ნივთიერებების შესახებ.

დრო: 10 წუთი; ორგანიზება – ჯგუფური; რესურსი – სქემა, საწერ-კალმები.

**აქტივობა 4:** – სახელმძღვანელოში მითითებული მოთხოვნების მიხედვით ატარებენ ცდას (მასწავლებლის უშუალო დაკვირვებით) და ავსებენ კითხვარს (ქართულად).

როგორი ნივთიერებაა გოგირდი?

როგორი ნივთიერებაა რკინა?

დასკვნებს იწერენ რვეულში ქართულ ენაზე.

დრო: 7 წუთი; ორგანიზება – ჯგუფური. რესურსი: სახელმძღვანელო, ცდისათვის საჭირო ხელსაწყოები.

**აქტივობა 5:** - თავისი ყოველდღიური ცხოვრებიდან ასახელებენ ნივთიერებებს. განასხვავებენ ბუნებრივია თუ სელოვნური, ნარევია თუ სუფთა და პასუხს ასაბუთებენ.

დრო: 8 წუთი; ორგანიზება: ინდივიდუალური ან წყვილებში.

საშინაო დავალება – მასწავლებელი აწერინებს ცდის პირობას და სთხოვს ჩატარონ დაკვირვება რკინაზე, სანთლის შუქზე დააკვირდნენ მის ფერებს მინის ქილაში. ჩაწერონ შედეგი.

**შეფასება:** – а) შეფასების ცხრილები:

*ონდოკატორები:*

- პირობის ადეკვატურად შესრულება
- დაკვირვების შედეგების ჩაწერა;
- ორგანიზებულობა
- რესურსების განაწილება

**თვითშეფასების კითხვარი:**

მოსწავლეები ავსებენ სქემას – რა ვიცოდი? რა ვისწავლე?

## მათემატიკა

### III კლასი

**თემა:** გეომეტრიული ფიგურები (ფერთა მოზაიკა, ჩვენ ვქმნით კომპოზიციური ნახატების სილამაზეს).

**სახელმძღვანელო:** მათემატიკა – 6. გვილავა; ე. ჩილოჩავა, ს. ჩევიძე.

**აკადემიური მიზნები:**

- ამოიცნობს ნახატებ გამოსახულ გეომეტრიულ ფიგურებს;
- ქმნის ახალ კომპოზიციას;
- გამოთვლის მოცემული ფიგურების გეერდების ჯამს;
- გამოთვლის თითოეული ფერის ფიგურების რაოდენობას (მეტობა-ნაკლებობა).

**ენობრივი მიზნები:**

- ასახელებს სურათებ გამოსახულ ფიგურებს;
- აღწერს ილუსტრაციას ფერებისა და ფიგურების მითითებით და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებებას (მომწონს / არ მომწონს, ლამაზია / არ არის ლამაზი);

- ლექსიკა და კონსტრუქციები: ფერებით, ფიგურებით, წითელი მეტია ცისფერზე / ნაკლებია, –ით,... გვერდი, სიგრძე...

### **სოციალური მიზნები:**

- შეუძლია შეაფასოს სხვისი და საკუთარი ნამუშევარი;
- აღიაროს სხვისი ლირსება;
- პერსონალის ერთობის განცდა;
- შეძლოს რესურსების განაწილება.

### **აქტივობები:**

**აქტივობა 1:** წევილები უნდა დაუკვირდნენ სახელმძღვანელოში მითითებულ ფრანგი მხატვრის პოლ მონდორიანის ნახატს და გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რა არის გამოსახული ნახატზე?
- რა ფიგურებია?
- რამდენი კუთხე აქვს თითოეულს?
- რით პგავს ეს ფიგურები ერთმანეთს?
- რით განსხვავდებიან ეს ფიგურები ერთმანეთისგან?

**დრო:** 5 წუთი;

**რესურსი:** წიგნი, გვ. 26;

**ორგანიზება - მუშაობა წევილებისთვის.**

**აქტივობა 2.** – მოსწავლეებს ისევ ვთხოვთ დაუკვირდნენ ნახატს. ეძღვათ შესავსებად ცხრილი, რომელშიც უნდა ჩაწერონ, სურათზე ფერთა რაოდენობა, ფერების დასახელება.

წყვილები ასრულებენ შემდეგ დავალებას: ასახელებენ ფიგურების რაოდენობას ფერების მიხედვით; აკეთებენ ჩანაწერს: ცისფერი ფიგურების რაოდენობა მეტია თუ წითლის?

რამდენიმ ნაკლებია შავი ფერის ფიგურა ნაცრისფერ ფიგურაზე?

დრო: 7 წუთი;

რესურსები: სახელმძღვანელო გვ. 26.;

ორგანიზება – მუშაობა წყვილებში.

**აქტივობა 3.** მოსწავლეებს ვურიგებთ სხვადასხვა ფერის, ხომის, ფორმის ფიგურებს და ვთხოვთ შეადგინონ მსგავსი კომპოზიცია.

დრო: 10 წუთი;

რესურსი: ვერადი ქაღალდები (ფიგურები), თეთრი ვურცლები, წებო;

ორგანიზება: ჯგუფური.

**აქტივობა 4.** ჯგუფები ცვლიან ერთმანეთის ნამუშევრებს და პასუხობენ კითხვებს (წერილობით):

- რამდენი ფიგურაა ფურცელზე?
- რომელი ფერებია გამოყენებული?
- რომელი ფერის ფიგურაა მეტი და რამდენით?

(კითხვები ჩამოწერილია დაფაზე)

**აქტივობა 5.** ჯგუფები ასრულებენ დავალებას: ზომავენ მოცემულ ფურცელზე ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა ოთხკუთხედების გვერდების სიგრძეს და ითვლიან თითოეულის სიგრძეთა ჯამს.

ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას (თითო ჯგუფს თითო წუთი).

დრო: 7 წუთი;

რესურსები: ჯგუფების ნამუშევრები, ფურცლები, კალმები;  
ორგანიზება: ჯგუფური.

**აქტივობა 6.** ამოიცნონ დავით კაკაბაძის ნახატში მსგავსი ფიგურები და დაითვალონ რამდენი ფიგურაა ასეთი.

დრო: 3 წუთი;

რესურსი: სახელმძღვანელო გვ. 26;  
ორგანიზება: მუშაობა ჯგუფებში.

**აქტივობა 7.** ვურიგებთ ბარათებს, რომლებზეც წერტილებით მონიშნულია ოთხკუთხედები. ვთხოვთ, შეაერთონ წერტილები და მიაწერონ, რამდენი ოთხკუთხედია მონიშნულ ბარათზე?

დრო: 7 წუთი,

რესურსი: ბარათები, მარკერები;  
ორგანიზება: ინდივიდუალური.

## **საშინაო დავალება:**

შექმნან ნახატი სხვა გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით და მიაწერონ, რამდენი ფიგურა გამოიყენეს და რამდენი ფერი.

**შეფასება:** შეფასებისა და თვითშეფასების ცხრილები:

**შეფასდება:**

- პირობის აღმენიურად გაგება და შესრულება;
- ანგარიშის უნარი (რაოდენობის დადგენა – გამოთვლის ფიგურების რაოდენობას ფერების მიხედვით, მეტობა-ნაკლებობის სწორად განსაზღვრა);
- შესწავლილი ლექსიკისა და ფრაზების აღმენიური გამოყენება.
- თანამშრომლობის უნარი.

### III კლასი

**თემა:** I გაკვეთილი – გეომეტრიული ფიგურები; II გაკვეთილი – ფიგურათა კლასიფიკაცია

**აკადემიური მიზნები:**

- აკეთებს ფიგურათა კლასიფიკაციას ფერების, კუთხეების რაოდენობისა და ფორმის მიხედვით.
- ქმნის მეგობრისთვის საჩუქარს.

**ენობრივი მიზნები:**

- ასახელებს ფერების ძირეულ და წარმოქმნილ სახელწოდებებს.
- ასახელებს სასურველი ფერის სახელწოდებას (რომელიც თავად შექმნა საშინაო დაგალების დროს).
- აღწერს სქემას და იწერს დასკვნებს.

ლექსიკა: კუთხე, კუთხოვანი, მრგვალი, ნახევარი, ... + ფერი.  
გამოიყენება კონსტრუქცია: ერთი სამკუთხედი შედგება 2 სამკუთხედისაგან....

**აქტივობები**

<b>აქტივობა 1</b> დრო – 3 წუთი ორგანიზება – ჯგუფური რესურსი: სქემა. მოსწავლეთა მიერ დამზადებული ფიგურები.	მოსწავლეებს ვანაწილებთ ჯგუფებში. ვურიგებთ დახაზულ ფორმებს და ვთხოვთ, მათ მიერ დამზადებული ფიგურები ფერების მიხედვით გადაანაწილონ შესაბამის გრაფაში. აქვე ვთხოვთ:
---	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>დაასახელონ ფერები, რომელიც წარმოადგინეს გრაფაში.</li> <li>უპასუხონ: ერთი ფერის ფიგურები ყველა ერთნაირი ფორმისაა?</li> </ul>
<b>აქტივობა 2</b> დრო – 3 წუთი ორგანიზება – ჯგუფური რესურსი: სქემა, ფიგურები.	<p>მოსწავლეებს ვავალებთ დაახარისხონ ფიგურები მათთვის დარიგებულ ფორმებში მითითებული მოთხოვნების მიხედვით (ფიგურები, რომელთაც აქვთ კუთხეები და ფიგურები, რომელთაც არა აქვთ კუთხეები).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>აკეთებენ დასკვნას: რომ ფიგურები არის კუთხოვანი და მრგვალი.</li> </ul>
<b>აქტივობა 3</b> დრო – 5 წუთი ორგანიზება – ინდივიდუალური	<p>ვთხოვთ დაუპირდნენ ფიგურებს გრაფაში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>კუთხოვან ფიგურებს (რომელთაც აქვთ კუთხე) და დაითვალონ, რამდენი კუთხე აქვს თითოეულ ფიგურას.</li> </ul>

<p><b>აქტივობა 4.</b>  დრო- 5 წუთი.  ორგანიზება – ინდივიდუალური.  რესურსი – სქემა, რეკული.</p>	<p>მასწავლებელი აკრავს ფიგურათა კლასიფიკაციის სქემას, მოსწავლეები ახასიათებენ და დასკვნას იწერენ რვეულში.</p>
<p><b>აქტივობა 5</b>  დრო – 7 წუთი  ორგანიზება – ინდივიდუალური.  რესურსი: მაკრატელი, ფიგურები.</p>	<p>გურიგებთ წინასწარ დამზადებულ სხვადასხვა ფიგურას. გთხოვთ გაჭრან წარმოსახულ ხაზზე. რა მიგიღეთ? ნახევარი წრე. სამკუთხედი. ოთხკუთხედი და სამკუთხედები....</p>
<p><b>აქტივობა 6</b>  დრო – 15 წუთი  ორგანიზება – ჯგუფური</p>	<p>გთხოვთ მიღებული ფიგურებისაგან შექმნან კომპოზიცია (დააწებონ თეთრ ფურცელზე) – მისალოცი ბარათი.</p>
<p><b>აქტივობა 7</b>  დრო – 5 წუთი  რესურსი – ხევსურული წინდა  ორგანიზება – ინდივიდუალური</p>	<p>შემომაჯეს ეროვნული სამოსი (ხევსურული წინდა) და გთხოვთ, ჩამოთვალონ (ჩამოწერონ) მასზე გამოხატული ფიგურები.</p>

**საშინაო დავალება:** სახლში დაუკვირდნენ სხვადასხვა ნივთს და ჩაიწერონ რომელი ფიგურებისაგან შედგება.

**შეფასება:** შეფასდება:

- პირობის ადეკვატურად გაგება და შესრულება;

- შესწავლიდი ლექსიკისა და ფრაზების აღეპვატური გამოყენება.
- ორიგინალურობა და შემოქმედებითობა
- ჯგუფური მუშაობის ჩვევები

## ხელოვნება

### V კლასი

თემა: ხელოვნების რუპა.

სახელმძღვანელო ნანა კუნჭულიას, მაია მეხაშიშვილის, ნინო მიქაბერიძის ავტორობით.

**აკადემიური მიზნები:** იცის და ასახელებს ქვეყნების სახელმძღვანელოს და ქვეყნების დირსშესანიშნავ ადგილებს.

**ენობრივი მიზნები:**

**შესასწავლი ცნებები:** საფრანგეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, ჩინეთი, ავსტრალია, ბრაზილია, ამერიკის შეერთებული შტატები. შენობა ტაძარი, ნაგებობა, ქანდაკება.

**კონსტრუქციები:** ეს შენობა მდებარეობს საქართველოში.

**სოციალური მიზნები:** მონაწილეობა, თანადგომისა და დახმარების აღმოჩენა.

**აქტივობა 1.** მასწავლებელი სომხურ ენაზე სოხოვს ბავშვებს დაასახელონ ის ქვეყნები, რომლებიც იციან და თუ იციან, რა დირშესანიშნაობებია იმ ქვეყანაში. რა დირშესანიშნაობებია მათ სოფელში/ქალაქში?

**დრო:** 5-7 წუთი

**აქტივობა 2.** მასწავლებელი ყოფს ბავშვებს ჯგუფებად (4 ჯგუფი) და ქართულ ენაზე აძლევს მითითებებს: წაიკითხეთ ტესტი და დაწერეთ, რომელ ქვეყანაში არის ეს შენობა? ამისთვის გაქვთ 10 წუთი (თითოეულ ჯგუფს უნაწილებს ორ-ორ ტესტს).

ჯგუფების მუშაობის დროს მასწავლებელი აკრავს სქემას.

– საფრანგეთი	
– (ქართულად)	
– საქართველო	
– (ქართულად)	
– საბერძნეთი	
– (ქართულად)	
– აშშ	
– (ქართულად)	
– ეგვიპტე	
– (ქართულად)	
– ბრაზილია	
– (ქართულად)	
– ჩინეთი	
– (ქართულად)	
– ინდოეთი	
– (ქართულად)	

პრეზენტაციი ჯერ ამბობს სწორ პასუხს, შემდეგ გამოდის ცხრილთან, პოულობს ქვეყნების დასახელებას სომხურ ენაზე,

კითხულობს ქართულ დასახელებას და შესაბამის გრაფაში წერს სწორ პასუხს.

**დრო – 15 წუთი;** რესურსი: სახელმძღვანელო, ხელმისამართი; მოგანიზება: ჯგუფური მუშაობა.

**აქტივობა 3.** მასწავლებელი ქართულ ენაზე აცნობს დაგალების პირობას (საჭიროების შემთხვევაში, განმარტებებს ვაკეთებთ მათ მშობლიურ ენებზე): სწორი პასუხის რიგითი ნომერი შემოხაზეთ, არასწორი პასუხის შემთხვევაში გაასწორეთ და მიუთითეთ სწორი გარიანტი (ტესტიც, ასევე, ქართულ ენაზე).

- ნიმუში:**
1. 1) ჯგრის ტაბარი მდებარეობს საქართველოში.
  - 2) ოპერის თეატრი მდებარეობს ავსტრალიაში.
  - ა) პირამიდები მდებარეობს საფრანგეთში.
  - ბ) თავისუფლების ქანდაკება მდებარეობს ნიუ-იორკში.
  - გ) ჩინეთის კედელი მდებარეობს ეგვიპტეში.
  - დ) ქრისტეს ქანდაკება მდებარეობს ბრაზილიაში.
  - ე) პართენონის ტაბარი მდებარეობს საქართველოში.
  - ვ) ლუვრი მდებარეობს ავსტრალიაში.
  - ზ) თაჯ-მაჰალის ტაბარი მდებარეობს ინდოეთში.

წყვილები კითხულობენ ერთმანეთის პასუხებს და აფასებენ (ქართულად: სწორია/არასწორია).

**დრო – 10 წუთი;**

**რესურსი** – წინასწარ დაბეჭდილი ტესტები არასწორი წინადადებებით.

**ორგანიზება** – წყვილები.

**აქტივობა 4.** მასწავლებელი მშობლიურ ენაზე უხსნის განსხვავებებს ტაძარი- შენობა; ნაგებობა - ქანდაკება.

მასწავლებელი აძლევს სქემას, რომლის მიხედვითაც უნდა დააჯგუფონ ღირსშესანიშნავი ადგილები.

ტაძარი	შენობა / ნაგებობა	ქანდაკება
ჯგარი	ოპერის თეატრი	ქრისტეს ქანდაკება
თაჯ-მაჰალი	პირამიდები	თავისუფლების
პართენონი	ჩინეთის	ქანდაკება
ლუვრი	კედელი	

**შენიშვნა – ეს წარწერები ქართულ ენაზე კეთდება.**

კეთდება ნამუშევრების პრეზენტაცია.

**დრო:** 5 წუთი;

**რესურსი:** სქემა;

**ორგანიზება:** ჯგუფური მუშაობა.

**საშინაო დავალება – წიგნში მოცემული რუკის მიხედვით გადაანაწილონ ღირშესანიშნაობები ქვეყნების მიხედვით.**

**შეფასება:** პრეზენტაციების შეფასება ფორმალური დაკვირვებით და ჩანიშვნით. თანამშრომლობა დაკვირვებით და ჩანიშვნით.

## V კლასი

თემა: მსოფლიოს საოცრებები

სახელმძღვანელო რ. მეტრეველის, ბ. კუდავას ავტორობით „ჩვენი სამშობლოს მატიანე.” გვ. 64-65 („ოქროს ხანა”)

აკადემიური მიზნები:

- განმარტავს, რატომ ეწოდა თამარის მეფობის დროს „ოქროს ხანა”;
- საუბრობს თამარის ეპოქაში აგებული ისტორიული ძეგლების - ვარძიისა და ყინწვისის შესახებ (როდის აიგო? ვინ ააგო?..);
- ილუსტრაციებზე დაყრდნობით აღწერს ამ ძეგლებს.

ენობრივი მიზნები:

- კითხულობს და იგებს მცირე ზომის ინფორმაციას ოქროს ხანის და ამ ეპოქის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, საუბრობს ამ ტექსტზე დაყრდნობით.
- წერს მცირე ზომის ტექსტს, იყენებს დამოკიდებულების გამომხატველ სიტყვებს.

**ლექსიკა:** ოქროს ხანა; გამოქვაბული, სენაკი, ფრესკა, გვირაბი, გამოკვეთეს, ააშენეს, გაიყვანეს, დახატეს.

**ენობრივი კონსტრუქციები:** როდის აშენდა / ააშენეს? როდის გამოკვეთეს? აშენდა / ააშენეს .... წელს / ... საუკუნეში.

**სოციალური მიზნები:** შემდებს აქტიურ მოსმენას, მონაწილეობას, თანამშრომლობას.

### **პრინციპები:**

**აქტივობა 1:** მინილექცია - „ოქროს ხანა და ქართული საოცრება”.  
მასშავლებელი აწვდის ინფორმაციას მშობლიურ ენაზე, ასახელებს კულტურულ მიღწევებს. ილუსტრაციების მეშვეობით ათვალისწინებს არქიტექტურულ ძეგლებს.

**დრო:** 7 წუთი.

**ორგანიზება:** მუშაობა მთელ კლასთან.

**რესურსები:** თვალსაჩინოება (სურათები), სახელმძღვანელო.

**აქტივობა 2:** გაკრავთ გარმისა და ყინწვისის ფოტოებს წარწერით, ვასახელებთ თითოეულს, შემდეგ კი მოსწავლეების დახმარებით ვარჩევთ შესაფერის სურათებს, ვასახელებთ და თითოეული ძეგლის გარშემო ვაკრავთ სურათებს: გამოქვაბული, სენაკი, ფრესკა, გვირაბი.

ცალკე არეულად არის გაკრული სიტყვები: **გამოკვეთები, ააშენები, გაიყვანები, დახატები.** ვასახელებთ და თითოეულ ნახატს შევუსაბამებთ შესაბამის ლექსიკურ ერთეულს ვამბობთ: ააშენები, ამთავრებენ: ტამარი. ვამბობთ: ტამარი, ამთავრებენ: ააშენები.

**აქტივობა III.** კლასს გყოფთ სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს ვაძლევ ტექსტს ვარმიაზე, მეორეს – ყინწვისზე, მესამეს – „ოქროს ხანას”

და ნახატებისა და შესაბამისი წარწერების დახმარებით და წაკითხულზე დაყრდნობით დაწერონ 3-4-წინადადებიანი ტექსტი და წარმოადგინონ.

**საშინაო დავალება:** წაიკითხონ ტექსტი „ოქროს ხანა“ და კითხვებზე პასუხი გასცენ ქართულად. დაწერონ, რა გაიგეს ახალი. გამოიყენონ სქემა: რა გიცოდი / რა გავიგე.

**შეფასება:**

**შეფასდება:**

- პირობის ადეკვატურად გაგება და შესრულება;
- შესწავლილი ლექსიკისა და ფრაზების ადეკვატური გამოყენება.
- ორიგინალურობა და შემოქმედებითობა
- ჯგუფური მუშაობის ჩვევები

## 0სტორია

### V კლასი (ჩვენი საქართველო)

**თემა:** სად მდებარეობს და ვის ემეზობლება საქართველო?

**სახელმძღვანელო:** ჩვენი საქართველო, ლოგოსპერესი, 2010 წ.

**აკადემიური (საგნობრივი) მიზანი:**

მოსწავლეები განსაზღვრავენ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მდებარეობას. მოსწავლეები გაიაზრებენ ბუნებრივი ზღუდეების მნიშვნელობას ქვეყნის საზღვრის დადგენაში.

**ენობრივი მიზანი:** მოსწავლე კითხულობს და იგებს მცირე ზომის ტექსტს საქართველოს შესახებ. ასახელებს მოსაზღვრე ქვეყნების სახელწოდებებს ქართულად და ახასიათებს მათ. შეისწავლის მხარეთა დასახელებებსა და სხვა ლექსიკას: საზღვარი, ჩრდილოეთით მდებარეობს, სამხრეთიდან ესაზღვრება და სხვა.

წერს მცირე ზომის ტექსტს საქართველოს შესახებ.

**ნაცნობი ცნებები** - რუკა, მდებარეობა, კონტინენტი, ევროპა, აზია, კავკასია, ზღვა, მიწა, ქედი, ზღვა, მთა, მდინარე, ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი, აღმოსავლეთი.

**შესასწავლი ცნებები** - ზღუდე, საზღვარი, ტერიტორია, საბაჟო, ხეობა, კლდეკარი, მგზავრი, ტვირთი.

**რესურსები** - მასწავლებელი - დაფა, ცარცი. მსოფლიოს და  
საქართველოს ფიზიკური რუკები. მოსწავლეები -  
სახელმძღვანელო მე-5 კლასი (მოსწავლის წიგნი), რვეული,  
კალმისტარი. საწერი ფურცლები.

### **პრეზენტაცია:**

#### **აქტივობა 1**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და  
მიზანს, წერს დაფაზე საკვანძო სიტყვებს: საქართველო, მეზობელი,  
ზღუდე, საზღვარი.

მასწავლებელი მსოფლიოს ფიზიკურ რუკაზე აჩვენებს მოსწავლეებს  
ევროპისა და აზიის კონტინენტებს. შემდეგ გამოყოფს კავკასიის  
რეგიონს და ბოლოს შემოხაზავს საქართველოს ტერიტორიას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ  
სახელმძღვანელოში კავკასიის რუკას (დანართი №8) და გასცენ  
პასუხები შემდეგ კითხვებს (სასურველია ქართულ ენაზე):

1. რომელი ოთხი ქვეყანა არის საქართველოს მეზობელი? მიუთითე  
ჰორიზონტის მხარეები.
2. რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი საქართველოს? მიუთითე  
ჰორიზონტის მხარე.

სწორი პასუხი მასწავლებლისთვის:

1. საქართველოს მეზობელი ქვეყნებია:
  - 1.1 ჩრდილოეთით - რუსეთის ფედერაცია;
  - 1.2 აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი;

1.3 სამხრეთით - სომხეთი და თურქეთი.

2. საქართველოს დასავლეთით გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე.

მასწავლებელი გარკვეულ დროს აძლევს მოსწავლეებს მოსაფიქრებლად. მასწავლებელი სთხოვს მოპასუხეს გამოვიდეს დაფასთან და პასუხის გაცემისას აჩვენოს რუკაზე ლიხის ქედი.

თუ მოსწავლე სრულად ვერ გასცემს შეგითხვას, შესაძლებელია, მასწავლებელმა სხვა მოსწავლეები დაიხმაროს.

აქტივობა 1 ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით - მასწავლებელი მოსწავლეს აფასებს ქვლებით.

სანგრძლივობა: ეთმობა 10 წუთი.

## აქტივობა 2

მასწავლებელი კვლავ აჩვენებს მოსწავლეებს რუკაზე ჯერ პავასიის რეგიონს და შემდეგ კავკასიის მთავარ ქედს. ის შეახსენებს მოსწავლეებს, რომ კავკასიის მთავარი ქედი გაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ყოფს კავკასიას ორ ნაწილად: ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ რუკას თანმიმდევრობით განსაზღვრონ, რომელ ნაწილში მდებარეობს:

- საქართველო?
- სომხეთი?
- რუსეთი?
- აზერბაიჯანი?

მოსწავლეები ადგილიდან პასუხობენ.

**სწორი პასუხი მასწავლებლისთვის:** საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი არის სამხრეთ კავკასიაში, ხოლო რუსეთი მოიცავს ჩრდილოეთ კავკასიას.

აქტივობა 2 ფასდება შემდეგნაირად: მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს, იყენებს ფუნქციურ ფრაზებს: ყოჩად, მეტად დააკვირდი ჰორიზონტის მხარეებს, პასუხი არ არის სრულყოფილი და ა.შ.

**ხანგრძლივობა:** ეთმობა 5 წუთი

### აქტივობა 3

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ წყარო ა-ს, სადაც გამოსახულია საქართველოს ტერიტორიის კონტური და მითითებულია საქართველოს ტერიტორიის ფართობი. მასწავლებელი განუმარტავს ცნებას ტერიტორია. მას მოჰყავს თვალსაჩინო ანალოგია სკოლის ტერიტორიასთან და ამ გზით განმარტავს საზღვრის ცნებას.

ამ ორი ცნების გასააზრებლად მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დასახელონ და აღწერონ საკუთარი სახლის ან დასახლების საზღვრები, მათი ამოსაცნობი ნიშნები.

მოსწავლეები ადგილიდან პასუხობენ, ხოლო მასწავლებელი დაფაზე წერს დასახელებული საზღვრების სახეობებს.  
მოსწავლეებმა ამ შეკითხვას შეიძლება სხვადასხვანაირად უპასუხონ. შესაძლებელია დახატონ საკუთარი კარ-მიდამო და მისი საზღვრები. მთავარია, მათი პასუხი იყოს არგუმენტირებული.

აქტივობა 3 ფასდება შემდეგნაირად: მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს: კარგია, დასაზუსტებელია და ა. შ.

**ხანგრძლივობა:** ეთმობა 5 წუთი

## აქტივობა 4

მასწავლებელი წინა დავალების პასუხებიდან, რაც დაფაზეა დაწერილი, გამოყოფს საზღვრებად დასახელებულ ბუნებრივ ზღუდეებს, მაგალითად: რუ, მდინარე, მთა/გორაკი, ტყის ზოლი, ხევი და ა.შ.

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ქვეყნებს შორის საზღვრებიც ხშირად არის სხვადასხვა სახის ბუნებრივი ზღუდეები, მაგალითად: მდინარე, ტბა, ზღვა, მთა, ქედი, უღელტეხილი, კლდეკარი და ა.შ.

სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ წყარო ბ და დააკვირდნენ შესაბამის 1-ელ და მე-2 ფოტოსურათებს.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწყვილდნენ, ჯერ მოძებნონ სახელმძღვანელოში გაკვეთილი ”ხევი” და მასში მოთავსებულ რუკაზე დარიალის ხეობა. შემდეგ დააკვირდნენ სახელმძღვანელოში საქართველოს ფიზიკურ რუკას (დანართი №1), იპოვონ დარიალის ხეობის შესაბამისი ადგილი და რუკის მეშვეობით დაადგინონ პასუხები წყარო ბ -ს ქვეშ მოცემული დავალების ა), ბ), გ) და დ) კითხვებზე.

მასწავლებელი დავალების შესასრულებლად აძლევს მოსწავლეებს 5-7 წუთს და შემდეგ თანმიმდევრულად თითო კითხვაზე პასუხს აცემინებს უკელაზე ადრე მომზადებულ წყვილებს.

აქტივობა 4 ფასდება შემდეგნაირად: მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს და იყენებს ფუნქციურ ფრაზებს: ყოჩად, მეტად დააკვირდი პორიზონტის მხარეებს, პასუხი არ არის სრულყოფილი და ა.შ.

**ხანგრძლივობა:** - ეთმობა 10 წუთი

## აქტივობა 5

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რომ საქართველოს საზღვრის საერთო სიგრძე თითქმის 2000 კილომეტრია და აქედან ყველაზე გრძელი მონაკვეთი - 800 კილომეტრზე მეტი - ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას. იმავდრულად მასწავლებელი ამას აჩვენებს საქართველოს ფიზიკურ რუკაზე.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ინდივიდუალურად დააკვირდნენ სახელმძღვანელოში საქართველოსა და კავკასიის ფიზიკურ რუკებს (შესაბამისად №1 და №8 დანართებს), იპოვონ და ჩამოწერონ საქართველოს ბუნებრივი ზღუდეები, რომლებზეც გადის საქართველოს საზღვარი. მათ უნდა მიუთითონ ის მეზობელი ქვეყანაც, რომელთანც მდებარეობს აღნიშნული ზღუდე.

მოსწავლეები სამუშაოს ფურცლებზე ასრულებენ. მოსწავლეთა ნამუშევრებზე აუცილებლად უნდა იყოს დაწერილი მათი გვარი და სახელი.

მასწავლებელი კრებს ნაწერებს და ასწორებს გაკვეთილის შემდეგ. ხოლო საშინაო დავალებად აძლევს შემდეგ სამუშაოს: წაიკითხონ წყარო ბ და საქართველოს ფიზიკური რუკის (დანართი №1) განსაზღვრონ და ჩამოწერონ ის ადგილები, სადაც მათი აზრით უნდა იყოს საბაჟოები.

აქტივობა 5 ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით.

**ხანგრძლივობა:** ეთმობა 10 წუთი

**VI კლასი**  
**(მგელი მსოფლიო ისტორია)**

**თემა - ისტორიული (არქეოლოგიური) პერიოდიზაცია**

**აკადემიური (საგნობრივი) მიზნები:** მოსწავლეები შეისწავლიან ისტორიული პერიოდიზაციის აღმნიშვნელ ტერმინებს (პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა), თითოეული პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს.

**ენობრივი მიზნები:** შეისწავლიან საერთაშორისო ტერმინების ქართულ შესატყვისებს (პალეოლითი = ძველი ქვის ხანა, მეზოლითი = შუა ქვის ხანა, ნეოლითი = ახალი ქვის ხანა, ენეოლითი = სპილენძ-ქვის ხანა, ანუ სპილენძის ხანა). დაადგენენ მიმართებას: ათასწლეული = 1000 წელი, ასწლეული = 100 წელი.


**შესასწავლი ლექსიკა:** დრო, პერიოდი, ძველი, შუა, ახალი, ქვა, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, საუკუნე, ასწლეული, ათასწლეული.

**ფუნქციური ფრაზები:** იყოფა, იწყება, მთავრდება, ჩამოთვალეთ / ჩამოვთვალოთ...

**სოციალური მიზნები:** აქტიური მოსმენა.

## აქტივობები:

**აქტივობა 1.** მასწავლებელი დაფაზე / ფორმატზე ასახავს ტერმინების საერთო და განსხვავებულ ნაწილებს.



იმის შესამოწმებლად, დაიმახსოვრეს თუ არა ახალი ტერმინები, მასწავლებელი ამბობს ქართულ სიტყვებს (ძველი, შუა, ახალი, სპილენძი + ქვა), მოსწავლები დაჭრილ მუყაოზე დაწერილი შესაბამისი ლათინური სიტყვებით (პალე, მეზო, ნეო, ენეო + ლითი) აღინიშნული პერიოდების სახელწოდებებს.

დრო – 10 წელი,

ორგანიზება – მუშაობა მთელ ჯგუფთან,

რესურსები: მუკათ ლათინური სიტყვებით.

**აქტივობა 2.** მასწავლებელი ჯგუფებს სთავაზობს ცხრილს, რომელშიც უნდა ჩაწერონ თითოეული პერიოდის გასწვრივ დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა, ე.წ. ქრონოლოგიური ჩარჩო.

მაგ: პალეოლითი – ადამიანის გაჩენიდან 12 ათასწლეული (12.000)..

დრო – 10 წეთი,  
 ორგანიზება – ჯგუფური,  
 რესურსი – ცხრილის ქსეროასლები.

**აქტივობა 3.** მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ მასალას სახელმძღვანელოდან პერიოდების შესახებ.

დრო – 10 წ., ორგანიზება – ინდივიდუალური, რესურსი – სახელმძღვანელო.

**აქტივობა 4.** მასწავლებელი ჯგუფებში არიგებს ცხრილებს.  
 თითოეული ჯგუფი აგსებს მონაცემებს ქართულად ერთი პერიოდისათვის. შემდეგ ხდება თითოეული ჯგუფის მიერ ამ მასალის წარმოდგენა.

პერიოდი	დრო (თარიღი)	რა მნიშვნელოვანი მოვლენა უკავშირდება ამ დროს

დრო – 15 წეთი;  
 ორგანიზება – ჯგუფური;  
 რესურსები: სახელმძღვანელო, ცხრილები.

**საშინაო დავალება:**

1. გაპვეთილზე შესწავლილი სიტყვების, ტერმინებისა და ფრაზების გამოყენებით შეადგინონ პერიოდიზაციის ამსახველი შედგენილი სრული ცხრილი ქართულ ენაზე.

2. მოამზადონ ქართულად პრეზენტაცია თითოეული პერიოდის შესახებ.

**შეფასება:**

**შეფასდება:**

- შესწავლილი ტერმინებისა და ფრაზების ადეკვატური გამოყენება;
- ინფორმაციის კლასიფიცირება;
- ჯგუფური მუშაობის ჩვევები;
- პრეზენტაციის უნარი.

**VI ქლასი**  
**(ჩვენი საქართველო)**

**თემა:** სტუმარმასპინძლობა.

**სახელმძღვანელო:** ჩვენი საქართველო, დოკოსპრესი, 2010წ.

**საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი შედეგები:**

- მოსწავლე იყენებს და ქმნის ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებებს (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი);
- მოსწავლე ადარებს სხვადასხვა საზოგადოებებს მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და წესების მიხედვით;
- ახასიათებს საქართველოს მოსახლეობის კულტურათა მსგავსება-განსხვავებების გამოვლინებებს და განიხილავს შესაბამის მიზანებს.

**საგნობრივი მიზნები:**

- მოსწავლე ეცნობა სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს საქართველოს რამდენიმე კუთხეში, აფხაზეთის მაგალითზე.
- მოსწავლე ადარებს საკუთარ მშობლიურ კუთხეში არსებულ სტუმარმასპინძლობის ტრადიციას საქართველოს სხვა კუთხეებისას.

- მოსწავლე ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით წარმოადგენს სტუმარმასპინძლობის ტრადიციას მშობლიურ კუთხეში.

**საგნობრივი მიზანი:** მოსწავლეები გაეცნობიან სტუმარმასპინძლობის ტრადიციას აფხაზეთში და საქართველოს სხვა რამდენიმე კუთხეში. შეადარებენ საკუთარი მშობლიური კუთხის ტრადიციას და შედარების საფუძველზე იპოვიან მსგავსებებს.

**ენობრივი მიზანი:** მოსწავლე შეისწავლის საქართველოს კუთხეების ქართულ სახელწოდებებს, სტუმრის დასახვედრად გამოსაყენებელ ქართულ ფრაზებს, განწყობის გამომხატველ სიტყვებსა და ზედსართავ სახელებს; შეძლებს ქართულად ისაუბროს სტუმარომოვარეობის ტრადიციის შესახებ და შეადარებს საკუთარ ეროვნულსა და ქართულ ტრადიციებს.

**ნაცნობი ცნებები** - სახლი, ოჯახი, სუფრა, წესი, სტუმარი, საქართველოს კუთხეების სახელები.  
**შესახწავლი ცნებები** - მასპინძელი, ჭიშკარი, "სტუმარი დვთისაა", პატივისცემა, უხუცესი, საჩუქარი.

**დრო** - 45 წუთი  
**რესურსები** - მასწავლებელი - დაფა, ცარცი. საქართველოს რუპა. მოსწავლეები - სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), რვეული, კალმისტარი. საწერი ფურცლები.

## აქტივობები

### აქტივობა 1:

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს, წერს დაფაზე საკვანძო სიტყვებს: ”სტუმარი დვთისაა”.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ საქართველო სტუმარმასპინძლობით განთქმული ქვეყანაა. იგი ეუბნება ქართულ ენაში არსებულ გამოთქმას, რომელიც დაფაზეა დაწერილი და იგივეს უმეორებს მშობლიურ ენაზე, ან მოყავს იმავე შინაარსის მოსწავლეების მშობლიურ ენაში დამკვიდრებული გამოთქმა.

გონიეროვი იერიშის მეშვეობით მოსწავლეებისგან შეიტყობს და დაფაზე ჩამოწერს, თუ რას ნიშნავს, რაში ვლინდება მათვის ეს გამოთქმა.

ამის შემდეგ იგი უხსნის სტუმარმასპინძლობის საქართველოსათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს:

- გულთბილი მიღება და განწყობა
- პატივისცემის გამოხატვა
- გულუხვობა
- ერთნაირი პატივისცემა სრულიად უცხო და ნაცნობი ადამიანებისადმი

მასწავლებელს მოჰყავს პატივისცემის გამოხატვის ნიშნები სვანეთსა და ხევში, ასევე თანასწორი გულუხვობის გამოხატულება სამეგრელოსა და აჭარაში.

იმავდროულად, მასწავლებელი საქართველოს რუკაზე აჩვენებს მოსწავლეებს შესაბამის კუთხეებს.

ბოლოს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ სტუმრისადმი პატივისცემის გამოხატვის ნიშნები, რაც მათ უნახავთ საკუთარ ოჯახში ან დასახლებაში?

რამდენიმე მოსწავლის თვისობრივად განსხვავებულ პასუხს იგი წერს დაფაზე.

აქტივობა 1 ფასდება განმავითარებელი კომენტარებით.

დრო: ეთმობა 10 წუთი

## აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ინდივიდუალურად წაიკითხონ სახელმძღვანელოში აფხაზეთში სტუმარმასპინძლობის აღმწერი ტექსტი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ცნობა 2 და პასუხი გასცენ იქვე მოცემულ კითხვას.

სწორი პასუხი მასწავლებლისთვის: ბ).

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ წინა აქტივობის დროს წაკითხული ტექსტი და მოიფიქრონ არგუმენტი შემდეგ საკითხზე:

• როგორ ფიქრობთ, რატომ იყო გათვალისწინებული სტუმრის წილი ოჯახური სადილის ან ვახშმის დროს?

მოსწავლეებმა ამ შეკითხვას შეიძლება სხვადასხვანაირად უპასუხონ. მთავარია მათი პასუხი იყოს არგუმენტირებული.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემულ შემაჯამებელი 1, 2 და 3 დავალების შესრულებას.

სწორი პასუხი მასწავლებლისთვის:

სავ. 1 გ). სავ. 2 ბ).

**აქტივობა 2 ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით.**

**დრო: ეთმობა 10 წუთი**

### **აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაკითხული ტექსტიდან (აფხაზეთის შესახებ) ამოიწერონ ისეთი ნიშან-თვისებები, რაც მათი აზრით, ზუსტად იმუორებს მათ საოჯახო ტრადიციას.

შემდეგ მასწავლებელი აერთიანებს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებში (4-5 მოსწავლე) და სთხოვს საკუთარი ინდივიდუალური დასკვნების ერთობლივი შეჯერების საფუძველზე ჩამოაყალიბონ მშობლიური მხარისა და აფხაზური ტრადიციის მსგავსებები.

მოსწავლეები ჯგუფებიდან გამოყოფენ თითო მოსწავლეს, რომლებიც წარმოადგენენ ნამუშევარს და დასკვნებს ჩამოწერენ დაფაზე.

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა დაკვირვებებს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებს გამორჩათ რომელიმე ნიშანდობლივი მსგავსი ტრადიცია, მასწავლებელი შეასენებს. ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესაძლოა ოდნავ განსხვავდება სტუმარმასპინძლობის გამოხატულება, მაგრამ ქვეყანაში ამ ტრადიციას ძირითადად მსაგვსი, ერთნაირი საფუძვლები აქვს.

**აქტივობა 3 - ს ფასდება შემდეგნაირად:** მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს: კარგია, დასაზუსტებელია და ა. შ.

**დრო: ეთმობა 20 წუთი**

## **აქტივობა 4**

მასწავლებელი საშინაო დავალებად აძლევს შემდეგ სამუშაოს:  
წერილობით აღწერონ მშობლიურ კუთხეში, დასახლებაში ან  
ოჯახში არსებული სტუმარსპინძლობის ტრადიცია, რისთვისაც  
ჯობს ოჯახის წევრებს ან სხვა უფროსებს გამოკითხონ ამის  
შესახებ.

რეპომენდაციული ვუნქციური ფრაზები სხვადასხვა  
საბრის მასტაგლებლებისთვის

1. მისალმება და სოციალური კონტაქტი

- დილა მშვიდობისა!
- გამაჯობათ! როგორ ბრძანდებით?
- გამარჯობათ, ბავშვებო! დასხედით!
- გამაჯობათ! დავიწყოთ მუშაობა!
- მოგესალმებით! დაიკავეთ ოქვენი ადგილები!

2. მოსწავლის გამოკითხვა, მისი გამოძახების გზით

- ... (მოსწავლის სახელი), მოდი, გეთაყვა, მოგვიყევი ... !
- ... (მოსწავლის სახელი), გთხოვ, გამოდი დაფასონან!
- ... (მოსწავლის სახელი), შეგიძლია განმარტო / ჩამოაყალიბო / დასახელო / დაწერო / გვაჩვენო ... ?
- ... (მოსწავლის სახელი), გთხოვ, განმარტე / ჩამოაყალიბე / დაასახელე / ჩამოთვალე / დაწერე / გვაჩვენე ... !

3. მოვალეობების გადანაწილება

- მსურველები ხომ არ არიან?
- მჭირდება დამხმარე, რომელიც... .
- რომელ თქვენგანს სურს?
- არის ვინმე, ვინც მზად იქნებოდა... ?
- თუ არც ერთს არ სურს, მაშინ გთხოვ შენ, ... (მოსწავლის სახელი), მოიტანე / გაარკვიე... !
- მე გავანაწილებ მოვალეობებს.

- კარგი, ... (*მოხწავლის სახელი*), გთხოვ მოიტანე! ხოლო შენ, ... (*მოხწავლის სახელი*), უნდა გაწმინდო დაფა!
- შემდეგ კვირაში ... (*მოხწავლის სახელი*) და ... (*მოხწავლის სახელი*) შეასრულებენ შემდეგ მოვალეობებს: ...
- შემდეგ კვირაში მორიგეები იქნებიან ... (*მოხწავლის სახელი*) და ... (*მოხწავლის სახელი*).
- ... (*მოხწავლის სახელი*), გთხოვ, დაარიგე ფურცლები / გაწმინდე დაფა / მოიტანე წიგნები / დაალაგე პლასი / გაადე ფანჯარა!
- ... (*მოხწავლის სახელი*), შენ იქნები თამაშის წამყვანი / ხელმძღვანელი!

#### **4. განცხადებები**

- დღეს ვიწყებ ახალ თემას ... -ის შესახებ.
- გაკვეთილის ბოლოს ჩატარდება ტესტი / თავისუფალ თემაზე ... .
- ახლა გაგაცნობთ საკონტროლო სამუშაოს შედეგებს.
- შემდეგ გაკვეთილზე მუზეუმში მივდივართ ექსკურსიაზე.
- ხვალ მოკლე გაკვეთილი იქნება, რადგანაც სკოლაში თოჯინების თეატრის სპექტაკლი / სპორტული შეჯიბრი / მასწავლებელთა კრება ტარდება.
- მომავალ კვირაში / შემდეგ გაკვეთილზე საკონტროლო წერაა.
- პარასკევს, 18 საათზე მშობელთა კრებაა.
- ყურადღება! გაკვეთილების ცხრილი შეიცვალა!
- ამ გაკვეთილის შემდეგ ... .

#### **5. საშინაო დავალებების აკრება**

- გადაშალეთ თქვენი რვეულები.
- საშინაო დავალება ყველამ უკვე დაწერა / შეასრულა / გააკეთა / გაიგო / შეძლო დასრულება.

## **6. წინა გაკვეთილის თემის გამეორება**

- გასულ / წინა გაკვეთილზე ჩვენ ვსაუბრობდით / დაგწერეთ ... .
- გავიმეოროთ მთავარი ცნებები!
- გაიხსენეთ ცნებები, რომელიც განვიხილეთ ... !
- რა დარჩა თქვენთვის გაუგებარი წინა გაკვეთილზე ახსნილი

მასალიდან?

- გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი / თარიღი / ცნება / წესი / მიზეზები / წარმოქნის მიზეზები!
- დაასახელეთ წინა გაკვეთილზე ნასწავლი ტერმინები!
- ჩამოაყალიბეთ ...!
- გადაშალეთ წიგნები და გაიმეორეთ ... !

## **7. ახალი თემის წარდგენა**

- ამ კვირაში განვაგრძობ საუბარს ...-ის შესახებ.
- დღეს გავეცნობით ... .
- დავიწყოთ ... თემის განხილვა / შესწავლა.
- დღეს შევავსებთ ... -ის შესახებ შემაჯამებელ ცხრილს.
- ასეთი პრობლემის გადაწყვეტის შევეცდებით: ... .
- თქვენ რას ფიქრობთ, რა არის ... ?
- დღეს წინა გაკვეთილზე დაწყებულ თემის ... შესახებ გავაგრძელებთ მუსაობას / საუბარს.

## **8. თემის, კონკრეტული დეტალების განმარტება:**

### **8.1. შეკითხვები**

**თხოვნა, გამოთქვან აზრი:**

- რას ფიქრობ ამ საკითხზე / თემაზე / მოსაზრებაზე?
- რა აზრი / წარმოდგენა გაქვს ამ საკითხზე?
- რას ფიქრობ ...-ზე?

- ეთანხმები ამ მოსაზრებას / გამონათქვამს?
- საფუძვლიანად გეჩვენება ეს თუ არა?
- შენ რა მოსაზრება გაქვს?
- ეთანხმები ამას?
- შენ როგორ გეჩვენება?

### **შეკითხვები ფაქტების შესახებ:**

- რომელია უდიდესი ... ?
- რა არის უმთავრესი ... ?
- როდის დაიწყო / დასრულდა ... ?
- სად მდებარეობს ... ?
- რა სიმაღლისაა... ?
- რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ... ?
- სად გაემგზავრა ... ?
- რამდენ ხანს იარსება ... ?
- რა იყო ... ?

### **თხოვნა, განმარტონ:**

- ეს როგორ ხდება?
- შენი სიტყვებით აგვიხსენი!
- რა არის ამ მოქმედების მიზეზები / შედეგები?
- რისთვის იქნებოდა ეს სასარგებლო ... ?
- რატომ მოხდა ... ?
- როგორ გახდა ... ?

### **თხოვნა, დაამტკიცონ:**

- შეგიძლია განმარტო ამწუთას ნათქვამი?
- შეგიძლია დაამტკიცო შენი მოსაზრება / გამონათქვამი?
- შეგიძლია რაიმე დოკუმენტის / ავტორიტეტული ავტორის ციტირება?
- ეს მოსაზრება საფუძვლიანად გეჩვენება?
- რას ფიქრობენ დანარჩენები?

### **დასკვნის გაპეთების თხოვნა**

- გთხოვ, მითხარი რა არის ამ თავში / ნაშრომში ძირითადი / მნიშვნელოვანი?
- რა იყო ამ თავის / ნაშრომის მთავარი აზრი?
- გთხოვ, ამ თავის / ნაშრომის / თემის შესახებ შესახებ მოკლე შინაარსი დაწერ!
- როგორ გგონია, რა იყო უმნიშვნელოვანესი თარიღები / მოვლენები / ადგილები ამ ... ?

### **8.2. პლაკატების და სხვა ვიზუალური მასალის**

#### **გამოყენება**

- პლაკატზე გამოსახულია / ნაჩვენებია ... .
- დღევანდელ გაპეთილზე გამოვიყენებთ პლაკატს / სქემას / ფილმს, რათა ვნახოთ ... .
- რას ადასტურებს ეს ექსპერიმენტი / ეს საგარჯიშოები...?
- წიგნში მოცემული ნახატები / გამოსახულებები / ცხრილები გვაძლევს ინფორმაციას ... .
- რუკაზე / წიგნში / ცხრილში / კოლექციაში / ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ ... .
- რა საინტერესო ფაქტები / მოვლენები ნახეთ ამ ... ?

### **8.3. ტერმინლოგია**

- გავიმეოროთ ათვისებული ტერმინები!
- ამოიწერე ტერმინები ტექსტიდან! განმარტე ისინი!
- იპოვე ტექსტში ტერმინის ასეთი განმარტება: ... !
- ეს სიტყვა ... თარგმანში ნიშნავს ... .
- ეს ტერმინი რვეულში ჩაფინიშნოთ!

#### **8.4. მნიშვნელობის, თარგმანის შესახებ შეკითხვები**

- რა არის ამ სიტყვის მნიშვნელობა / ცნების დეფინიცია?
- ეს ცნება შენი სიტყვებით განმარტე!
- როგორ ითარგმნება ეს ... ენაზე?
- როგორ ითქმის ეს ... ენაზე?

#### **8.5. კითხვა**

- წაიკითხე ტექსტი წიგნის ... გვერდზე!
- რა არის ტექსტის მთავარი აზრი / დედააზრი?
- წაიკითხე ტექსტი და დაწერე გეგმა / მოკლე შინაარსი!
- იპოვე ტექსტში ასეთ კითხვებზე პასუხები: ... !

#### **8.6. თემების დაკავშირება ახალი თემის ახსნის დროს**

##### **მოვლენების თანმიმდევრობა**

- პირველ რიგში, ... , შემდეგ ... .
- დავიწყოთ იმით, რომ ... .
- უპირველეს ყოვლისა ... .
- თავიდან ... .
- დაახლოებით 2000 წელს ... .
- მაშინ ... და შემდეგ ... .
- ესე იგი ... ამის შედეგად ... .
- ამ დროის განმავლობაში ... .
- და ბოლოს ... .
- დასასრულ ... .

##### **მოვლენების მნიშვნელობა:**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გავიგოთ, არის ... .
- მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ... .
- კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ... .
- გასაოცარი ის იყო, რომ ... .

### **აზრის გამოთქმა:**

- ჩემი აზრით, ... .
- მე ვფიქრობ, რომ ... .
- მე მიმაჩნია, რომ ... .
- მე ვიტყოდი, რომ ... .
- შესაძლებელია, ისე იყოს, რომ ... ?
- შესაძლებელია, რომ ... .
- მე მაქვს ეჭვი, რომ ... .
- მე ვგრძნობ, რომ ... .
- ვეჭვობ, რომ ... .
- ოფიციალური აზრი არის - ... .

### **შეთავაზება:**

- მე მაქვს შემოთავაზება ... .
- შეგვიძლია ... .
- იქნებ შეგვიძლია ... ?
- ერთი ხერხი, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია სიტუაციის გაუმჯობესება, არის ... .
- არ შეგვიძლია ... ?
- იქნებ მოგვესინჯა ... .
- თქვენს ადგილზე მე მოვსინჯავდი ... .
- ადრე ჩვენ ყოველთვის ... .
- ტრადიციული მიდგომა ასეთია: ... .
- ასე მოვიქცეთ: ... .
- ხომ არ აჯობებდა, რომ ... ?

### **რაიმე თემაში ჩაღრმავება:**

- აქვე ... .
- კიდევ ... .
- კიდევ უფრო ... .

- აქ გვიჩნდება შეკითხვა ... .
- თუმცა, ძირითადი აზრი ისაა, რომ ... .
- ამ ფაქტმა შეიძლება ასეთ საკითხზე დაგვა-ფიქროს: ... .
- მინდოდა თქვენი ყურადღება კიდევ ერთი ასპექტისთვის / გარემოებისთვის / ფაქტისთვის / საკითხისთვის მიმექცია.
- არა მხოლოდ ეს, არამედ ასეთ ... .
- გარდა იმისა, რომ ... .
- აქვე დაგძენდი, რომ ... .

### **მიზეზების განმარტება:**

- ეს იმ მიზეზების გამო მოხდა: ... .
- ამიტომაც ... .
- ამ მიზეზით ... .
- იმასთან დაკავშირებით ... .
- ამის გამო ... .
- ასე ... .
- ამის შედეგად ... .
- შესაბამისად ... .
- ამგვარად ... .
- ეს არის იმის მიზეზი, რომ ... .

**წინასწარ განსაზღვრული სიტუაციები, წინაპირობები:**

თუ ასე მოხდება, მაშინ ... .

როცა ასე ხდება, ჩვეულებრივ ... .

როგორც ქი ეს მოხდება, შეგვიძლია დაველოდოთ ... .

თუ როდესმე ასეთი სიტუაციის მოწმენი გახდებით, ყურადღებით დააკ-ვირდით, რომ ... .

ნუ ელით, რომ ... , სანამ, უპირველეს ყოვლისა, არ იქნება ... .

### **ანალიზი:**

- ეს არის ...-ის მაგალითი.
- ეს ადასტურებს, რომ ... .
- ეს გავფიქრებინებს, რომ ... .
- ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ... .
- ეს შეიძლება იყოს ... შემთხვევა. ეს ამტკიცებს, რომ ... .
- ამის ინტერპრეტირება შეიძლება, როგორც ... .

### **მოსწავლის ნათქვამის გამეორება:**

- ახლა შენ ამბობ, რომ ... .
- სხვა სიტყვებით ვიტყოდი, ... .
- თუ სწორად გაგიგა, გინდოდა გეთქვა, რომ ... .
- შენი ნათქვამის გამეორებით ... .
- შენ მიგაჩნია, რომ ... .

### **წინა ნათქვამში შესწორებების შეტანა:**

- ამით მინდოდა მეთქვა, რომ ... .
- ამის საფუძველზე ვფიქრობ, რომ ... .
- ვცდილობ გითხრათ, რომ ... .
- იმავეს ვიტყვი სხვა სიტყვებით: ... .

### **როცა მიმზიდველად გამოიყურება:**

- გამოიყურება ისე, თითქოს ... , მაგრამ სინამდვილეში ... .
- ერთი შეხედვით შესაძლოა ასე მოგეწვენებათ ... , მაგრამ, ფაქტობრივად ... .

### **უპირატესობა:**

- მე მირჩევნია, რომ ... .
- მე უფრო მომწონს, როცა თქვენ ... .

### **ეჭვის გამოთქმა:**

- ეგ შესაძლებელია, მაგრამ ... .
- ეგ სიმართლეა, მაგრამ თუ დაფიქრებულხარ, რომ ... .
- გეთანხმები, მაგრამ გაითვალისწინე, რომ ... .
- ეგ კარგი აზრია, ერთადერთი ... .
- კი, ოდონდ გახსოვდეს, რომ ... .
- ეგ შესაძლებელია, მაგრამ თუ გაითვალისწინე ის ფაქტი, რომ ... .

### **საკითხის სხვა ასპექტზე ყურადღების გადატანა:**

- შესაძლებელია, მაგრამ ... .
- არ დაგავიწყდეს, რომ ... .
- რასაც შენ ამბობ, მართალია, თუმცა ... .
- მე მაინც მგონია, რომ ... .

### **განმარტების თხოვნა:**

- შეგიძლია განმარტო, როგორ ... ?
- გთხოვ განგვიმარტე შენი პასუხი / აზრი!
- შეგიძლია განმარტო, რატომ აირჩიე ეს პასუხი?
- გთხოვ, გაშალე შენი პასუხი!
- ეს იმას ნიშნავს, შენ ფიქრობ, რომ ... ?

### **განზოგადება:**

- საერთოდ ... .
- ზოგადად თუ განვიხილეთ ... .
- ზოგადად საუბრისას ... .
- ჩვეულებრივ ... .
- როგორც ყოველთვის ... .
- ტიპობრივია ის, რომ ... .

### **8.9. ცოდნის შემოწმება და გასამურებელი კითხვები**

- ქველაფერი გაიგეთ?
- შეკითხვები ხომ არ გაქვთ?
- ... წაკითხვის / მოსმენის / ყურების შემდეგ გაუგებარი ხომ არ არის რამე?
- რას ნიშნავს ეს ტერმინი / ცნება / წარმოდგენა?
- გთხოვთ, თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ!
- ამ თავში / ნაშრომში / თემაში რომელია სამი მთავარი ნაწილი?
- რა იყო ამის ნაკლოვანება / გამომწვევი მიზეზები / საფუძველი?
- როგორი შედეგები გამოიწვია არჩევნებმა / სკანდალმა / გამოყოფამ / გაერთიანებამ?
- როგორი გამოხმაურება / შედეგები მოჰყვა ამ მოვლენებს?

### **9. მითითებები სამუშაოს ორგანიზების შესახებ**

#### **ჯგუფური სამუშაო**

- დღეს ჩვენ ჯგუფებში / წყვილებში ვმუშაობთ!
- დაიყავით პატარა ჯგუფებად 3-დან 5-მდე ადამიანი ჯგუფში!
- დანარჩენს წყვილებში მუშაობით შევასრულებთ!
- დავალება ჯგუფში წაიკითხეთ!
- დაწერეთ ... , რის შესახებაც შეთანხმდით!
- დაინაწილეთ მოვალეობები ჯგუფში!
- 15 წელის შემდეგ უნდა მოყვეთ თქვენი სამუშაოს / მიღწევების შესახებ.
- ჯგუფიდან ერთი ადამიანი გამოყავით / აირჩიეთ ჯგუფში ერთი ადამიანი, რომელიც თქვენს აზრს გაგვაცნობს და ერთი - რომელიც ინფორმაციას ჩაიწერს!

### **მითითებები ჯგუფში დისკუსიის დროს**

- პირველ რიგში, დაიყავით ჯგუფებად!
- პირველ ჯგუფს ექნება თემა ... , მეორე ჯგუფს ექნება ... და მესამე ჯგუფს ექნება ... .
- აირჩიეთ ერთი, ვინც ილაპარაკებს და ერთი ადამიანი, ვინც ყველაზე ჩაიწერს!
- თითოეულმა მოსწავლემ უნდა მოამზადოს მოთხოვობა თავისი იდეების / ფაქტების და მათი ჩართვით / მათ გააცნოს დანარჩენები.
- გთხოვ, ჩვენც გაგვაცანი შენი აზრი!
- შენ რა აზრის ხარ?
- შენ როგორ ფიქრობ?
- მოგვიყევი!
- შეადარე შენი მოსაზრება ჯგუფის მოსაზრებას!
- ისაუბრე და საკითხი განიხილე შენი ჯგუფის წევრებთან!
- დაასაბუთე შენი მოსაზრება მაგალითების / კონკრეტული ფაქტების დახმარებით!
- როცა თქვენს ჯგუფებში ყველანი მზად იქნებით, მოგვიყევთ, თუ რა გააკეთეთ, ჩვენ ყურადღებით მოგისმენთ.
- შენი რეფერატი / აღმოჩენა ყველას გაგვაცანი!
- დააკონკრეტე შენი იდეები!
- სხვებსაც შესთავაზე აზრი გამოთქვან და შეკითხვები დასვან!

### **თამაშები როლების განაწილებით**

- დღე როლებში თამაში მონაწილეობას მიიღებენ ... .
- გთხოვთ, გადით და დერეფანში დაიცადეთ!
- როლების ჩამონათვალი წაიკითხეთ!
- თამაში წამყვანი იქნება ... .
- აირჩიეთ და გაინაწილეთ როლები თქვენს ჯგუფში!
- მაყურებლებო, დაახასიათეთ მსახიობები!

### **ინდივიდუალური დავალებები**

- ამჯერად ინდივიდუალურად გმუშაობთ!
- ყურადღებით წაიკითხე დავალება!
- დამოუკიდებლად შეავსე / შეასრულე ... !
- იპოვე ... / შეადარე ... / დაადგინე ... / დაასკვენი ... / გვანახე ... / დაამტკიცე, რომ ... / იპოვე ... / ჩამოაყალიბე ... / დააჯგუფე ... / აღნიშნე ... / მონიშნე ... / გამოიკვლიე ... / დემონსტრირება გააკეთე ... / აღწერე ... !
- შენს განკარგულებაში 10 წუთია.
- შეთხე ამბავი ამ სიტყვების გამოყენებით!
- წაშალე ზედმეტი სიტყვები!
- გამოიყენე ცხრილი / რუკა / ატლასი / საყრდენი სიტყვები!
- იპოვე / მოძებნე სახელმძღვანელოში / ... გვერდზე / რუკაზე ... !
- დააჯგუფე ... წარმოშობის / ზომის / სიმაღლის / მნიშვნელოვნების მიხედვით!
- შეადარე სიდიდის / ფართის მიხედვით!
- მოცემული გებმის მიხედვით აღწერე ... !
- შეადგინე ... სქემა!
- გაარკვიე ... წყობა / ფუნქციები!

### **საკონტროლო სამუშაოები და გამოცდები**

- აირჩიეთ / მონიშნეთ სწორი პასუხი!
- გადახაზეთ არასწორი დებულება / სიტყვები!
- ტექსტის წაკითხვის შემდეგ უპასუხეთ კითხვებს და შეავსეთ ტაბულა!
- წერეთ ფანქრით / პასტით!
- ამ დავალების შესრულების დროს არ შეიძლება კორექტორის / ლექსიკონის / სახელმძღვანელოს გამოყენება.
- მოიფიქრეთ და უწოდეთ გამოსახულებას სახელი!
- განმარტეთ ამ სიტყვათა მნიშვნელობა!

## **საშინაო დაგალებები**

- გადაშალეთ დღიურები და ჩაიწერეთ ... !
- შემდეგი კვირის განმავლობაში დაწერეთ თქმა ... შესახებ!
- დაწერეთ მოთხოვთ / სტატიის / თავის გეგმა!
- გახაზეთ მთავარი!
- სახლში უნდა ისწავლოთ ... თავის მეცუთედან მეშვიდე გვერდამდე.

## **10. ათვისებული თემის მოკლე შინაარსი**

- დღეს თქვენ გაიგეთ ... .
- დღევანდელი თემის უმთავრესი ნაწილი იყო ... .
- ახლა თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ... .
- წარმოდგენა შევიქმენით ... შესახებ.
- მოკლედ რომ კოქის, ... .
- ქოველივე ნათქვამის გათვალისწინებით, ... .
- ადრე ნასწავლის გამეორების შედეგად, ... .

## **11. კლასის გაკონტროლება**

- გთხოვთ ყურადღებას!
- ნუ ლაპარაკობთ!
- იმუშავეთ დამოუკიდებლად!
- გთხოვთ, ნუ ხმაურობთ!
- წყნარად ისხედით!
- იმუშავეთ ოდნავ ჩუმად!
- იყავით ყურადღებით!
- უსაფრთხოების წესები დაიცავით!
- ნუ უშლი სხვებს!

## **12. შეფასება**

- გმადლობთ სამუშაოსთვის!
- ძალიან კარგი ნამუშევარია.
- დღეს კარგი შედეგები გვქონდა!

- ეს შენ / თქვენ ძალიან კარგად / კარგად გამოგივიდა / გამოგივიდათ!
- მშვენიერია! ბრწყინვალეა! საკმაოდ კარგია!
- ბრწყინვალე ნაშრომია!
- მშვენიერი აზრია!
- კარგი პასუხია!
- თქვენი ნაშრომები შინაარსიანი და საინტერესოა.
- ყველაფერი შევძელით, რაც გვქონდა დაგეგმილი.
- დღეს თქვენ კარგად იმუშავეთ!
- რატომ არ არის ყველა პირობა შესრულებული?
- როგორ მოხდა, რომ არ არის ... ?
- თქვენ ზედაპირულად იმუშავეთ.
- რატომ არ გადაამოწმეთ ფაქტები?
- ეს საერთოდ არ შეგხება ამ თემას.
- ასე თუ იმუშავეთ, შორს ვერ წავალო.
- ამ ნაშრომს აზრი საერთოდ არ აქვს.
- დარწმუნებული ვარ უკეთ შეგვძლო.
- შემდგომში მეტი ყურადღება მიაქციე ... .
- შენგან უკეთეს / უფრო მოცულობით პასუხს ველოდი.
- უნდა შეეცადო და კიდევ უკეთესი გამოვა.
- ისე, არა უშავს, მაგრამ დაგავიწყდა დაგეწერა / გაგეხაზა / გამოგეთვალა / დაგემტკიცა ... .

### **13. დასასრული**

- რაიმე შეკითხვები ხომ არ გაქვთ?
- ყველაფერი გასაგებია?
- შემდეგ გაკვეთილზე გავაგრძელებთ.
- მომეციო დღიურები, ნიშნებს ჩაგიწერთ!
- შემდეგ გაკვეთილზე მოიტანეთ ... .
- ყველაზე კარგი შედეგები დღეს ... პქონდათ.
- გახსოვდეთ, რომ ხვალ უნდა წამოიდოთ ... !
- არ დაგავიწყდეთ, რომ ხვალ გაკვეთილი 09:45 -ზე დაიწყება!

#### **14. დამშვიდობება**

- მომავალ შეხვედრამდე!
- შევხვდებით შემდეგ გაკვეთილზე!
- წარმატებით!
- გმადლობთ, დღეისთვის სულ ეს არის.
- თავისუფლები ხართ.
- გმადლობთ ყურადღებისთვის.
- კარგად იყავით, შემდეგ შეხვედრამდე!

## **ბამოყვენებული ლიტერატურა:**

ზურაბ ბადაშვილი, მარიკა ოძელი, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება (2006).

კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ 2010 წლის ქართული ვერსიის გამოცემა.

ბილინგვური განათლება, სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის; თბილისი, 2009.

კახა გაბუნია, ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების თავისებურებები ბილინგვურ კლასში; ბილინგვური განათლება, № 1, 2010.

ნინო დობორჯგინიძე, მაია ინასარიძე, მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარის განვითარება (2006).

მაია ინასარიძე, მაია ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები; თბილისი, 2006.

მეთოდიკური მითითებანი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში (მასწავლებელთა გზამკვლევი); თბილისი, 2007.

მულტილინგვური განათლების პროგრამის დებულება, 2010, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმა: <http://www.ncac.ge/index.php?m=854>

შალვა ტაბატაძე, მაია ინასარიძე, ქეთევან ჩაჩინანი, ჭაბუკი ქირია ინტერკულტურული განათლების პრაქტიკული სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის; თბილისი, 2010.

ჭაბუკი ქირია, მაია მელიქიძე, ლექსიკაზე მუშაობის მეთოდიკა მეორე ენის სწავლებისას (2006).

ნინო შარაშენიძე, შეცდომების ანალიზი და მათზე მუშაობა ენის ათვისების პროცესში; ბილინგვური განათლება, № 3, 2010.

მაია ინასარიძე, ნინო დობორჯგინიძე, კითხვის უნარ-ჩვევათა განვითარება (2006).

მაია მელიქიძე, ჭაბუკი ქირია, ქართული ენის გრამატიკის სწავლება (2006).

მარიკა ოძელი, ზურაბ ბადაშვილი, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება (2006).

თამარ ჯაყელი, მარინე ხუციშვილი, მეორე ენის სწავლება დაწყებით სკოლაში (2006).

თამარ ჯაყელი, მარინე ხუციშვილი, წერის უნარ-ჩვევათა განვითარება (2006).

English Language Arts, A Curriculum Guide for the Middle Level (Grades 6-9) Saskatchewan Education

English Language Arts 6-9: A Bibliography for the Middle Level

Tibinská, Eva, Teória a prax jazykového vzdelávania v oblasti materinského jazyka na základných školách na Slovensku. - In: Studia Academica Slovaca. 30. Prednášky XXXVII. letného seminára slovenského jazyka a kultúry. Red. J. Mlacek. Bratislava, Stimul - Centrum informatiky a vzdelávania FF UK 2001, s. 315 - 328.

Tibinská, Eva, Základné zásady didaktiky a metodiky vyučovania slovenčiny ako cudzieho jazyka. In: Studia Academica Slovaca 34. Prednášky XLI. letného seminára slovenského jazyka a kultúry. Ed. J.Mlacek, M. Vojtech. Bratislava, Stimul - Centrum informatiky a vzdelávania FF UK 2005, s. 165 -173.

Čvrtníčková, D. a kol.: Cieľové požiadavky na hodinách SJaL Metodická príručka prináša nové chápanie problematiky výučby SJaL

Čvrtníčková, D. a kol.: Klasifikácia slohových prác Anotácia: Súbor žiackych slohových prác niektorých žánrov a ich klasifikácia. Dagmar Čvrtníčková

ŠPECIALIZAČNÉ INOVAČNÉ ŠTÚDIUM,Názov projektu: Inovácia obsahu a metód vyučovania SjaL

Ministerstvo školstva Slovenskej republiky, UČEBNÉ PLÁNY PRE 1. AŽ 9. ROČNÍK ZÁKLADNÝCH ŠKÔL, Schválilo Ministerstvo školstva Slovenskej republiky , 2003

Brasee, E.N. & Capelluti, J. Dissolving boundaries: Toward an integrative curriculum. Columbus,1995

Jacobs, H.H. Mapping the big picture: Integrating curriculum and assessment, Alexandria, 1997

Martinello, M.L. & Cook, G.E. Interdisciplinary inquiry in teaching and learning. New York: Merrill, 1994

